# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 5 ნოემბერი 1996 №115 (340) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

GEORGIA vs ENGLAND
თბილისი. 9 ნოემბერი

## საქართველოს ნაკრებმა დიდი მატჩისთვის მზადება დაიწყო

რეპორტაჟი დღობის ბაზიდან იხილეთ მეორე გვერდზე

## ქინქლაძე კოპელს დაენიძლავა...

### გაზას კი მხოლოდ პანღურის ენა ესმის



ზურაბ მეძველია
ლონდონიდან

ორშაბათია. ლონდონში დღის პირველი საათი ხდება. ნახევარი საათის წინ ინგლისის ნაკრებმა სათბილისო შეკრების პირველი დახურული ვარჯიში დაამთავრა, მე კი „მშობლიურ" ლუდხანა „როიალ ოუქში" ვზივარ. ჩემს გარდა კიდევ ერთი კაცია მხოლოდ. ხელს არავინ შემიშლის. გუშინ საღამოს კი აქ ტევა არ იყო: ვინ ფეხზე იდგა, ვინ იატაკზე იჯდა თუ იწვა — SKY-ზე „ნიუკასლისა" და „მიდლსბროს" თამაშს გადმოსცემდნენ. შესვენებაზე 9 ნოემბრის შეხვედრის რეკლამა უჩვენეს — მხოლოდ ჩვენს არხზე ნახავთ თბილისის მატჩსო. ეკრანზე კარგა ხანს ფრიალებდა ორი ქვეყნის დროშა, მაგრამ... საქართველოს დროშის ნაცვლად საქართველოს სსრ ნამგალ-ურო-ვარსკვლავიანი სიმახინჯე ფრიალებდა. საშინლად აღვშფოთდი. ამ წერილს ჩავამთავრებ და აუცილებლად დავრეკავ SKY-ში — თუ არა აქეთ, „მანჩესტერ სიტის" ქომაგებს შეეხმიანონ და ისინი დაეხმარებიან ჩვენი ნამდვილი დროშის შოვნაში... სანამ აქ შემოვიდოდი, „ვილიამ ჰილში" შევიარე და ახალ ფსონებს გავეცანი — საქართველოს მოგებაზე დადებულ ყოველ გირვანქაზე, თუ ასე მოხდა, 6 გირვანქას მიიღებთ. ძალიან კარგი: მინიმუმ ას გირვანქას ნაღდად ჩამოვალ.

გიო ქინქლაძე უკვე გზაშია და ორშაბათ საღამოს თბილისში იქნება, ამიტომ ჯერ არ იცის, რომ აშკარად „მოტყუვდა", როცა თავის მწვრთნელს სტივ კოპელს 9 ნოემბრის თამაშზე ნიძლავი დაუდო. როგორც კოპელმა „სანს" უთხრა, იგი და ქინქი 20 გირვანქაზე დანიძლავდნენ — ცხადია, გიო საქართველოს მოგებაზე დგას, „სიტის" მწვრთნელი კი ინგლისისაზე. კოპელმა „სანის" კორესპონდენტს ისიც განუცხადა — ჩემი ქართველი ისეა დარწმუნებული თავისიანთა გამარჯვებაში, მითხრა, თუ წავაგე, 25 გირვანქას მოგცემო. რა თქმა უნდა, წაგებით არცერთი გაკოტრდება (კოპელისა არ ვიცი, გიოსთვის კი ეს დაახლოებით 20 წუთის ჯამაგირია), მაგრამ მწვრთნელი, ცხადია, ხუმრობით მაინც ამბობს: ჩემს ხელში არაა — არ გავუშვებ თბილისში, მაგის გარეშე კი ქართველები ნაღდად წააგებენო...

ქინქლაძე, გასაგებ მიზეზთა გამო, ინგლისელთა ყურადღების მთავარი ობიექტია. აქაურ გაზეთებში უკვე დაიბეჭდა არაერთი წერილი საქართველოზე. დღევანდელ „სანში" ისიც კი წერია, ქინქლაძე კი არა, ვიღაც ლევან კობიაშვილი ჰყოლიათ, გიოზე მაგარი ყოფილაო. ამ ორ K-ს „დეილი მეილი" მესამე K — საშიშროებას უმატებს — კალაშნიკოვს. ეს გაზეთი აფრთხილებს ინგლისელ გულშემატკივრებს, რომლებიც თბილისში („სანის" თქმით, სამოქალაქო ომამდე მსოფლიოს (!) ულამაზეს ქალაქში) აპირებენ ჩასვლას: მართლია, ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ თუ რამე დაუშავეთ, მუშტების ქნევას კარგა ხანია გადაეჩვივნენ და პირდაპირ ავტომატის ტყვიას გკრავენ შუბლშიო. არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს, მაგრამ ინგლისელთა დელეგაციაში უსაფრთხოების სამსახურის მუშაკებიც საკმაოდ იქნებიან. როგორც იუწყებიან, სამი კაცი მარტო გესქოინს ეყოლება მცველად მიჩენილი.

გაზა, გაზა... ის, ისევე, როგორც ფეხბურთი, ამოუწურავი თემაა და მასზე ყველას თავისი აზრი გააჩნია. ჩემი და დათო მჭედლიშვილის წინა რეპორტაჟი ჰოდლის პრესკონფერენციიდან ხეირიანად ალბათ „სარბიელის" თანამშრომლებსაც არ ჰქონდათ წაკითხული, რომ ჰოდლს გესქოინის ნაკრებში შეყვანისთვის პრესის უდიდესი რისხვა დაატყდა თავს. „უარესი რაღა მოხდება — გესქოინი ნაკრებშია" — პირველივე გვერდზე გამოხატა აღშფოთება პარასკევის „ივნინგ სტანდარდმა" და მეორე დღეს მას ყველა აჰყვა. შევეცდები, მაქსიმალურად მოკლედ გადმოგცეთ აქაური პრესის აზრი ამ საკითხზე, თუმცა, რატომ მხოლოდ პრესის? საზოგადოება ძაღლის აშვებას მოითხოვს!

დღეში რამდენჯერ გამოდის „ივნინგ სტანდარდი", ჯერ ვერ დავადგინე, ამიტომაც პირველი სიტყვა სწორედ მან თქვა: „დღეს არად ჩააგდეს საზოგადოება და ეროვნულ გუნდში აიყვანეს ცოლის მცემელი კაცი"; „თბილისში ქულების მოპოვებას დახარბებულმა ინგლისური ფეხბურთის თავკაცებმა მორალი დაივიწყეს"; „გაზა ეროვნული გმირია, ახალგაზრდებისთვის მაგალითი უნდა იყოს, ის კი ცოლს სცემს, ამიტომ მისი გაგზავნა უცხოეთში ინგლისის ღირსების დასაცავად გაუმართლებელია"; „მართალია, ჰოდლი, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ცუდ დღეშია, რადგან ადრე ოდენ სპორტული ფორმის მიხედვით შეჰყავდათ ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრებში, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ერზე ისეთივე გავლენა აქვს, როგორიც კენტერბერის არქიეპისკოპოსს".

იხილეთ მეორე გვერდი

გუშინწინ ალექსანდრე ჩივაძემ და ვლადიმერ გუცაევმა დაასახელეს ის ფეხბურთელები, რომლებიც ინგლისელებთან 8-9 ნოემბრის მატჩებისთვის მოემზადებიან. ორივემ 20-20 ფეხბურთელი გამოიძახა.

**ეროვნული ნაკრები:**

ირაკლი ზოიძე
ნიკოლოზ ტოგონიძე
დიმიტრი კუდინოვი
კახი ცხადაძე
მურთაზ შელია
ზაზა რევიშვილი
ნუგზარ ლობჟანიძე
ლევან კობიაშვილი
გია ჩხაიძე
გიორგი ნემსაძე
კახა გოგიჩაიშვილი
გიორგი ქინქლაძე
თემურ ქეცბაია
გოჩა ჯამარაული
გელა ინალიშვილი
გიორგი ღუდუშაური
შოთა არველაძე
გოჩა გოგრიჭიანი
მიხეილ ჯიშკარიანი
გიორგი დემეტრაძე.

**ახალგაზრდული ნაკრები:**

დავით ასლანაძე
მირიან მალაყმაძე
გივი დიდავა
შალვა ხუჯაძე
გიორგი დავითნიძე
ლევან სილაგაძე
გიორგი ლომიძე
გიორგი გახოკიძე
გიორგი კიკნაძე
ლევან ქებაძე
მიხეილ საჯაია
მიხეილ ფოცხვერია
ალექსანდრე იაშვილი
მიხეილ აშვეთია
ლევან ცქიტიშვილი
ვახტანგ იაგორაშვილი
ვალტერ გუჩუა
ვლადიმერ გაბედავა

## მსოფლიოს ჩემპიონები



## დავით ხახალეიშვილი ჯონდო მუზაშვილი

ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა ძიუდოში ჯერჯერობით მიუღწეველი ტიტული მოიპოვა, ოღონდ სამბოში. ქუთაისელი ძიუდოისტი პირველი იყო ტოკიოში გამართულ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მის გარდა ჩემპიონი გახდა ჯონდო მუზაშვილი (74 კგ). აღსანიშნავია, რომ ტოკიოში წასული არცერთი ქართველი ფალავანი უმედლოდ არ დარჩენილა. მეორე პრიზიორები გახდნენ ბადრი ჯანიაშვილი (52 კგ), მამუკა კურდღელაშვილი (62 კგ) და ივანე გამხიტაშვილი (90 კგ). ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ არჩილ ჩოხელი (68 კგ) და გიორგი მაღრაძე (82 კგ).

## საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

| | | |
|---|---|---|
| სამგურალი | 1:0 | მერანი |
| დინამო | 2:0 | კახეთი |
| მარგვეთი | 2:0 | გურია |
| კოლხეთი | 1:1 | შევარდენი |
| სამტრედია | 2:1 | ოდიში |
| გორდა | 2:0 | ივერია |
| ბათუმი | 2:0 | სიონი |
| ტორპედო | 5:0 | დილა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 11 | 0 | 0 | 49:9 | 33 |
| ბათუმი | 12 | 10 | 1 | 1 | 36:5 | 31 |
| კოლხეთი | 14 | 9 | 2 | 3 | 33:19 | 29 |
| მარგვეთი | 13 | 8 | 1 | 4 | 25:13 | 25 |
| მერანი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:17 | 24 |
| გურია | 14 | 6 | 2 | 6 | 16:25 | 20 |
| ოდიში | 13 | 6 | 1 | 6 | 21:13 | 19 |
| სამტრედია | 14 | 6 | 0 | 8 | 16:26 | 18 |
| დილა | 14 | 4 | 5 | 5 | 11:18 | 17 |
| ტორპედო | 14 | 5 | 1 | 8 | 28:32 | 16 |
| გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 24:30 | 16 |
| სამგურალი | 14 | 4 | 2 | 8 | 13:30 | 14 |
| შევარდენი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:18 | 14 |
| კახეთი | 14 | 4 | 0 | 9 | 6:33 | 12 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 9:18 | 11 |
| ივერია | 14 | 3 | 2 | 9 | 12:28 | 11 |



დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია

# რჩეულნი გვეკრიბებიან

საქართველოს ორივე საფეხბურთო ნაკრები დიღომში შეიკრიბა, ეროვნული გუნდი საფეხბურთო „დინამოს“ ბაზაზე დაბინავდა, ახალგაზრდები კი კალათბურთელთა ბინას შეეფარნენ. ჩივაძემ და გუცაევმა პირველი ვარჯიშები 3 ნოემბერს დანიშნეს. წვრთნა პირველმა ეროვნულმა გუნდმა დაიწყო. ჩივაძის განკარგულებაში ჯერ მხოლოდ ისინი იყვნენ, ეროვნულ ჩემპიონატში რომ თამაშობდნენ, სულ 10 ფეხბურთელი. ზოიძე, ტოგონიძე, კუდინოვი, ლობჟანიძე, კობიაშვილი, ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი და დემეტრაძე მოედნის ცენტრში ჩამწკრივდნენ და ჯერ მწვთრნელის დარიგებები ისმინეს, მერე კი საფუძვლიან მოთელვას შეუდგნენ. ამას ორშეხებიანი კვადრატი მოჰყვა, დიმა კუდინოვი დანარჩენებს გამოეყო და ვარჯიში ცალკე განაგრძო, ცოტა ხანში სულაც თავი ანება და საშხაპისკენ გაეშურა. მიზეზი რომ ვიკითხეთ, ეს გვითხრეს: კუდინოვმა „დინამო“ – „კახეთის“ შეხვედრაში ფეხი იტკინა და ნაკრების ხელმძღვანელობამ დასვენების საშუალება მისცაო. ამასობაში ჩივაძემ ფეხბურთელები ორად გაყო და მოედნის მეოთხედზე ორკარა გააჩაღებინა. რახან მოთამაშენი ცხრანიღა იყვნენ, ნაკლულთ ჯერ თამაზ კოსტავა დაემატა, მერე კი თავად მთავარი მწვრთნელი. ბურთაობას რომ მორჩნენ, გაბელიასგან ისედაც გაწამებული ზოიძე და ტოგონიძე დასეტყვეს, მაგრამ ისინიც მაგრად დაუხვდნენ, ეგაა ირაკლიმ ცოტა ფეხი იტკინა. ბოლოს ჩივაძემ ბიჭები, ვისაც სურდა, თარჯებზე ახტუნავა და დასასვენებლად გაუშვა. ნაკრების ექიმთა თქმით, ზოიძეს და კუდინოვს არა უჭირთ, ერთ დღეში მომჯობინდებიანო. თავად ირაკლიც და დიმაც მხნედ გამოიყურებოდნენ.

ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული 20 ფეხბურთელიდან 18 გუშინწინვე გამოცხადდა. ვარჯიშზე თექვსმეტნი გამოვიდნენ, მერე ამათ შეგვიანებული ოდიშელები გუჩუა და გაბედავა შემატნენ. გუნდმა საკმაო ხანს და საკმაო დატვირთვით ივარჯიშა. არ ჩანდნენ ფოცხვერია და საჯაია, რომელთაც მეორე დღეს ელოდებოდნენ.

გუშინ დილიდან კი ეროვნული ნაკრების დიღომში შეკრებილ „აქაურ“ წევრებს ორი „თურქი“ შოთა არველაძე და გიორგი ნემსაძე შემატნენ, რომლებიც თბილისში გუშინწინ ღამით ჩამოვიდნენ. სრულ თერთმეტ საათზე თორმეტივენი ეროვნულ სტადიონს მიადგნენ და მორიგ წვრთნას შეუდგნენ. მწვრთნელებმა ჯერ გახურება ბრძანეს, შემდეგ კი „კუპერი“ არბენინეს. თავიდან ბოლომდე ივარჯიშა კუდინოვმა, ეტყობა, უკვე სრულ წესრიგშია. სავარჯიშო ფორმით გამოვიდა ირაკლი ზოიძეც, მაგრამ ბოლოს მაინც დასვენება ურჩიეს ალბათ ასეც სჯობდა, ყოველგვარი გაუთვალისწინებლისგან თავის დასაზღვევად. გახურების შემდეგ აღარ ურბენია შოთა არველაძესაც. ოპერაციის შემდეგ ახალმოშუშებულს ორჯერ კი უთამაშია „ტრაბზონსფორში“, მაგრამ მუხლი ოდნავ შესიებული ჰქონია. თავად შოთას თქმით, საშიში არაფერია, თავს კარგად ვგრძნობ, ასეთი ოპერაციის მერე ეს ბუნებრივიც არის და საღამოს ვარჯიშებზე აუცილებლად გამოვალო. მოკლედ, თორმეტიდან ათმა თავდაუზოგავად ირბინა. სირბილი არც ჩივაძეს და კოსტავას მოჰკლებიათ. როცა კოსტავას კუპერის შედეგებზე ვკითხეთ, ურიგო მაჩვენებლები არ არისო, გვითხრა. ამის მერე ნავაჟარი ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც დიღომს გაეშურნენ. იქ მათ დანარჩენი ლეგიონერებიც შეუერთდნენ და 16 საათზე საღამოს



ნაკრების თავკაცობა: კოსტავა, გაბელია და ჩივაძე

ნებული ზოიძის ნაცვლად, ოთარ გაბელია. ვერ წარმოვიდგენდი, ამდენი წლის შემდეგ „ამბროსიჩს“ ასე სხარტს და რეაქციაშენარჩუნებულს თუ ვიხილავდი — გაბელია ახალგაზრდული სიმკვირცხლით იგერიებდა უძნელეს ბურთებს.

თავბურთის შემდეგ კვადრატი გახურდა, პარალელურად, ოთარ გაბელიამ ეულად დარჩენილი ტოგონიძის წვრთნას მიჰყო ხელი.

ახალგაზრდული ნაკრები საღამოს დილმის ბაზაზე არ ჩანდა. ფეხბურთელები საგანგებო ტესტის ჩასაბარებლად ეროვნულ სტადიონზე წასულიყვნენ და იქ ერბინათ. მხოლოდ მეკარეებს — ასლანაძეს და მალაყმაძეს ავარჯიშებდა იური სტადუხინი. ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყვნენ ფოცხვერია და საჯაია, მათ გუშინვე, ოღონდ მოგვიანებით ელოდნენ, უკიდურეს შემთხვევაში ხვალ დილას აქ იქნებიანო.

დიდები კი ამასობაში კვარდრატს მორჩნენ, ჩივაძემ ფეხბურთელები გადაანაწილგადმოაჯგუფა და კომბინაციების დამუშავებაც დაიწყო. კარში ტოგონიძე ჩადგა. 30 წუთი არ შეწყვეტილა ფეხით და თვით ნიკას დაბომბვა. ისიც შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდა. მის გარდა ყველამ პასიც გააკეთა, კარშიც უბაგუნა და ბლომადაც ირბინა. ამის მერე ნახევარ მინდორზე ნაღდი ფეხბურთი გაჩაღდა. ოღონდ ჩივაძემ ჯერ ერთი მხარე დატოვა ნაკლულად, მერე მეორე. კარებში ისევ ტოგონიძე და გაბელია ჩადგნენ. ნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა ერთობ მონდომებით ითამაშა და ზედიზედ ორჯერ ფეხში გვარიანად მოხვდა. თამაში საბოლოოდ ფრედ — 4:4 დასრულდა. ერთი სიტყვით, გუშინდელი დღე ნაკრებისთვის საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. სრული დატვირთვის და ორჯერადი ვარჯიშის შემდეგ ბიჭებს გატანჯული სახეები არ ჰქონიათ. მოკლედ, გამოძახებული 20 ფეხბურთელიდან 15 უკვე თბილისშია და დიღმის ბაზაზე ემზადება. გუშინ, ღამით, უნდა ჩამოსულიყვნენ ქინქლაძე, ცხადაძე და ლუდუშაური. სამივეს ფრანკფურტის რეისით ელოდნენ, გუშინვე უნდა ჩამოსულიყო ქემნიცელი გოჩა გოგრიჭიანი. რაც შეეხება თემურ ქეცბაიას, მას გუშინ საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი უწევდა, ამიტომ დღეს, საღამოს ვარჯიშისთვის ელიან.

დღესვე, დაპირებისამებრ, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა 11-დან 13 საათამდე ბაზაზე სპორტულ ჟურნალისტებს მიგვიღებს და ფეხბურთელებთან გასაუბრებისა და გადაღების უფლებას მოგვცემს, სხვა დროს კი — ნურას უკაცრავად.

**მამუკა კვანტალიანი**

# ქინქლაძე კოპელს დაენიძლავა...

ხედავთ, რა დღეშია ჰოდლი!? მან მორალიც უნდა დაიცვას და ქულებიც მოიპოვოს. ამბობენ, საქართველოში მწვრთნელობა საშინელი პროფესიაო. ჰოდლმა რაღა თქვას?

ცხადია, ყველაზე მეტად მრავალრიცხოვანი ქალთა ორგანიზაციები გააწრმატა ჰოდლის გადაწყვეტილებამ. ერთი ასეთი საზოგადოების ლიდერი სანდრა ჰორლი აცხადებს, ჰოდლის გადაწყვეტილებამ მთელი მსოფლიო დაარწმუნა, რომ ინგლისში ცოლის გალახვა ჩვეულებრივი ამბავიაო. თუმცა, ყველა ქალი როდია ამ ჭკუაზე — პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა კენტ ჰაუიმ თქვა, მჯერა, გესქოინის ნაკრებში შეყვანა პოლსაც და ინგლისსაც სიკეთეს მოუტანსო. მოკლედ, ჰოდლს არა, მარტო მლანძღველები, დამცველებიც ბევრი ჰყავს. მაგალითისთვის ორ წერილს დავიმოწმებ. ორივე წერილი ერთ გაზეთში, „დეილი მირორში“, გვერდი-გვერდ დაიბეჭდა.

მიმომხილველი ჰარი ჰაროსი: „ახლა ბევრი აკრიტიკებს ჰოდლს. თვით ფეხბურთის ასოციაციის ყოფილი თავკაცი ბერტ მილიჩიპი. არადა, სწორედ მისი თავმჯდომარეობის დროს მოხდა ჰონკონგის ინციდენტი, ყველა ერთად რომ გაილეშა, მაგრამ მაშინ ეს ამბავი მილიჩიპმა ასოციაციის შენობის გრძელი ფარდაგის ქვეშ ამოსდო და მიაჩუმათა. ახლა კი მორალს გვიკითხავს. რა ფარისევლობაა! ჩემი აზრით, ჰოდლმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, იმიტომ რომ: ჯერ არავის დაუწესებია ის ზღვარი, რომლის გადალახვის შემთხვევაშიც ფეხბურთელი გუნდიდან გაირიცხება. კარგით, ცოლის მცემელი უნდა გაირიცხოს. ლოთი? გამოსწორებული ნარკომანი? საჭესთან ნასვამი მჯდომი? მოკლედ, ჰოდლს რომ გაზა გაეგდო, მისთვის სხვებიც უნდა მიეყოლებინა — ჩვენს ფეხბურთში იმდენი ცოდვილია, ჰოდლს ნაკრების შესადგენად მონასტრების ჩემპიონატის ყურება და ამათით გუნდის შედგენა მოუწევს; ერთიც — არც ერთი სხვა ერი და ქვეყანა არ გააგდებს კაცს ეროვნული გუნდიდან პირადი პრობლემების გამო — რა, არ ათამაშა ჰოლანდიამ კლუივერტი, ევრო-96-მდე ცოტა ხნით ადრე მანქანით ადამიანი რომ მოკლა?“

მეორე ჟურნალისტი ნაიჯელ კლარკი, ვიმეორებ, იმავე გაზეთში წერს: „შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ, გლენ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ იმ თოკს, შენ რომ გაზას გადაუგდე, ის ხელს მოკიდებს. შენ ძალიან პატიოსანი ხარ, გლენ, და გესმის, რომ ყველა ადამიანი ადამიანია, მაგრამ ისეთი რამ გააკეთე, შესაძლოა, სამსახურის დაკარგვად დაგიჯდეს. დაუშვათ, თბილისის მატჩამდე დარჩენილ დროში გაზა ტელევონით ეჩხუბოს შერილს (ეს ყველას ესმის ხოლმე, ვინც მის სართულზე ცხოვრობს) და ეს გაბრაზება თბილისის სტადიონის მინდორზე გადაიტანოს. მაშინ? გაფრთხილებ, გლენ — მხოლოდ დროის საკითხია, როდის გიღალატებს გაზა. შენ გამგებიანი კაცი ხარ, გლენ. შენ გაუგე გაზას, მაგრამ მისთვის ერთი კარგი პანღური რომ გეკრა, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ გაზა მხოლოდ პანღურის ენას გაიგებს.“

ერთი სიტყვით, საქმე ასეა: გესქოინს ერთი შანსი აქვს დარჩენილი — ბრწყინვალე თამაში თბილისში. მაშინ, დარწმუნებული ვარ, ყველას შემოირიგებს, შერილის გარდა. თუ ვინმეს ამათი ოჯახური ამბავიც აინტერესებს: ახლა შერილი თავის სახლშია და როგორც მისი დაქალები აცხადებენ, პოლთან შერიგება გამორიცხულია. პოლი, თავის მხრივ, მისი ძმაკაცების თქმით, ყოველდღე ურეკავს ცოლს და ემუდარება, შემირიგდიო. გაზას, აშკარაა, ოჯახის დანგრევა არ სურს, თორემ თავის საქციელს საქვეყნოდ არ ინანიებს და ამბობს — იმიტომ ვცემე, ოჯახი შეურაცხყოო. არა, ღალატი, არა — უბრალოდ შერილმა კიდევ ერთხელ შეახსენა პოლს მისი წარმომავლობა — ჯორდის, როგორც აქ ნიუკასლელებს უწოდებენ (უფრო გასაგებად რომ ვთქვა, „შე სოფლელოს“ მსგავსი რამ უძახა), და სამაგიეროც მიიღო, თუმცა, პოლი ამბობს, შერილის ოთხი ამოვარდნილი თითი (!) მხოლოდ იმის შედეგია, რომ ერთიორი წათაქების (!) მერე ცუდად დაეცაო (?!)

— ალბათ, ვფიქრობ გაზაზე [illegible] რომ მისი ისტორია [illegible] ყელში ამოსვლიდა. თუმცა მთელი ეს [illegible] წავლებლადაც გამოგვადგება — ჩვენშიც რომ მორალს ამდენი მხარდამჭერი ჰყავდეს, თბილისშიც იქნება შესაძლებელი ის, რაც ახლა მე აქ გავაკეთე — მთელი ჩემი ავლადიდება: ბლოკნოტითა და საწერი კალმით დაწყებული, ქურთუკითა და საფულით დამთავრებული პაბში დავტოვე და დღევანდელი „სანის“ შესაძენად წაველი. აი, ისევ დავბრუნდი და ყველაფერი თავის ადგილზეა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა...

დღევანდელ „სანში“ კი... გაგაოცებენ აქაური ჟურნალისტები: ჰოდლი ხომ მოითავეს, ახლა... ჩივაძეს გადასწვდნენ. ჟურნალისტი სტივ ჰოვარდი წერს, თავის პოტენციალით საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ოცეულში უნდა იყოს, მაგრამ ჩივაძის გამო ეს არ ხერხდებაო: „მისი უპირველესი მიზანი, უპირველესად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაა, და მხოლოდ მერე შეტევა.“ ამის მაგალითად „სანს“ მოჰყავს პერუჯაში ჰოდლის მზვერავის, დეივ სექსტონის სიტყვები: „მატჩის ბოლო 20 წუთამდე ქართველები ცენტრს არ გადასცილებიან, მერე კი აღმოჩნდა, რომ შეტევაც კარგი სცოდნიათ, ისეთი, რომ იტალიელები დააბნიეს კიდეც.“ სტივ ჰოვარდი თბილისში ყოფილა და ალბათ ჩივაძესთან ისაუბრა კიდეც. იგი, „ბევრი ქართველის მსგავსად“ („სანის“ ციტატაა) გაკვირვებულია, რომ ჩივაძე ამაყობს იტალიაში მინიმალური და შარშან გერმანიასთან მხოლოდ ორბურთიანი წაგებით. ისე, მე მესმის ჩემი ინგლისელი კოლეგის. წინა წერილშიც ვწერდი — ჰოდლს აქაურებმა არაფერი ჰკითხეს საქართველოს ნაკრებზე-მეთქი. არც აინტერებთ. ჰოდლის სიტყვები — მაგათ ქინქლაძისნაირი 4-5 ჰყავთო, არცერთმა გაზეთმა დაბეჭდა. რატომ? იმიტომ, რომ არ აინტერესებთ, ვის ხვებიან. უცხოპლანეტელებსაც რომ შეხვდნენ, მაინც გამარჯვებას მოითხოვენ. არ არიან მართლები?!

# გლენ ჰოდლი — განგების რჩეული

პერანგში დაბადებული კაცის ამბავი ხომ გსმენიათ? ასეთია გლენ ჰოდლი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი. დედამისს უთქვამს ჩემს შვილს ცხრა სიცოცხლე აქვსო. მისი ავტობიოგრაფიული წიგნის, SPURRED TO SUCCESS (წარმატებისთვის გატოტენჰემებული) წამკითხველს შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ბედს სხვა საქმე არ ჰონია ჰოდლისთვის ღიმილის გარდა.

[illegible] თბილისში ჩამოსავალი გუნდის თავკაცის ცხოვრებიდან: იანვრის ერთ ცივ დღეს, გლენ ჰოდლი ორი წლის რომ იყო, მამამისი ფეხბურთს თამაშობდა, დედა კი მეუღლის თამაშის საცქერლად ემზადებოდა. გარშემო თოვლი იდო და მისის ჰოდლს ბავშვი დიდი ხნით, ყინვაში გასაჩერებლად არ ემეტებოდა. ბედად მოუდანი მეგობრის ბინიდან ჩანდა კარგად. დედა-შვილმა იქ, ღია ფანჯარასთან მოიკალათა. მეგობართან მისვლამდე მისის ჰოდლმა კარგა ხანს ვერაფრით გადაწყვიტა რომელი შარვალი ჩაეცმია შვილისთვის, ბოლოს აჭიმებიან გრძელ შარვალზე შეჩერდა. დაიწყო თამაში. ბავშვი რაფაზე იჯდა. ანაზდად დედას ოთახში ვილაცისთვის რაღაცის თქმა დასჭირდა და მიტრიალდა. რომ მობრუნდა რას ხედავს, ბავშვი გაცოცებულა და... ცოტა ხანში ქალბატონი ჰოდლი ტიროდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ არჩევანი აჭიმებიან შარვალზე შეაჩერა. მან სულ ბოლო წამს სწორედ აჭიმებში ჩაავლო შვილს ხელი.

გამოხდა ორი წელიწადი. მისტერ და მისის ჰოდლები ოთხი წლის მომავალ მწვრთნელთან ერთად ქუჩაში მიდიან, უეცრად ბავშვი გზატკეცილზე გავარდა. ჰოდლს დღესაც ახსოვს მამის ღრიალი. დედას რომ ეკივლა, ყურადღებასაც არ მიაქცევდა, მაგრამ მამისგან ასეთი რამ იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ადგილზე გაშეშდა. გაშეშდა და მის ფეხის თითებთან საბარგო მანქანამ ჩაიღრჭიალა.

თხუთმეტი წლისა ჰოდლი ჩამოყალიბებული სპორტსმენი იყო, „ტოტენჰემის“ მოსწავლეთა გუნდში რეგულარულად ვარჯიშობდა და სკოლის მოკრიკეტეთა კაპიტანიც იყო. ხიფათს კრიკეტის თამაშისას გადაეყარა, როცა ბურთის დასაჭერად ტაფელოსანთან მეტისმეტად ახლოს დადგა. ტყვიასავით გამოსროლილი ბურთი ტაფელას აცდა და თვალში ვისაც მოხვდა გასაგებია. ყმაწვილკაცს მასწავლებელმა მისტერ გუდმენმა უშველა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, მოსწავლეს დახედა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაყვანა ბრძანა. თავიდან ჰარლოუს ჰოსპიტალში გააქანეს. იქიდან კი თვალის სპეციალიზებულ საავადმყოფოში. შანსი იმისა, რომ მარჯვენა თვალში მხედველობას არ დაჰკარგავდა ორმოცდაათი ორმოცდაათზე იყო. ექიმებმა ათი დღით განძრევლად წოლა დაუნიშნეს. იწვა ჰოდლი შებინტული თვალით და ვერ ისვენებდა. ბოლოს მკაფიოდ აუხსნეს, რომ დაბრმავების საშიშროების წინაშე იდგა და სინათლის გადასარჩენად მიცვალებულივით უნდა წოლილიყო. იკადრა ბოლოს. მიაჩერდა ჭერის ერთ წერტილს და იქიდან თვალი აღარ მოუშორებია.

ეს ისტორიაც იღბლიანად დასრულდა. გავიდა სულ ცოტა ხანი და „ტოტენჰემის“ გადარეულ [illegible] ერთად „არსენალის“ სტადიონს „ჰაიბრის“ მიაკითხა. ჰოდლი „სფურსის“ თავგადაკლული გულშემატკივარი იყო და საშინაო თუ საგარეო შეხვედრებს არ სტოვებდა.

უეცრად მათ ათკაციან ჯგუფს „არსენალის“ ფანები დაესხნენ თავს. ძალიან სწრაფი ცემა-ტყეპის შემდეგ ინციდენტი დამთავრდა ჰოდლი და მისი მეგობრები ქომაგობას მიუბრუნდნენ და მეტოქეთა გულშემატკივრების ყოველ შეძახილზე „არსენალ“, „არსენალ“, საპასუხოდ „ფუნას“ გაიძახოდნენ. ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ ერთმა სხეულზე რაღაც სისველე იგრძნო, შეიყო პერანგს შიგნით ხელი და რას ხედავს, სისხლი თქრიალით სდის. დანით დაუჭრიათ. დაჭრილი სასწრაფოდ ექიმებს გადასცეს, რომელთაც საავადმყოფოში გააქანეს. ცოტა ხანში მეორემ იგრძნო სისუსტე. მეგობრებმა თავზე დახედეს და იქაც სისხლი დაინახეს. მერე გაირკვა, ჩაქუჩი ჩაურტყამთ. თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ჰოდლმა და მისმა ნაბეგმა თანამეინახეებმა სტადიონი დატოვეს. აქაც ბედმა უშველა. ჩხუბის დროს იგი დაჭრილის გვერდით იდგა. ოციოდ სანტიმეტრით აქეთ და...

მას მერე ჰოდლი გასვლით თამაშზე გუნდს აღარ გაჰყოლია როგორც გულშემატკივარი. როგორც მოთამაშეს კი ცხადია ყველგან მოგზაურობა უწევდა.

ერთხელ, „უემბლიზე“ „ტოტენჰემი“ „ლივერპულს“ ხვდებოდა. ეს შეხვედრა „ჩერითი შილდისა“ იყო, რაც დანარჩენი ევროპის საფეხბურთო ენაზე ქვეყნის სუპერთასს ნიშნავს. სწორედ ამ თამაშში, დაშავებული სტივ პერიმანი ვერ მონაწილეობდა და ჰოდლს მის ნაცვლად კაპიტნობა მოუხდა. მოთელვის შემდეგ, ფორმის გამოსაცვლელად გასახდელისკენ მიმავალს თავში ათპენსიანი მონეტა მოხვდა. ეს, კარის უკან მოკალათებული ლივერპულელი ქომაგების ნავაჟკაცარი იყო. სისხლმა მთელი ტანსაცმელი მოთხვარა.

გასახდელში ექიმებმა გასინჯეს და საბედნიეროდ დაადგინეს, რომ ნაკერები არ სჭირდებოდა. ჰოდლი მიხვდა, რომ ამჯერადაც გაუმართლა. ოდნავ აქეთ თუ იქეთ შესაძლოა ყველაფერი გაცილებით ტრაგიკულად განვითარებულიყო. მან, დათრგუნულმა თამაშში მაინც მიიღო მონაწილეობა. „ლივერპულმა“ 1:0 მოიგო.

გლენ ჰოდლს ბედისწერისა მუდამ სწამდა. ყოველ ჩამოთვლილ ეპიზოდში, იგი თვლიდა, რომ განგებამ გადაარჩინა, რამეთუ სხვა მისია ევალებოდა. როდესაც მწვრთნელობა განიზრახა, მიხვდა, რომ ესეც ბედის სურვილი იყო, რადგან მისი დანიშნულება ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცობა გახლდათ. და ესეც ახდა.

**ბაჩუნა ქელია**



ბურთით ხელში გლენ ჰოდლი

# ლოცვანი გოლებამდე

დღეს, როცა მიილია საქართველოს ჩემპიონატის 14 ტური და პირველობის თითქმის ნახევარი დარჩა უკან, გარკვეულ შედეგებზეც შეიძლება საუბარი.

დავიწყოთ „ოდიშის" სატურნირო მდგომარეობით. 13 მატჩიდან (5 — შინ, 8 — სტუმრად) გუნდმა 6 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და 6 წააგო, ბურთების შეფარდებაა 21:13, აქტივში 19 ქულა. როგორც ხედავთ, ქულების სიუხვით „ოდიში" ვერ დაიკვეხნის და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ გუნდი სეზონის წინ ლიდერთა ოთხეულს უმიზნებდა, ამგვარი შედეგი წარუმატებლობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ზუგდიდელებმა ცნობილ მოთამაშეთა მოზრდილი ჯგუფიც იწვიეს და მწვრთნელიც სახელიანი მიუჩინეს — წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი და ქართული მწვრთნელთა კორპუსის მეტრად მიჩნეული იღბლიანი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა. ამ ყოველივეს ბევრი ფული სჭირდებოდა და, ამასთან, ზუგდიდელ გულშემატკივარს ევროპაში გასვლის იმედსაც უსახავდა. თითქოსდა ცოტაღა დარჩა გასაკეთებელი, მითუმეტეს, რომ ოთხეულში მოხვედრის პრეტენდენტთა რიცხვი შესამჩნევად, თითქმის მინიმუმამდე შემცირდა. რჩებოდა სულ „მცირე" რამ — ქულების მოგროვება და ჩემპიონატის ფინიშამდე მიღწევა. აი, სწორედ აქ დაიწყო ყველაზე ძნელი, უსიამოვნო და მოულოდნელი პერიოდი — „ოდიშისთვის" ქულების დათმობას არავინ აპირებდა, მეტიც, ყველა გუნდი თავის საუკეთესო მატჩს სწორედ ზუგდიდელთა წინააღმდეგ ატარებდა. განსაკუთრებით დაუნდობელნი გუნდები შინ იყვნენ. ქულების მოსაპოვებლად კი მარტო ძალების სრულად მოკრება არ კმაროდა, თავდადებაც იყო საჭირო. უპირველესად, ოსტატობის დონე მეტოქისაზე მაღალი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მეტიც — გაირკვა, რომ „ოდიშის" ვარსკვლავები არცთუ ძლიერები ყოფილან. ზოგის მზე უკვე ჩასულა, ზოგისაც — ჯერ არ ამოსულა, მხოლოდ გურჩუა, აბუსერიძე, ფანცულაია და ჭედია არ გვიმტყუნებენ იმედებს. სხვები ახლაღა ღონიერდებიან და სასურველია, იმედებთან ერთად მათში დაბანდებულ დივიდენდებსა და მაღალ (ჩვენს პირობებში) ჰონორარებსაც თუ გაამართლებენ. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი — წინ ხომ პირველი წრის ბოლო და მთელი მეორე წრეა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ სასიკეთო ცვლილებები არ იქნება, თუ თავად ფეხბურთელები არ გაისიგრძეგანებენ მდგომარეობის სერიოზულობას და საკუთარ თავს მეტს არ მოსთხოვენ. მეტი პატივი უნდა სცენ გულშემატკივრებსაც, რომლებიც არც სიცხეს ერიდებიან და არც წვიმას, ოღონდაც თამაშს დაესწრონ. კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს გუნდის ბოლომდე ხეირიანად დასაკომპლექტებლად. ამ მხრივ იგი ნამდვილად სცოდავდა, თუმცა ამ ხალხსაც უნდა გავუგოთ — ჩვენი ბაზარი ღარიბია, ასე რომ, არც არჩევანია მდიდარი.

მავანმა გულშემატკივარმა იქნებ გაიფიქრა კიდეც, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად გუნდის ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტების ტრადიცის საფუძველი მოერყევაო, მაგრამ ეს ზუგდიდური ტრადიცია არავის დაურღვევია. რვა მოწვეულიდან ოთხი — ჭედია, კვიტატიანი, ჯიქია, წიტაიშვილი ძირძველი ზუგდიდელები არიან. ისინი მხოლოდ დაუბრუნდნენ თავიანთ გუნდს. გურჩუაც ხომ მეზობელი რაიონიდანაა. მხოლოდ ფანცულაიას, აბუსერიძესა და ბარქაიას თუ დაარქმევ ლეგიონერებს და მათშიც სისხლმა იყივლა. კაცმა რომ თქვას, ორი-ოთხი ფეხბურთელის მიწვევა მიღებული იყო ყოველთვის და ყველგან. ჯერ არ ყოფილა, ან თითქმის არ ყოფილა შემთხვევა მსოფლიოს საფეხბურთო პრაქტიკაში, გუნდი საკუთარი ქალაქის, რაიონის ან ოლქის მოთამაშეების ამარა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ტრადიციები არ დარღვეულა და ალბათ არც დაირღვევა. ტრადიციას არც ორი-სამი ფეხბურთელის დამატება და ამით ცალკეული რგოლების გაძლიერება ავნებს რამეს. გუნდისთვის ახლა ეს საჭიროზე მეტია. მაგრამ მთავარი, მე თუ მკითხავთ, მწვრთნელის მუშაობაა. სამწუხაროდ, ნებისმიერ განახლებულ გუნდს შეთამაშებისა და მწვრთნელის ახალი იდეების რეალიზაციისათვის დრო სჭირდება. „ოდიშმა" ჯერ ვერ „მოიხელთა" „თავისი" თამაში, ის ჯერ არ არის „გუნდი", რადგან არ არის ერთიანი. შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ 11 ფეხბურთელია, რ. მელთაც არა აქვთ დამუშავებული კომბინაცია და არც სასურველი ურთიერთგაგება არსებობს სათამაშო რგოლებსა თუ ცალკეულ ფეხბურთელებს შორის. გუნდის ტაქტიკური არსენალიც ერთობ მწირია.



მურთაზ ხურცილავა

ლევან მიქაძე „მეორე სართულზე"



„ოდიში" მძიმედ იწყებს თამაშს. თითქმის ყველა მატჩს სტუმრად, როგორც წესი, დებიუტში, საწყის 25-30 წუთში თმობს. შემდეგ გონებასაც იკრებს და ძალ-ღონესაც, მაგრამ 1-2 ბურთიანი სხვაობის აღმოფხვრა უკვე ძნელია. ასე მოხდა ლანჩხუთში „გურიასთან", ბათუმში, თბილისში „მერანთან". მაგრამ ყველაფრის მიზეზი არც ესაა. გუნდს თუ რაიმე არ ჰყოფნის, პირველ რიგში ოსტატობა და ბრძოლის უნარიანობა — არადა, იყო წლები, „ოდიშს" არც ერთი აკლდა, არც მეორე. ამ მხრივ მწვრთნელს გვარიანი სამუშაო ელის — ფსიქოლოგიური ფაქტორი ხომ ცოტას არ ნიშნავს. ხომ შეიძლება, გუნდი ფიზიკურად და ტაქტიკურად ისე მოამზადო, რომ სტუმრადაც ისევე თამაშობდეს, როგორც შინ, გაშვებული გოლის შემდეგ პანიკაში არ ვარდებოდეს, თითოეული ბურთიანი თუ უბურთო მოთამაშე სტუმრად მატჩშიც ირჩევდეს სწორ პოზიციას ამა თუ იმ ეპიზოდში. აი, რა არის ახლა მთავარი მწვრთნელის საქმიანობაში. თუმცა, ბოლო შეხვედრებში ეს ნაკლი იმდენად აღარ იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ლანჩხუთსა და თბილისში, ჩემპიონატის „კლანჭებიან" დებიუტანტთან „ოდიშს", სათამაშო სიტუაციებიდან გამომდინარე, არ უნდა წაეგო, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ მატჩის შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტები. ერთმა თავგადაკლულმა გულშემატკივარმა, ხუმრობა რომ არც უფიქრია, თქვა — ზუგდიდელებმა ეკლესიაში უნდა ილოცონ და ღმერთს იღბალი გამოსთხოვონო. ერთი სიტყვით, გუნდი არც ისე ცუდად გამოიყურება, როგორც შედეგიდან ჩანს, ხვალ კი იქნებ ბედმაც გაუღიმოს. თანდათან სტუმრობის კომპლექსსაც სძლევს და მწამს, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ წინა აქვს, მითუმეტეს, რომ პირველ წრეში სტუმრად უფრო მეტი მატჩი უწევს, მეორეში კი ერთით მეტი ექნება შინ სათამაშო. დიდი ფიზიკური დატვირთვებიც, ხურცილავამ რომ შემოიღო, თავდაპირველად უჩვეული იყო, ახლა ამას თანდათან ყველა ეგუება ფეხბუთელები ისე მძიმედ აღარ გრძნობენ თავს. ბოლო გასვლით შეხვედრებშიც სჯობნენ მეტოქეებს და ბევრად გამძლენიც იყვნენ. ამიტომაც, ოდიშელებმა იმედი არ უნდა დაკარგონ და ირწმუნონ, რომ ყველაფერი დაკარგული სულაც არ არის. მთავარია, უშუალო კონკურენტებს ნამეტანი არ ჩამორჩნენ, ბოლომდე დააკომპლექტონ გუნდი და თამაში დახვეწონ. ამის შემდეგ კი, როგორც ამბობენ, „გოლებიც იქნება". ჩემი მხრივ დავამატებ, რომ ევროპაც იქნება, სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს, რადგანაც გუნდს, რომელსაც ჰყავს აბუსერიძე, მიქაძე, ჭედია, ფანცულაია, წიტაიშვილი, ლიდერები — გაბედავა და გურჩუა, მწვრთნელები — მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ თუთბერიძე, ელგუჯა ქომეთიანი და ფეხბურთზე, ქალაქზე და გუნდზე გადაგებული კაცი ჯემალ გოგია, რომელმაც ფეხბურთში ყველაფერი თუ არა თითქმის ყველაფერი მაინც იცის, ეს სრულებით ხელეწიფება. სხვაგვარად არ შეიძლება მოხდეს იქ, სადაც ყველაზე სამართლიან და თავგამოდებულ გულშემატკივართა დიდი არმია (ყოველ შემთხვევაში, პროცენტულად) და ცნობილი „მეექვსე სექტორია", ესენი გუნდს სასტუმრო თამაშებზეც სრული შემადგენლობით დაჰყვებიან. იმას კი დავძენდი, რომ გუნდის სათავეში მყოფი ენერგიული, მოუღალავი ადამიანი — ბექან გუნავა ჭეშმარიტად მარტოა ბრძოლის ველზე. ესაც ტრადიციაა, რომელიც აუცილებლად უნდა დაირღვეს. აბა, რა ტრადიციაა, როცა ფეხბურთს მარტოხელა ენთუზიასტი მოვლენია მზრუნველად. არადა, გუნდი ხომ მთელი ქალაქისა უნდა იყოს და არა მხოლოდ მისი გულშემატკივრებისა და თავად ბექან გუნავასი.

მინდა, ამ მონდომებულ კაცს წარმატება ვუსურვო და ვურჩიო, ყველა საკითხში უფრო მეტად ენდოს ფეხბურთის იმ პროფესიონალებს, გუნდში რომ ჰყავს. მათ ხომ უკეთ იციან, როგორ მიუდგნენ ბურთს, რომელი მხრიდან გაკრიჭონ ბალახი მინდორზე, რა ენაზე ესაუბრონ ფეხბურთელებს. ყოველივე ამისა და ბატონი ბექანის გარემომცველთა ენთუზიაზმის სწორი სინთეზი კი ჩვენს ქალაქს მოუტანს იმ სიხარულს, რომელიც დიდი ხნის ლოდინით დაიმსახურა.

**რომან ბაბილონია**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

## კარიაული ინგლისთან ვერ ითამაშებს

დაკვირვებული მკითხველი შენიშნავდა, რომ საიტალიოდ გუცაევის მიერ გამოძახებული საბერძნეთის პაოკის ლეგიონერი დავით კარიაული არეცოში სათადარიგოთა სკამზეც არ მჯდარა. გუცაევმა კარიაული ინგლისელებთან შეხვედრისთვისაც გამოიძახა, მაგრამ ვერც ამჯერად მოირგებს დათო ნაკრების მაისურს. დათოს ოჯახის წევრებისგან შევიტყვეთ, რომ საბერძნეთში ჩასული ფეხბურთელი ტრამვებს გაუწამებია და ჩასვლის დღიდან არ უთამაშია. მათ უარყვეს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, თითქოს კარიაულს პაოკში ბერძნებსა და „მორკინალს" შორის წარმოქმნილი, ფინანსური პრობლემების გამო არ ათამაშებენ. •

## გემეზაშვილი „სამსუნსფორში"?

შესაძლოა, „დინამო 2"-ის ფეხბურთელი ირაკლი გემეზაშვილი მალე თურქეთის „სამსუნსფორში" ვიხილოთ, რადგან თურქები ამის თაობაზე „დინამოს" თავკაცებთან მოლაპარაკებას აპირებენ. ყველაფერი კი ზაფხულში დაიწყო, როცა ირაკლი „სამსუნში" იმყოფებოდა გასასინჯად.

„გუნდს შეკრებაზე გავყევი — გვიყვება ირაკლი, — თავიდან 32 მოთამაშე ვიყავით, ბოლოს 16-ღა დავრჩით და „ფენერბახჩესთან" პირველი ტურის შეხვედრისთვის ვემზადებოდით. გუნდს რუმინელი ჯიჯი მუნტესკუ ავარჯიშებდა, რომელმაც ოთხი უცხოელი დაგვტოვა — ბოავიშტელი იან ტიმოფტეს ძმა დენი ტიმოფტე, კამერუნელი მეკარე ბელი, ზაირელი მიშელ ნგონგე და მე. თურქებმა მითხრეს, შენ მეოთხე უცხოელი ხარ, დანარჩენებთან კონკურენცია ჯერ გაგიჭირდება და ეს პრობლემა იქნებ თურქეთის მოქალაქეობის მიღებით მოვაგვაროთო. იმ 16 კაცში მართლაც ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი — 19 წლის და მათი თქმა არც იყო საჭირო, თავადაც ვხვდებოდი, რომ გამოცდილ უცხოელებს შემადგენლობიდან ვერ ამოვაგდებდი. თანაც თურქეთის მოქალაქეობასთან ერთად მუსულმანობის მიღებაც შემომთავაზეს. თურქებმა ფენერბახჩელი ბოლიჩის მაგალითი მომიყვანეს: ბოლიჩს, ბოსნიელ სერბს, თურმე მაჰმადის რჯული მიუღია, წინადაცვეთის წესი შეუსრულებია, ქრისტიან მეუღლეს გაშორებია და მუსულმანი შეურთავს. ამაზე ვერ დავთანხმდებოდი. თურქებს, პასუხი რომ გაიგეს, ჩემზე უარი მაინც არ უთქვამთ, იქიდან სხვა მიზეზით წამოვედი. „დინამოსთან" ფორმალური მხარე დროზე ვერ გაირკვა და ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადში შეყვანა ვერ მომიხერხეს. მაგრამ თურქეთის ჩემპიონატის პირველი წრე მალე დამთავრდება, მანამდე კი „სამსუნი" „დინამოსთან" მოლაპარაკებებს განაახლებს და მალე ყველაფერი გაირკვევა".

## რუსთაველებს არჩვაძე აკლიათ

სეზონის დაწყება და რუსთაველთა მცველის გელა არჩვაძის დაშავება ერთი იყო. არადა, ტრავმებისგან გაწამებული ფეხბურთელის არყოფნა „გორდას" აშკარად დაეტყო. მეტალურგებს უკანა ხაზი მთლად წესრიგში ვერა ჰყავთ. არჩვაძეს კი არა და არ ადგება საშველი. როგორც კომპეტენტური პირები ამბობენ, გელას წელის ტკივილები აწუხებს, ვითომ, ანთებაც განუვითარდა. ეს კი მეტად საშიშია — ფეხბურთელის ავადმყოფობა შესაძლოა ქრონიკულად იქცეს, რაც ძალზე დასანანი იქნება.

## ყაველაშვილმა ოპერაცია გაიკეთა

ბოლონიის „სიონის" დაცვის ბურჯმა მურად ყაველაშვილმა [illegible] მოარჩინა მტკივანი ფეხი. შეგახსენებთ, რომ მურაზ [illegible] „გორდა" — „ივერიას" მატჩი[illegible] დაშავდა [illegible] ფეხბურთელი არ შეუშინდა და მცირე შესვენებებით მაინც თამაშობდა. რა თქმა უნდა, ასე დიდხანს ვერ გაძლებდა. ყაველაშვილი წელს ისევ „გორდა" — „ივერიას" შეხვედრაზე ვნახეთ, კოჭლობდა.

— ოპერაცია მაინც დამჭირდა. მენისკმა შემაწუხა. ასე რომ, ორი კვირის განმავლობაში ბურთს ახლოსაც ვერ გავეკარები. მინდორზე ალბათ, მეორე წრის დასაწყისში გამოვალ, მანამდე ჩემი მდგომარეობა ამის საშუალებას არ მომცემს.

„სიონს" პირველ წრეში ერთი მატჩიღა დარჩა სათამაშო, ასე რომ, ყაველაშვილს მხოლოდ ამ თამაშში მოისაკლისებენ.

## ვაკელებს უცხოეთში იტაცებენ

თუ ასე გაგრძელდა, მალე „ვაკე-91"-ის აღზრდილები საქართველოს გარდა ყველგან ითამაშებენ. ხუმრობა იქით იყოს და, პერუელების ინტერესის საგანი, 11 წლის გიორგი დათუნაიშვილი ხომ გაგაცანით, ახლა ახალ ვაკელ ლეგიონერებზე გეტყვით. ცოტა ხნის წინ ამერიკაში, ცნობილი კიეველი ფეხბურთელის ალექსანდრე ხაპსალისის სკოლაში, თავად ხაპსალისის მიწვევით სამი ნიჭიერი ფეხბურთელი გაემგზავრა: 11 წლის ავთო ქარაული (123-ე სკოლა), 12 წლის ჯონი გვაგვალია (54-ე სკოლა) და 10 წლის გიგა გიგანი (51-ე სკოლა). ჩვენი ბიჭები ამერიკაში ექვს თვეს დაჰყოფენ, ჰოლივუდში იცხოვრებენ და ვარჯიშის გარდა ხაპსალისის გუნდის შემადგენლობაში არაერთ ტურნირში გამოვლენ. ხაპსალისს ლოსანჯელესის გუნდისთვისაც „დინამო" დაურქმევია და ერთ-ერთი ასაკის მწვრთნელად ჩვენებური კოტე დოლიძე — „ვაკე-91"-ის „მამა" მიუწვევია.

გიგანი და ქარაული ამასწინათ დანიაშიც იყვნენ და ქარაულმა თანატოლ ნორვეგიელებს სამი გოლიც შეუგდო.




არქიტექტურული სტუდია

გთავაზობთ:

პროექტირება

მშენებლობა

დიზაინი

ინტერიერი

საკუთარი და საერთო
საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, ბანკები, ოფისები,
ავტოგასამართი სადგურები, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები,
შენობა-ნაგებობათა ფასადები,
აგრეთვე სხვა საპროექტო და
სამშენებლო სამუშაოები

ალ. ყაზბეგის გამ. №42
II კორპ, IV სართული
T: 36 14 42



# ყიფიანი — 5 ჯანელიძე — 4

**დინამო 2:0 კახეთი**

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ნ. ლობჟანიძე, კუდინოვი, ზ. ჯელაძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი (დიდავა 70), ჯამარაული, ჩხაიძე (ცქიტიშვილი 29), დემეტრაძე (ხომერიკი 46), იაშვილი
**კახეთი:** ასლანაძე, ა. ბოჭორიშვილი, ტარუაშვილი, კ. წიკლაური, ნაცვლაიძე, ჭვრიტიძე, გ. ლობჟანიძე, ჯამიაშვილი (მამისაშვილი 46), შონია (ნონიკაშვილი 83), ბაბულაიძე, ღვინიაშვილი (ხორავა 89), ბეწუკელი
1:0, 2:0 იაშვილი (44, 88)
**მსაჯი:** ს. კახიანი (სამტრედია)

არის ასეთი მწვრთნელი, საქართველოში ჯონი ჯანელიძე, ტანსრული, გულღია, ხუმარა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით არის ასე, თორემ სინამდვილეში აისბერგივითაა, რაც ზემოთაა, სამი იმდენი ქვემოთაა. ამ „ქვემოთაში" ფეხბურთის ჩინებულად მცოდნე, პროფესიონალი და, რაც მთავარია, დიდი ფსიქოლოგი იმალება. ჯანელიძემ საქართველოს ფეხბურთის ავან-ჩავანი, მგონი, ყველაზე კარგად იცის და ზოგ მწვრთნელს ჯერ ნაფიქრიც რომ არ აქვს, ბატონ ჯონის ის უკვე დავიწყებია. ამ ჩემს სიტყვებს ერთი უეჭველი ფაქტის მოხმობით განვამტკიცებ — სადაც უნდა წავიდეს ჯონი ჯანელიძე, რომელი გუნდიც არ უნდა ჩაიბაროს, მუდამ ფეხზე აყენებს და თუ ვარსკვლავებს არ აკრეფინებს, საქართველოში მის გუნდს ყველა ანგარიშს უწევს. ეგაა, დიდხანს ვერსად შერჩა, ბოროტი ენები ამბობენ, თავად ჯონის აქვს ცუდი ენაო. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ჯონი ჯანელიძე თუნდაც მხოლოდ იმიტომ შევა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში ფოთის „კოლხეთით" თბილისის „დინამო" დაამარცხა, მერე მაჩაჩალა გურჯაანის „ერქვანით" ერთხელაც გაიმეორა მსგავსი თბილისში, ოღონდ უყიფიანო „დინამოს" მოუგო . როგორ მოახერხა ეს ჯონი ჯანელიძემ, ცალკე სალაპარაკო თემაა და შორს წაგვიყვანს. ამხელა შესავალი კი იმად დამჭირდა, რომ გუშინწინ ისევ შედგა ყიფიანისა და ჯანელიძის დუელი და „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა რევანში აიღო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთხელ ჯანელიძე „მარგვეთით" ყიფიანის „დინამოს" 3:3 ეთამაშა, მაშინ გატანილი ბურთების რაოდენობით „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დაწინაურებულა. ამ ვრცელ შესავალს იმით დავასრულებ, რომ გაოცებული ვკითხავ, რატომ არის ჯანელიძე თვეობით უმუშევარი. თელავის „კახეთს" სათავეში ჩაუდგა თუ არა, მეორე დღესვე მოაგებინა ადრე მისსავე გაწვრთნილ „მერანთან". მოკლედ, ჯანელიძე ფეხბურთს დაუბრუნდა.

რაც შეეხება გუშინდელ მატჩს, იგი „დინამომ" საბრძოლო შემადგენლობით დაიწყო. თუ არ ვცდები, ამ სეზონში პირველად ვიხილეთ სასტარტო შემადგენლობაში დემეტრაძე და იაშვილი ერთად, წინწაწეული ნახევარმცველი ჯამარაული იყო, საყრდენი — ინალიშვილი, მარჯვნივ გოგიჩაიშვილი თამაშობდა, მის უკან, დაცვაში — ჯელაძე, მარცხენა ფრთის კონტროლი კვლავინდებურად ჩხაიძეს ევალა, ლიბერო კუდინოვი იყო. მეტოქის თავდამსხმელებზე კალაძე და ლობჟანიძე თამაშობდნენ. დინამოელებს, ცოტა, მაგრამ მაინც ეტყობოდათ პორტუგალიური განცდები. ვფიქრობ, ყიფიანი სწორად მოიქცა, საბრძოლო შემადგენლობა რომ დააყენა — მალე ინგლისელებთან შეხვედრა გვიწევს და „დინამოს" ლიდერებისთვის ამ მატჩს ერთგვარი დადებითი ფსიქოლოგიური მუხტის როლი უნდა ეთამაშა. ასე იყო თუ ისე, ჯანელიძის „კახეთი" ერთობ გაუძალიანდა „დინამოს" და თბილისელებიც, თითქოს რაღაცამ დანავსაო, ზედიზედ აცუდებდნენ საგოლე მომენტებს. აღსანიშნავია ჯარიმების ორიგინალური შესრულება: კედლის წინ ერთი დინამოელი ოდნავ უგორებს ბურთს მეორეს, იგი აჩერებს და მესამე ურტყამს. სტანდარტული სიტუაციების ამგვარ შესრულებას ევროპაში მრავალი გუნდი მიმართავს და ალბათ ჩვენთვისაც უპრიანი იქნება, რაკიღა ჩვენს ტექნიკურ ფეხბურთელებს ხშირად აქცევენ საჯარიმოს წინ და თანაბარი თამაშისას, შესაძლოა, ერთმა ზუსტმა ჯარიმამ გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

„კახეთს" ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, ფეხბურთს დაბრუნებული ვეტერანი გოჩა ჭვრიტიძე გამოცდილების ხარჯზე სახიფათოც იყო და ერთხელ მარცხნიდან საგოლე ჩაწოდებაც გააზერხა, მაგრამ შონია და ბაბულაიძე ვერ შეწვდნენ. ერთი მომენტი თელაველებს მეორე ტაიმშიც ჰქონდათ, მაგრამ ზოიძემ ივარგა.

„დინამო" კი მაინც „დინამოა" და ასპროცენტიან შედეგს ხომ არ გააცუდებდა ჩემპიონატში: იაშვილმა მისთვის 82-ე მატჩში ტაიმების ბოლოს ორჯერ „გაისროლა" და გატანილი გოლთა რაოდენობა 78-მდე გაზარდა.

მატჩის შემდეგ დინამოელთა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა თქვა, ბიჭები გონს მოდიან და ეს ასეც უნდა იყოს, რაკიღა წინ ახალი მატჩები გველისო, ჯონი ჯანელიძემ კი, ყველა ღონეს ვიხმარ თელაველთა გუნდის ჯგუფში დასატოვებლად და თუ კახელთა მხრიდან ხელშეწყობა მექნა, წრეთა შორის შესვენებისას ორ ფეხბურთელსაც დავიმატებ და მეორე წრეში მაყურებელს სულ სხვა „კახეთს" ვანახვებო.

ისე, თუ ჯანელიძეს კახელები მხარში დაუდგებიან, მეორე წრეში თელავში საინტერესო მატჩის მომსწრენი შეიძლება გავხდეთ: „დინამოლოგი ჯონი" ალბათ კიდევ შეეცდება სამატიანო საქმის ჩადენას.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო, რომ თამაშს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა მთელი შემადგენლობა დაესწრო, დღე-დღეზე ინგლისი ჩამოდის და ნაკრებების კანდიდატებს ყურადღებით აკვირდებიან...

**მამუკა კვარაცხელია**

# სიგმა დოპინგი

**ტორპედო 5:0 დილა**

**ტორპედო:** ნიშნიანიძე, შეყრილაძე (ვ. გოგიაძე 71), ვ. თურმანიძე, რუხაძე (ვაშაკიძე 78), სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, გ. მეგრელაძე, მ. მეგრელაძე (შენგელია 60), აშვეთია, ვაჩიბერაძე
**დილა:** მდივანი, ზალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, გ. ლომიძე (ტაბატაძე 57), ფეზუაშვილი, წკრიალაშვილი, კაიდარაშვილი (ჯალაბაძე 46)
1:0, 2:0 აშვეთია (7, 43), 3:0 ვაჩიბერაძე (59), 4:0 გ. მეგრელაძე (61), 5:0 აშვეთია (68)
**გაფრთხილება:** ლომიძე, შეყრილაძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ორივე გუნდი განსხვავებული განწყობით შეხვდა მატჩის დაწყებას. მართლაც საოცარი უიღბლობაა, ჩემპიონატი ისე არ ჩაივლის, რომელიმე გუნდმა ავტობუსის გაფუჭების გამო ან თამაშზე არ დააგვიანოს, ანაც ზედ მატჩის წინ არ შევიდეს სტადიონზე. სწორედ ასე დაემართათ გორელ ფეხბურთელებს, რომელბმაც მხოლოდ საკუთარი მანქანებით ჩამოაღწიეს ქუთაისამდე. თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო — გიორგი რევაზიშვილი მაინც მოისაკლისეს, რომელმაც, აქაოდა, ძალიან სწრაფად ივლითო, სახლში დარჩენა ამჯობინა. „დილას" ძირითადი მეკარე რამაზ სოლოლაშვილიც აკლდა, ოღონდ იმ მიზეზით, რომ ჯერ კიდევ ვერ მოეშუშებინა ნაკრებში მიღებული ტრავმა.

ტორპედოელები კი გახალისებულები და ჟინით ძალმოცემულები გამოვიდნენ სათამაშოდ. „სიგმა" ბანკმა მათ ერთი თვის ხელფასი და ჯილდო სწორედ შეხვედრის წინ ჩამოურიგა და შეიძლება ითქვას, დიდი ანგარიშით გამარჯვებას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი.

„ტორპედო" პირველი წუთებიდანვე დაეუფლა ინიციატივას და ზედიზედ სამი კუთხურიც ჩააწოდა. სტუმართა დაცვას დიდი ჯაფა დაადგა, რაც უმთავრესად ქუთაისელთა მოედნის ცენტრში ძალზე აქტიურმა, მობილურმა თამაშმა განაპირობა. სოსო ფრუიძემ, ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, კვლავ გასამებული ცენტრი ათამაშა (კვეტენაძე, გ. მეგრელაძე, ჯინჭარაძე), ფლანგებზე კი, ოდნავ უკან გადმონაცვლებულმა აშვეთიამ და ვაჩიბერაძემ იმდენი იმოძრავეს, რომ მცველებს, ფაქტიურად, აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი. უკვე მე-7 წუთზე კვეტენაძემ მარცხენა ფლანგზე კარგად აუარა გვერდი ხაჭაპურიძეს და საჯარიმოში მარტოდ დარჩენილ აშვეთიას [illegible] თავზე დაასვა ბურთი, რომელიც მან კარიდან გამოსული მდივანს თავზე გადაუგდო — 1:0.

გაშვებულმა გოლმა გორელები თითქოს გამოაფხიზლა და სცადეს კიდეც რაღაც ღირებულის შექმნა, მაგრამ ნახევარმცველები ისე პასიურობდნენ, რომ მარტო კაიდარაშვილის აქტიურობამ შედეგი ვერ გამოიღო. მას შემდეგ კი, სტუმართა მწვრთნელმა ვაშაკიძემ ეს ერთადერთი აქტიური მოთამაშე რომ შეცვალა, „დილას" შეტევები მთლად უნიათო გახადა. თუმცა მანამდე, პირველი ტაიმის მიწურულს კვლავ შეგვახსენა თავი მერაბ მეგრელაძემ, რომელმაც მოედნის სიღრმიდან ჯინჭარაძის ზუსტი პასის შემდეგ, თავად დასარტყმელ პოზიციაში მყოფმა, ეს მისია შვილის კბილა აშვეთიას გადაულოცა და მანაც არ გააწბილა — მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში მეორე გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში მდგომარეობა არ შეცვლილა — „ტორპედო" უტევდა, „დილა" კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება ნაკლები გოლი გაეშვა. ვერც ამაში ივარგეს გორელებმა და უკვე 59-ე წუთზე დაბნეულმა ჯამბულ გაგნიძემ მერაბ მეგრელაძეს მიაწოდა ბურთი, შემდეგ კი, რომ იტყვიან, ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო და აშვეთია — ვაჩიბერაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

შეცვლაზე შემოსული გიორგი შენგელიას აქტიურობამ კიდევ უფრო გაამწვავა ქუთაისელთა შეტევები და საბოლოოდ მოუღო ბოლო გორელთა უსუსურ თამაშს. შვიდწუთიან მონკვეთში შენგელიამ ჯერ გია მეგრელაძეს შეუქმნა საგოლე პოზიცია, შემდეგ კი მიხეილ აშვეთიას გაატანინა ამ შეხვედრაში მეხუთე, მისთვის კი მესამე გოლი. მატჩის მიწურულს თავად გიორგისაც ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ იჩქარა.

მწვრთნელთა კომენტარი

**სოსო ვაშაკიძე:** „ტორპედომ" ღირსეულად გაიმარჯვა, ჩემს ბიჭებს კი მომქანცველმა მგზავრობამ შეუშალა ხელი, ვფიქრობ, ასეთი ჩავარდნა მეტად აღარ გვექნება.

**სოსო ფრუიძე:** დღევანდელი შედეგითაც და ნაწილობრივ თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ, გუნდი, შეიძლება ითქვას, ახლა შეთამაშდა და სათამაშო რგოლებში ურთიერთობაც ახლა მოწესრიგდა. ბიჭები საბრძოლველად იმანაც განაწყო, რომ გარკვეულწილად ანაზღაურებაც მივიღეთ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ გაჭირვების ჟამს გუნდს გვერდში ედგა და ამხნევებდა.

**რამაზ ჩხიკვაძე** ქუთაისიდან

# მოულოდნელი შევარდენი

**კოლხეთი 1:1 შევარდენი**

**კოლხეთი:** გოგუა, კაკაჩია (მიშველაძე 44), შ. ხუჯაძე, გოროზია, ლაღანიძე, ზ. ამბიძე (ინიაშვილი 70), გახოკიძე, მ. ქობულაძე, გ. დარასელია, ბულუხია
**შევარდენი:** სიდამონიძე, თელიაშვილი, ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი (ბარასკევიშვილი 89), კობესაშვილი, კანკავა, გიორგი ქორიძე (გიგუა 85), ჩიგოშვილი (სვანიძე 87)
0:1 როსტიაშვილი (61), 1:1 დარასელია (78)
24-ე წუთზე მელქაძემ ვერ გამოიყენა პენალტი
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

თბილისელებმა ტურის სენსაცია მოახდინეს. ფრეს ძნელად თუ წარმოიდგინდა ვინმე შევარდნელებს სტუმრად თამაში ძლიერ უჭირთ, მითუმეტეს, ახლა ლიდერებს ხვდებოდნენ, რომლთანაც, წესით და რიგით, ბოლოდროინდელი ჩავარდნის შემდეგ შინ გამარჯვებისთვის თავი არ უნდა დაეზოგათ.

შეხვედრამდე ორივეს პრობლემები შეექმნა — 2 გაფრთხილების გამო ფოთელი სოლოღაშვილი თამაშს სტოვებდა, დათო კი გუნდისთვის უდაოდ დიდ ძალას წარმოადგენს, ქუნთელიაც დაშავებული იყო და სოსო ფილიას, უკვე მერამდენედ წლევანდელ ჩემპიონატში, შემადგენლობაში იძულებითი ექსპერიმენტის ჩატარება მოუხდა. თუმცა სტუმრებს უფრო დიდი პრობლემა ჰქონდათ — ორი თავდამსხმელი სხვადასხვა მიზეზით „თამაშგარეში" დარჩა — საბიაშვილს მუხლი ორივე მხრიდან აწუხებდა და თამაშამდე 3 დღით ადრე მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ჩუხუას კი, სოლოღაშვილის მსგავსად, მოედნამდე გზა ორმა ყვითელმა „გადაუღობა". ამას მეკარე სიდამონიძის სიცხეც დაერთო, მაგრამ, რაკი მეორე მეკარე ემზარ მოსულიშვილი დაშავებული იყო, მოედანზე ისევ „თხუნელას" მოუხდა გასვლა. „ავადმყოფი" მეკარის ქება თვით ფოთელებმა თქვეს — სიცხიანი თუ ასე კარგად ირჯება, ჯანმრთელი როგორღა ითამაშებსო. თუმცა, ამაზე შემდეგ. ჯერ კი შეხვედრის მსვლელობას მივყვეთ.

წვიმის შემდეგ ფოთში აგრილდა და ამ საამო სიგრილემ მოთამაშეებს მოედანზე გასვლის წინ კარგი განწყობილება შეუქმნა. სტუდენტებმა ყოველგვარი მორიდებისა და დაძაბულობის გარეშე შეუტიეს მასპინძლებს. მეტოქეებმა განსხვავებული ტაქტიკით ითამაშეს. თბილისელებმა პერსონალური მეურვეობა არჩიეს: კობიაშვილი მიქაბერიძეს მეურვეობდა, თელიაშვილი — ბულუხიას, ცენტრალური ნახევარმცველები კი მასპინძელ „კოლეგებს" მხოლოდ შეტევებში აედევნებოდნენ ხოლმე. ფოთელებმა ზონური პრესინგი ამჯობინეს. შევარდენელები მჭიდრო თამაშით მათ სათამაშო სივრცეს უზღუდავდნენ და მკვირცხლ კოლხებს მეტად გაუჭირვეს საქმე. ეს გახდა კიდეც მიზეზი მასპინძელთათვის არასასურველი შედეგისა. გარდა ამისა, თბილისელები, ნახევარდაცვის მშვენიერი თამაშის წყალობით, მეტად მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. საუცხოო იყო შევარდენელთა კაპიტანი კოტე მელქაძე. მართალია, 24-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრამ მის წვლილს ესაც კი არ აუფერულებს. 24-ეზე სტუმრებმა კონტრშეტევა წამოიწყეს — როსტიაშვილმა ბურთი ჩიგოშვილს გადააწოდა, ამან — კობესაშვილს, ბოლოს ბურთი მიუვიდა გიორგი ქორიძეს, რომელიც მცველს კი გასცდა, მაგრამ წააქციეს. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი. ჩემს გვერდით მსხდარი გუნდების წარმომადგენლები — ერთისაც და მეორისაც, რატომღაც დაბეჯითებით ამბობდნენ, გოგუა პენალტს აიღებსო. კოტე მელქაძე აშკარად არადამაჯერებელი მოძრაობით მიუახლოვდა ბურთს, მეკარისგან მარჯვენა კუთხეში სუსტად დაარტყა, გოგუამ კუთხე გამოიცნო და ბურთის აღებაც არ გაჭირვებია. ასე რომ, სტუმრებმა უკვე პირველ ტაიმში გაუშვეს ხელიდან ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, თუმცა, ამ ფაქტს მათზე მაინცდამაინც დიდი ფსიქოლოგიური გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, ბრძოლის ჟინი უფრო მოემატათ და 33-ე წუთზე ნამდვილი საარტილერიო შტურმიც კი მოუწყვეს ფოთელებს, მაგრამ ორჯერ მცველებმა იყოჩაღეს, ორჯერ კი ბურთი... შევარდენელ ქორიძეს მოხვდა. ქორიძე რომ არა, გოგუას ბურთის აღება გაუჭირდებოდა.

ნამდვილად არ მინდა ისეთი სურათი დავხატო, თითქოს სტუმრებმა აშკარად გადაჯობეს მასპინძლები, არა, თამაში თანაბარი იყო, [illegible] ფოთელებს თავდასხმაში შეთანხმებული მოქმედება აკლდათ. ამ თვალსაზრისით მათ სტუმრებმა ნამდვილად აჯობეს. თუმცა, გაშვებული ბურთის შემდეგ ფოთელებიც გამოცოცხლდნენ. მანამდე კი, პირველი ტაიმის ბოლოს, კაკაჩია დაშავდა და მეორე ტაიმი „კოლხეთში" კვლავ გადაადგილებები მოხდა. მასპინძლებმა მეორე ტაიმის დასაწყისში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ სიდამონიძე სასწაულებს სჩადიოდა — გამოსვლებზეც კარგი იყო, პოზიციის შერჩევის დროსაც და რეაქციასაც ვერავინ დაუწუნებდა, ლაღანიძის და გახოკიძის მიერ შესრულებული საჯარიმოებიც მშვენივრად მოიგერია. სხვათა შორის, სტუმრებს საჯარიმოს მისადგომებთან რამდენჯერმე სახიფათო ჯარიმა დაუნიშნეს, მაგრამ ფოთელებმა ეს შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს. მიქაბერიძესაც ჰქონდა გოლის გატანის კარგი შანსები, მაგრამ ვერც მან იმარჯვა.

61-ე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ. კვლავ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, მინდიაშვილმა როსტიაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ამანაც კარიდან გამოსულ გოგუას ბურთი თავზე გადაუგდო.

„კოლხეთის" თამაში წლევანდელ ჩემპიონატში ქართული ფილმის — „რეკორდის" გმირს ჯოტია ცაავას მაგონებს, ქვას მანამ როს არ ისვრის, სანამ არ შეაგინებენ. ფეხბურთში შეგინებად გოლი ითვლება, ფოთელებს წელს უკვე მეოთხედ უხდებათ „ქვის სროლა" და მატჩის ბედის მოტრიალება. 61-ე წუთის შემდეგ ისინი მთელი ძალით ათამაშდნენ და ისედაც დაძაბულ შეხვედრას დაძაბულობა კიდევ უფრო შემატეს. ამ პერიოდიდან დაწყებული, ბურთი მოედნის ცენტრში არც გაჩერებულა. მაყურებელთა ყიჟინამ ფოთელები გაამხნევა, მაგრამ 78-ე წუთზე დარასელიას მიერ გატანილ გოლს ველარაფერი მიუმატეს და ეს უდაოდ შევარდენელთა დამსახურებაა. ეს მათი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო სეზონში. ფაქტია, რომ ამ ახალგაზრდულ გუნდს, რომლის საშუალო ასაკი 20-21 წელია, დიდი პოტენცია გააჩნია და წელს თუ ჯგუფში დამკვიდრდა, მომავალში მეტის მიღწევაც ძალუძს.

მატჩის მერე გაოგნებული სოსო ფილიასგან ეს მოვისმინე — ვერ გამიგია, რა ემართებათ ბიჭებს ბოლო ტურებში, უკვე დავიბენი, რა აღარ ვიღონე, საიდან არ მივუდექი წარუმატებლობის, მიზეზი კი ვერ დავადგინე. გადაღლის ბრალიაო, ძნელი სათქმელია. ერთი ხანობა ბიჭებს დასვენების საშუალებაც მივეცი. მოკლედ, გუნდში ვითარება უნდა შეიცვალოს, თორემ ძალიან ცუდ ტენდენციებს ვამჩნევ და ეს უნდა აღმოიფხვრას.

**ელგუჯა ხუციშვილი, „შევარდენი":** დღეს ერთადერთი გუნდი, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა ძნელია, „დინამოა". დანარჩენებთან კი შეიძლება ბრძოლა. მთავარია, მონდომება და ჟინი იყოს. თამაშის წინ ბიჭები შევაგულიანეთ. ვფიქრობ, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ჩვენების თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ.

**მერაბ მამულაშვილი** ფოთიდან



შევარდენთა კაპიტანი კოტე მელქაძე

## „ივერიის“ წაგებული მოსაგები

**გორდა 2:0 ივერია**

**გორდა:** ჭიჭინაძე, ლაბაძე (მუშკუდიანი 31), მურჯიკნელი, პატარიძე, სახვაძე (ბექაური 42), გაბელაია, მელაძე, არსოშვილი, ა. ჯელაძე, ზირაქიშვილი, მეტრეველი

**ივერია:** გოგალაძე (ხვედელიძე 46), ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, შ. ლაცაბიძე, ტყემალაძე, ზირაქაძე, კალმახელიძე (ხარაზიშვილი 63), წივწივაძე, თორია

1:0 ზირაქიშვილი (6) 2:0 ჯელაძე (89)

**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

ეს მატჩი ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ თამაშად მიიჩნეოდა. ორივე გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერზეა და ერთის მარცხი მეორის ალზევებას ნიშნავდა. უარეს დღეში, რა თქმა უნდა, სტუმრები იყვნენ. სპეციალისტთა ვარაუდი, რუსთავში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდებაო, გამტყუნდა. სანახავად ყოვლად უხეირო თამაში გახლდათ, ტემპს ხომ ნულარ იკითხავთ — ერთობ დაბალი, ნაკლიც და ხარვეზიც — უამრავი, დაუმატეთ ამას უვარგისი მინდორი და კიდევ მრავალი სუბიექტურ-ობიექტური პრობლემები... მაგრამ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ, ორივე კართან ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა, ეგაა, ორივე მხარის თავდამსხმელთა უნიათობამ მაყურებელი მხოლოდ ორ გოლს დააჯერა. ერთ დეტალზეც გვსურს ყურადღების გამახვილება: ნამდვილად უცნაური ხალხი ვართ ქართველები. შეგვიძლია, გაუთავებლად ვიწუწუნოთ გაჭირვებაზე, გაუსაძლის ყოფაზე, უფულობაზე... მართლაც — ყველამ იცის, რომ ჩვენი ფეხბურთელები ჩემპიონატს ნახევრად მშივრები იწყებენ და ასევე აგრძელებენ, მთელი სეზონი კუჭ და ჯიბეცარიელები ირჯებიან, მაგრამ მატჩის წინ რომ მოთამაშე საფუძვლიანად უნდა გახურდეს და კუნთები საბრძოლველად განაწყოს, ამას რა რაიონის გამგებლის ყურადღება და დახმარება სჭირდება. არადა, ამ პრობლემის წინაშე ჩვენი ფეხბურთელების ნახევარი მაინც დგას და არის გაუთავებელი წუწუნი: კუნთი გამეჭიმა, საზარდული მაწუხებს... ოფლითი და ტანჯვით ძლივს ნაშოვნი კაპიკებიც წამლობას მიაქვს. სხვათა შორის, ეს ყოველივე მსაჯების გასაგონადაც არის ნათქვამი და თუ გაითვალისწინებენ, მათვე არგებთ. ნოემბერი დაგვიდგა, აცივდა და, ბუნებრივია, თამაშის წინ უფრო გულიანად და ხანგრძლივად უნდა გახურდე. თუ არა, ასეთ კურიოზულ ვითარებაში ჩავარდება ვინდა მსაჯი და გინდა მოთამაშე: პირველი ტაიმის დასაწყისში ექიმის დახმარება მთავარ არბიტრს თუმურ მაჭარაძეს დასჭირდა და მატჩიც ორიოდ წუთით შეწყდა. მიზეზი ის იყო, ზემოთ რომ მოგახსენეთ...

თამაში რუსთაველთა შეტევებით დაიწყო და ათი წუთის განმავლობაში ისინი დომინირებდნენ. ამ ხნის მანძილზე სტუმართა კართან ერთხელ შეიქმნა საგანგაშო სიტუაცია და მათ კარში გოლიც გავიდა. მარჯვნივ გაქცეული მელაძე კუთხურის ხაზთან მოცელეს, მეტრეველმა ჯარიმა საჯარიმოში ჩააწოდა, აქ რუსთაველთაგან ყველაზე სახიფათომ, ზირაქიშვილმა ბურთს თავი უცნაურად წაჰკრა და გაიტანა კიდეც. სტუმართა მცველების და მეკარის შეცდომა აშკარა იყო. „ივერიამ“ წაგება და ბედთან შეგუება არ ინდომა და გაიბრძოლა, რაც, პირველ რიგში, მასპინძელი ნახევარმცველების დამსახურება გახლდათ: მათ მეტოქეს სრულიად დაუთმეს შუახაზი და ზაზა ლაცაბიძეს და ტყემალაძეს საშუალება მისცეს თავდამსხმელები პასებით ემარაგებინათ. მასპინძელთაგან ზირაქიშვილი თუ ახერხებდა გადმოგდებული ბურთის მოხელთებას და გარღვევის წამოწყებას. სტუმართაგან კი ყველაზე აქტიური თორია იყო — ყველა ხიფათი სწორედ მისგან იწყებოდა. როცა მას ლაბაძე ველარ გაუმკლავდა, მწვრთნელმა ამ უკანასკნელის ნაცვლად მუშკუდიანი შეუშვეს, მერე სახვაძესაც ბექაური ანაცვლეს, მაგრამ თორიას აქტიურობას ამით არა მოჰკლებია რა. ხაშურელთაგან მარტო წივწივაძეს სამჯერ შეეძლო გატანა, თანაც სამჯერვე, ფაქტიურად, მეკარის პირდაპირ იდგა. პირველად საკმაოდ სუსტად და უზუსტოდ დაარტყა, ორჯერ კი რუსთაველთა ახალბედა კარის დარაჯმა ჭიჭინაძემ ივარგა, რომელიც მატჩში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო. ტაიმის ბოლო წუთზე შეტევებით გართულ ხაშურელებს ზირაქიშვილი გაეპარათ, რობერტომაც მცველების მოგერიებული მოიხელთა და გოგალაძესთან პირისპირ გაქიდა. გოლი გარდუვალი ჩანდა, თანაც როინი, ხეირიანად გაუხურებლობის გამო, აკოჭლებულიყო, მაგრამ მაინც ივარგა და მდგომარეობა განმუხტა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან მეკარეგამოცვლილი სტუმრები მასპინძლებს სჯობდნენ, მომენტებიც საკმაოდ შექმნეს, მაგრამ ხან თორიამ და წივწივაძემ დაარტყეს არაზუსტად, ხანაც ჭიჭინაძემ ივარგა, ერთხელ კი მასპინძლები ხარიხამ იხსნა — ნეკერაშვილის დარტყმული მინდორზე მოაბრუნა. მოკლედ, თანდათან გამოჩნდა, რომ იმ დღეს „ივერია“ გოლის გამტანი არ იყო. მეორე ნახევრის შუაწელიდან მასპინძლებიც გონს მოეგნენ და ხუთი აშკარა საგოლე მომენტიც შექმნეს. მათი გამოცოცხლება მეტრეველის 30-მეტრიანი რეიდით დაიწყო. ამან ყველა გზად შემხვედრი მოატყუა, ცოტა დააკლდა, კარში ბურთიანად შესულიყო, მაგრამ რად გინდა, მეკარეს დაპირისპირებულმა ბურთი კარს გადააცილა. ამის მერე არმაზ ჯელაძე სამჯერ დარჩა ხვედელიძის პირისპირ და სამჯერვე გააცუდა დარტყმა. არმაზს კარზე დაგეშილ ფეხბურთელად ვიცნობთ და, ცოტა არ იყოს, უცნაურიც იყო მისი ასეთი უნიათო თამაში. გულშემატკივრები ხუმრობდნენ კიდეც, დღეს ბუცები უკულმა ხომ არ აცვიაო. თუმცა ჯელაძემ მაინც გაიტანა: ზირაქიშვილმა ჩინებული პასით ისევ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ამჯერად არმაზმა ივარგა.

მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტუმრებს მრავალთაგან ცოტა საგოლე მომენტი მაინც რომ გამოეყენებინათ, რუსთავიდან გულდაწყვეტილები არ წავიდოდნენ. ასეთი უპირატესობა და ამდენი საგოლე მომენტი სადღა და როდისღა გვექნებაო, წუხდა ხაშურელთა თავკაცი მალხაზ ლაცაბიძე. რუსთაველების მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა კოლეგას შეხუმრებით კი მიმართა მაგრამ სიმართლე გამოუვიდა — ბიჭო, მალხაზ, ეს რა მოსაგები თამაში წააგეო. გამარჯვებამ „გორდას“ სული მოათქმევინა, „ივერია“ კი ცუდ დღეში ჩააგდო. მაგრამ ხაშურელებმა, ფარ-ხმალის დაყრას მაინც არ ვაპირებთ, ალბათ მალე პრეზიდენტიც გვეყოლება და რაიონის ხელმძღვანელობაც საშველს დაგვაყენებსო, გვითხრეს. ასეა თუ ისე, ფაქტია: „გორდაც“ და „ივერიაც“ ჯერჯერობით უსახსრო და უპატრონო გუნდებს განეკუთვნებიან და უკეთესი მომავლის იმედითღა ცოცხლობენ, მაგრამ ეს ლოდინიც როდემდე...

**მამუკა კვანტალიანი** რუსთავიდან



ზაზა ლაცაბიძემ წამით დაასწრო მამუკა მელაძეს

## რას ერჩი, ხომ დანიშნა...

**სამგურალი 1:1 მერანი**

**სამგურალი:** ქვაჩახია, ლ. ქობულაძე, მანაგაძე (გელაშვილი 55), ფხაკაძე, გ. ჯანელიძე, ბუნტური, ჭყონია (უშვერიძე 77), ფესტვენიძე, ბრეგვაძე, ხურცილავა, ჯანაშია

**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, გოგიბერიშვილი, ჯიშკარიანი, კაკუბავა, დანელია, ბ. კვარაცხელია, ხორხელი, ჭოლოკავა (ბუტიკაშვილი 70), ლ. ამბიძე (დავითაშვილი 55), პერტია (მაზიაშვილი 25)

1:0 ხურცილავა (20), 1:1 დანელია (78)

**გაფრთხილება:** ჯიშკარიანი, ჯანელიძე, მაზიაშვილი

90-ე წუთზე უშვერიძემ ვერ გამოიყენა პენალტი

**მსაჯი:** გ. ასკაროვი (ქარელი)

წყალტუბოს მიკროავტობუსით გავემგზავრე. ქალაქში შესულმა ავტომ ნაცნობი გზიდან რომ გადაუხვია, შეშფოთებული მძღოლს დავეკითხე, სტადიონამდე თუ მიდიოდა. კიო, მითხრა და ერთდროულად რამდენიმე მგზავრმაც იკითხა, რავა, დღეს ფეხბურთიაო? აღარ გამკვირვებია, როცა ვნახე, რომ აფიშა მხოლოდ სტადიონის შესასვლელთან გაეკრათ. ამიტომაც არის, სტადიონზე მყოფი მაყურებლის უმეტესობას ახლომდებარე სანატორიუმებს შეხიზნული ლტოლვილები რომ შეადგენენ. ისაც მითხრეს, ფეხბურთით არც ადგილობრივი ტელევიზია იწუხებს თავსო. არადა, ფეხბურთი რომ უფრო ხეირიანად შუქდებოდეს, დარწმუნებული ვარ, მაყურებელიც მეტი იქნებოდა. მატჩი კი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. უპირატესობა თავიდან სტუმრებისა იყო და პირველი სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს. მე-10 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი ჭოლოკავამ შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ძელს გაარტყა. ამის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და ტაიმის ბოლომდე აღარ დაუთმიათ. მე-20 წუთზე მასპინძლებმა მოედნის შუა გულში კომბინაცია გაითამაშეს, მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ბუნტური გარღვევაზეც გაიყვანეს და მანაც არ დაახანა საჯარიმოში ჩაწოდება. იქ კი მეკარე შეცდა გამოსვლაზე და ხურცილავასაც მეტი რა უნდოდა, იცოცხლეთ, თავი უჭრის და გოლის გატანაც არ გასჭირვებია. აუცილებლად აღსანიშნავია ბუნტურის თამაში, რომელმაც მოსვენება დაუკარგა მცველებს. მასთან ერთად კარგი თამაშით მაყურებელს თავი დაამახსოვრეს ხურცილავამ და ქობულაძემ. გატანილი გოლის შემდეგ, მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ და სტუმართა კართან სახიფათო მომენტებმაც იმატა. ჯერ იყო და, დოლიძემ იმარჯვა და ფეხიდან აართვა ბურთი ხურცილავას. ცოტა ხანში ხურცილავამვე ჯანაშიას ჩაწოდებულ ბურთს კვლავ თავი დაუხვედრა, მაგრამ ამჯერად მცირე მანძილით ააცილა. 31-ე წუთზე ბუნტური რამდენიმე მცველს გასცდა, საჯარიმოში შეჭრილმა მეკარეც მოატყუა, მაგრამ ბურთი გაექცა და ჩაწოდებაღა მოახერხა, აქ კი ჯანაშიამ ვერ ივარგა და ბურთი დაკარგა. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

წყალტუბოელებმა იერიშები მეორე ტაიმის დასაწყისშივე განაახლეს და ჯანაშიას 54-ე წუთზე გატანაც შეეძლო, მაგრამ ორჯერ დარტყმული ბურთი მიზანს მაინც ასცდა: ჯერ მეკარემ მოიგერია, შემდეგ ჯანაშიამ ააცილა. ამის მერე უპირატესობას ნელ-ნელა სტუმრები დაეუფლნენ, მოედნის ცენტრსაც ისინი აკონტროლებდნენ, მაგრამ მეტოქის კარს ხიფათს ვერ უქმნიდნენ. 70-ე წუთზე მათი მორიგი შეტევა მასპინძლებმა ჩაშრეს და ბუნტურმა საკუთარი საჯარიმოდან, გრძელი და ზუსტი პასით ჯანაშიას შეუქმნა ხელსაყრელი ვითარება, მაგრამ იგი საჯარიმოს წინა ხაზთან წააქციეს. მსაჯმა გაძევების ნაცვლად გაფრთხილება აკმარა ჯიშკარიანს, რამაც მასპინძელთა უკმაყოფილება გამოიწვია და, რომ იტყვიან, თამაშიც „გააფუჭა“: ორივე გუნდის ფეხბურთელებს ნერვიულობა დაეტყოთ. გახშირდა უხეშობა, შემდეგ კი კამათი და გაწევ-გამოწევაც. 78-ე წუთზე მასპინძელთა მცველები შეცდნენ და უყურადღებოდ დარჩენილმა დანელიამ ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. 83-ე წუთზე დანიშნული საჯარიმოდან ჯანაშიამ ძელს გაარტყა ბურთი, ორიოდ წუთში კი უკვე სტუმრებს შეეძლოთ გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა მაზიაშვილმა მცირედით ააცილა ბურთი კარს. თამაშის მიწურულს არბიტრს ასკაროვის ყვითელი ბარათების აფრიალება მოუხდა. ჯერ ჯანელიძე გააფრთხილა კამათისთვის, შემდეგ მაზიაშვილი. ამ უკანასკნელს, მგონი, მასპინძელთა გულის მოსაგებად უფრო აჩვენა ყვითელი ბარათი. უკანასკნელ წუთზე წყალტუბოელთა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა. ბრეგვაძემაც უმალ ჩააწოდა საჯარიმოში და ერთ-ერთი სტუმართაგანი ბურთს ხელით წაეპოტინა. მსაჯმაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. თერთმეტმეტრიანი ჯეირან უშვერიძემ დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და მატჩიც ფრედ დამთავრდა. შეხვედრის შემდეგ ზოგიერთი გულშემატკივარი მსაჯის მისამართით ამბობდა, რას ერჩი, პენალტი ხომ დანიშნაო. ეს სიტყვები მაშინ უფრო იქნებოდა უპრიანი, „ისე რა“ პენალტი რომ დაენიშნა, თორემ ეს პენალტიც რომ არ დაედო, ალბათ უვნებელი ვერ გადარჩებოდა.

**სოსო ბარქაია** წყალტუბოდან

## მეპარე წინ თამაშობს

**ბათუმი 2:0 სიონი**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, შანიძე, ფუტკარაძე (ტრაპაიძე 46), შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, დ. მახარაძე (უჯმაჯურიძე 46), ა. მუჯირი

**სიონი:** ბაბუაძე, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ჯიქიძე, ქორთუა, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (დალაქიშვილი 38), გ. ჩომახიძე, ჯაგიდისი, მეტრეველი

1:0 თორღაშვილი (21), 2:0 დ. მახარაძე (43)

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

„კოლხეთთან“ წაგებამ ბოლნისელები მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. „სიონის“ მთავარი მწვრთნელის ანზორ გძელიძის თქმით, სწორედ ეს იყო მიზეზი, გაბისონია, ქოიავა, სამხარაძე და გაბრიჭიძე ბათუმში რომ არ ჩავიდნენ. „სიონს“ ტრავმირებული ყაველაშვილიც აკლდა და გუნდი ბათუმს 12 ფეხბურთელით, აქედან 2 მეკარით გაემგზავრა. გარდა ამისა, ბოლნისელებს გზაში ავტობუსი გაუფუჭდათ და თამაშზე დაღლილ-დაქანცულები ჩავიდნენ. თითქოს ეს არ კმაროდაო, პირველივე ტაიმში ჯაფარიძე დაშავდა და გძელიძეს ისღა დარჩენოდა, თადარიგის მეკარე დალაქიშვილი სხვა ამპლუაში ეთამაშებინა. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან 0:2 წაგება „სიონს“ სამარცხვინოდ არ უნდა ჩაეთვალოს. მაგრამ გუნდის საქმეები რომ უკან-უკან მიდის, ფაქტია. არადა, საწყენია, პირველ წრეში ხომ ბოლნისელ ფეხბურთელებს ერთი გრო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

**სამტრედია 2:1 ოდიში**

**სამტრედია:** პანტურია, ანჯაფარიძე, ლორია, ხვადაგიანი, პავლიაშვილი, გეგეშიძე (ტონია 89), შ. ჩომახიძე, ნოდია (დოსაძე 46), გვასალია (ივეჩია-ნი 46), ფანჩულიძე, ბერიშვილი

**ოდიში:** აბუსერიძე, წიტაიშვილი, გუჩუა, ჭედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯიქია, გაბედავა, ფანცულაია (იფაქიძე 74), კალანდაძე

0:1 წიტაიშვილი (11), 1:1 ივეჩიანი (55), 2:1 ბერიშვილი (71)

**გაფრთხილება:** გუჩუა, ფანჩულიძე, ჯიქია, გეგეშიძე

**მსაჯი:** ს. შილამბერიძე (თბილისი)

**მარგვეთი 2:0 გურია**

**მარგვეთი:** გვენცაძე, მოლოყელიძე, ქვანია, ლანჩავა, გ. თურმანიძე (შავგულიძე 88), კაციაშვილი, სულაკაძე, გეწაძე (ფანცხავა 82), ჯ. წიკლაური, უკლება, ქებაძე (გუბელაძე 85)

**გურია:** ვოლკოვი, თ. ღურწკაია, თევზაძე, ცერცვაძე, ბუცურეიშვილი, ყოლბაია, ფიცურია (ხოსროშვილი 52), განევი (კოროტკოვი 75), ო. კორლოლიძე, გვიანიძე, გვარჯალაძე (დ. გოდერძიშვილი 62)

1:0 უკლება (30), 2:0 ქებაძე (81)

**გაფრთხილება:** გეწაძე, ყოლბაია

**გაძევება:** ყოლბაია

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

## მეორე ლიგა

**XIII ტური**

**აღმოსავლეთი**

შევარდენი 2 — ასკ 0:2, სამგორი — შსს აკადემია 1:1, ცხინვალი — დინამო 2 3:1, ჰერეთი — დურუჯი 1:1, ქინერი — მესხეთი 2:1, იბერია — მორკინალი 0:2, შირაქი — 35 სტუ 3:1, მრეტები — ავაზა 2:0, კოდაკო — თორი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 12 | 10 | 2 | 0 | 25:4 | 32 |
| ცხინვალი | 13 | 9 | 0 | 4 | 27:13 | 27 |
| მორკინალი | 11 | 8 | 2 | 1 | 26:3 | 26 |
| კოდაკო | 11 | 7 | 2 | 2 | 15:7 | 23 |
| ასკ | 12 | 7 | 1 | 4 | 23:18 | 22 |
| შირაქი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:15 | 22 |
| არმაზი | 10 | 7 | 0 | 3 | 25:17 | 21 |
| შსს აკადემია | 12 | 6 | 1 | 5 | 27:16 | 19 |
| დინამო 2 | 10 | 5 | 2 | 3 | 24:14 | 17 |
| მრეტები | 12 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 17 |
| იბერია | 13 | 5 | 1 | 7 | 18:19 | 16 |
| თორი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:15 | 16 |
| ქინერი | 11 | 4 | 1 | 6 | 17:25 | 13 |
| 35-სტუ | 11 | 3 | 3 | 5 | 20:19 | 12 |
| სამგორი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:22 | 10 |
| შევარდენი 2 | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| ჰერეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 12:19 | 7 |
| დურუჯი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:32 | 5 |
| ავაზა | 11 | 1 | 1 | 9 | 8:24 | 4 |
| მესხეთი | 11 | 1 | 0 | 10 | 11:34 | 3 |

**დასავლეთი**

მერცხალი — ოლიმპია 1:0, იმერეთი — მეშახტე 2:3, ოდიში 2 — მამისონი 0:0, კოლხეთი 2 — სულორი 1:0, სქური — კახაბერი 6:1, სამეგრელო — მადაროელი 2:3, საპოვნელა — ეგრისი 1:1, ბათუმი 2 — ტორპედო 2 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მადაროელი | 13 | 12 | 0 | 1 | 44:13 | 36 |
| მეშახტე | 12 | 11 | 0 | 1 | 29:8 | 33 |
| მერცხალი | 12 | 9 | 0 | 3 | 36:14 | 27 |
| იმერეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:13 | 20 |
| სალხინო | 12 | 6 | 1 | 5 | 23:19 | 19 |
| ოლიმპია | 12 | 6 | 1 | 5 | 18:19 | 19 |
| კოლხეთი 2 | 11 | 5 | 2 | 4 | 17:9 | 17 |
| საპოვნელა | 12 | 4 | 5 | 3 | 16:20 | 17 |
| მამისონი | 12 | 4 | 3 | 5 | 25:26 | 15 |
| სამეგრელო | 12 | 4 | 3 | 5 | 18:20 | 15 |
| სულორი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:16 | 15 |
| სქური | 12 | 3 | 4 | 5 | 14:19 | 13 |
| ეგრისი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:22 | 9 |
| ტორპედო 2 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:26 | 9 |
| ბათუმი 2 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:25 | 8 |
| კახაბერი | 12 | 2 | 1 | 9 | 12:40 | 7 |
| ოდიში 2 | 12 | 1 | 3 | 8 | 6:21 | 6 |

## ბომბარდირები

| | | თ | პ | გ |
|---|---|---|---|---|
| 1 - გიორგი დემეტრაძე | „დინამო“ | 9 | (3) | 12 |
| 2 - დავით უჯმაჯურიძე | „ბათუმი“ | 11 | (2) | 11 |
| 3 - ლევან ქებაძე | „მარგვეთი“ | 12 | (-) | 10 |
| მიხეილ აშვეთია | „ტორპედო“ | 14 | (-) | 10 |
| 5 - ალექსანდრე იაშვილი | „დინამო“ | 5 | (-) | 9 |

## XIII ტურის სტატისტიკა

| | სულ | | მასპინძლები | | სტუმრები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტური | 96-97 | ტური | 96-97 | ტური | 96-97 |
| თამაში | 8 | 108 | 8 | 108 | 8 | 108 |
| მოგება | 6 | 95 | 6 | 78 | 0 | 17 |
| ფრე | 2 | 14 | 2 | 14 | 2 | 14 |
| წაგება | 6 | 95 | 0 | 17 | 6 | 78 |
| გოლი | 20 | 337 | 17 | 252 | 3 | 85 |
| საშუალო შედეგიანობა | 2,50 | 3,12 | 2,13 | 2,33 | 0,37 | 0,79 |
| პენალტი | 2 | 33 | 1 | 23 | 1 | 10 |
| გამოყენებულია | 0 | 28 | 0 | 19 | 0 | 9 |
| რეალიზაცია | 0 | 0,85 | 0 | 0,83 | 0 | 0,90 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 1 | 34 | 1 | 31 | 0 | 3 |
| აგებდნენ და მოიგეს | 1 | 12 | 1 | 8 | 0 | 4 |
| ჰეთ-თრიქი | 1 | 8 | 1 | 6 | 0 | 2 |
| დუბლი | 1 | 38 | 1 | 33 | 0 | 5 |
| გაფრთხილება | 11 | 164 | 5 | 77 | 6 | 87 |
| გაძევება | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 2 |

წინა ტურის მატჩში „ოდიში“ — „კოლხეთი“ დუბლი წიტაიშვილს კი არა ფანცულაიას შეუსრულებია, მეთორმეტე ტურის შეხვედრა „ბათუმი“ — „ტორპედო“ კი ზუგდიდელ სერგო კვარაცხელიას უმსაჯია

- პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულია ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები
- მეორე, მეოთხე და მეექვსე სვეტებში მოცემულია მიმდინარე ჩემპიონატის ჯამური მაჩვენებლები

# ბლექბერნს უმწვრთნელობა მოუხდა

## ინგლისი

### უიმბლდონი 2:2 არსენალი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ჯოუნზი, ბლექველი, თეტჩერი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, გეილი, პერი, ერდლი.
**არსენალი:** სიმენი, დიკსონი, უინტერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, პლატი, რაიტი, მერსონი, ბერხკამპი (გრეიდი 76), კიოუნი
**გოლი:** რაიტი (6), ჯოუნზი (44), მერსონი (64), გეილი (67)
**გაფრთხილება:** ვიეირა, კიოუნი

„სელჰარსტ პარკზე" თამაში რომ დამთავრდა, 25 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა მეტოქეები ფეხზე წამოდგომით და ოვაციით გააცილა გასახდელისკენ. ორჯერ იგებდა „არსენალი" და ორივეჯერ „უიმბლდონმა" არ დაანება.

პირველ წუთზე „მეთოფეთა" მცველმა ბოულდმა რატომღაც ბურთი გაატარა. მომენტს ეფან ეკოკუმ აუღო ალღო და ბოლოს გასატანად იჩქარა, მაგრამ დევიდ სიმენი ჩაუწვა და წააქცია. უიმბლდონელები მსაჯს მიეჭრნენ, თუმცა რედილელმა არბიტრმა ოლკოკმა დანაშაული ვერ შეიცნო და თამაშის გაგრძელება მოითხოვა.

მე-6 წუთზე იან რაიტმა გახსნა ანგარიში. ეს მისი მეცამეტე გოლი იყო მიმდინარე ჩემპიონატში. ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე უელსელმა ვინი ჯოუნზმა მეტოქის კარის ხაზთან ფეხბურთელთა მთელს შეჯგუფებას აჯობა და თაურით გაქვითა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „არსენალმა" კვლავ უპირატესობას მიაღწია; რომელიც 64-ე წუთზე მეორე გოლად აქცია. პოლ მერსონმა რაიტის პასით დალაშქრა სალივანის კარი, თუმცა სიხარული მხოლოდდამხოლოდ სამწუთიანი აღმოჩნდა. კუთხურიდან ჩაწოდებული მარკუს გეილმა შორეულ ძელთან შეაგდო.

### ასტონ ვილა 2:0 ნოტინგემი

**ასტონ ვილა:** ოუქზი, ნელსონი, რაიტი, საუთგეიტი, ტაილერი, ეჰიოგუ, თაუნსენდი, ტეილორი, ჩურჩიზი, იორკი, ჯონსონი
**ნოტინგემი:** კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ლი, ფილიპსი (როი 79), ჯემილი, სონდერსი, უონი, ჰაალანდი
**გოლი:** ტაილერი (20), იორკი (65)
**გაფრთხილება:** უონი

კარლ ტაილერმა მე-20 წუთზე თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. მან მეორე გოლის შექმნაშიც მიიღო მონაწილეობა და ფრენკ კლარკის გუნდი ზედიზედ მეთერთმეტე შეხვედრაში გამარჯვების გარეშე დატოვა.

საგულისხმოა, რომ „ვილას" ცენტრალური მცველი, ტრავმის გამო მხოლოდ მეექვსე მატჩს თამაშობდა იმ ერთ წელიწადში, რაც კლარკის მიერ სათადარიგოთა სკამზე გაყინული 750 ათას გირვანქად ახალ გუნდს შეუერთდა.

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ გოლის გასატანი უმცირესი შანსიც კი გამოიყენა.

65-ე წუთზე ენდი თაუნსენდის მიერ მოწოდებული კუთხური ტაილერმა კეფით მეკარის ბაქნისკენ გადაავდო, იქ კი დუაით იორკმა მიწაზე დაცემა არ აცალა, იხე შეაგდო ბადეში. ეს იორკის მეექვსე გოლი გახლდათ.

ახლა, ამ დამარცხების შემდეგ „ნოტინგემ ფორესტს" 33 შესაძლებლობიდან მხოლოდ ოთხი ქულა აქვს მოპოვებული. კლარკის გუნდმა ერთადერთხელ, პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა.

### ბლექბერნი 3:0 ლივერპული

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი (ბოჰინენი 79), ვილკოქსი, სატონი, მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი
**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, რაიტი, ბები, მაკმანამანი, ფაულერი, ბარნსი, ბერგერი (კოლიმორი 59), თომასი, ბიორნებიუ (რედნეპი 34), მატეო
**გოლი:** სატონი (3 პ, 56), ვილკოქსი (24)
**გაფრთხილება:** მაკკინლი, ბერგი, ბები, ფაულერი

„ივუდ პარკს" კარგი დროება დაუბრუნდა. სტადიონზე, სადაც ექვსი თვეა გამარჯვება არ უხეიმიათ უმწვრთნელო „ბლექბერნმა" პირველ წარმატებას მიაღწია, თან ვისთან!

24-ე წუთზე მასპინძლებმა ორბურთიან უპირატესობას მიაღწიეს და „ლივერპული" ჩრდილს დაემსგავსა. ასმეოთხმოცე წამზე ვილკოქსის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი კრის სატონმა გოლად აქცია და ამით დაიწყო ყველაფერი. 56-ზე სატონმა მეორედაც რომ შეაგდო, 1994 წლის ოქტომბრის შედეგი გაიმეორა. ბოლოს ერთ მატჩში ორჯერ სწორედ მაშინ გაიტანა.

72-ზე „ლივერპულს" საუკეთესო შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მათი (რობი ფაულერის) საუკეთესო მომენტიც კი ტიმ ფლაუერსისთვის იოლი ლუკმა აღმოჩნდა.

„ბლექბერნი" მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩაგრავდა მეტოქეს და მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელს ტონი პარკსს პირველსავე შეხვედრაში დიდებული საჩუქარი მიულოცა.

### მანჩესტერი 1:2 ჩელსი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, ირვინი, მეი, კანტონა, ბათი, ბექემი, ფ. ნევილი, კინი, შოლსი (პობორსკი 69), იონსენი, სოლსკიაერი
**ჩელსი:** ჰიჩკოკი, პერტესკუ, ლებეფი, კლარკი, ვიალი, ჰიუზი, უაიზი, დაბერი, ბერლი, დი მატეო, მინტო
**გოლი:** დაბერი (31), ვიალი (61), პობორსკი (81)
**გაფრთხილება:** კანტონა, ფ. ნევილი, კლარკი, დაბერი, პეტრესკუ

ჯანლუკა ვიალის გოლმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ორკვირიანი კოშმარი ჩამოყალიბებულ კრიზისად აქცია. ინგლისის ჩემპიონატში მანჩესტერის დიდ გუნდს, შინ, წაუგებელი 35-თამაშიანი სვლა შეუწყდა.

მაშ ასე, 0:5 „ნიუკასლთან", 3:6 „საუთჰემპტონთან", 0:1 „ფენერბაჩესთან" და აგერ 1:2 „ჩელსისთან".

ბოლოს „იუნაიტედმა" შინ 1994 წლის დეკემბერში „ნოტინგემ ფორესტთან" წააგო. იმავე ანგარიშით, ახლა რუუდ გულიტის გონივრული ტაქტიკით „ჩელსიმ" იმძლავრა.

თამაშის საწყის 30 წუთში ერიკ კანტონამ და როი კინმა ჩინებული შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან, გულიტის გუნდთან კი თუ მოგება გინდა, ასეთი რამ არ უნდა მოგივიდეს. ერთი წუთის შემდეგ დენის უაიზის მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან მაიკლ დაბერიმ თაურით გახსნა ანგარიში. თუკი მანჩესტერელთა მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს იმ წუთას რაიმე კითხვა მოუვიდა აზრად, ნაღდად ეს იქნებოდა: კი მაგრამ, ვინ მეურვეობდა დაბერის?

61-ე წუთზე ფრანკ ლებეფის გრძელი პასით მაესტრო ვიალიმ სხვაობა ორბურთიანი გახადა — ეს ის შემთხვევა იყო, როცა მეკარე, თუნდაც პიტერ შმაიხელი ბევრს ვერას გახდებოდა.

მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ჩეხმა კარელ პობორსკიმ „იუნაიტედს" იმედი ჩაუსახა, მაგრამ ამაოდ. მანჩესტერელები ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მარცხისთვის იყვნენ განწირული, რაც მათ თავს 1992 წლის აპრილის შემდეგ არ დატრიალებულა.

### დერბი ქაუნთი 2:0 ლესტერი

**დერბი:** ჰაულტი, როუეტი, მაკგრათი, ლაურსენი, იატსი, კ. პაუელი, ასანოვიჩი (სიმპსონი 85), დ. პაუელი, ფლინი, დეილი (სტარიჯი 76), უორდი
**ლესტერი:** პული, გრეისონი, უიტლოუ, უოტსი, პრაიორი (ლოურენსი 43), ჰილი (მარშალი 65), იზეტი, ლენონი, ტეილორი (პარკერი 65), კლარიჯი, ჰესკი
**გოლი:** უორდი (56), უიტლოუ (89, საკ. კარში)
**გაფრთხილება:** კ. პაუელი, უორდი, ფლინი, იზეტი, ჰესკი, ლოურენსი

„ბეისბოლ გრაუნდზე" ისტ-მიდლენდურ დერბიში გამარჯვებით „დერბი ქაუნთიმ" შინ მოგებული შეხვედრის შემდეგ სამი ქულა მიითვალა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 11 წუთის შემდეგ ეშლი უორდმა ახლო მანძილიდან დააწინაურა მასპინძლები, საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე კი მაიკ უიტლოუს ავტოგოლმა „ლესტერის" იმედის ნაფლეთებსაც კი აუკრძალა არსებობა.

მანამდე სტუმრებს იმედი უღვივოდათ. თუნდაც იმიტომ, რომ ჯეიმი ლოურენსს შეეძლო თაურით გაექვითა, მაგრამ „დერბის" მეკარემ რასელ ჰაულტმა ჯამბაზივით მოიგერია.

### ლიდსი 3:0 სანდერლენდი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, უეზეროლი, ბისლი, რადები, უოლესი, ბოუერი (კუზენსი 69), ფორდი, შარპი, რაში, დინი
**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, ჰაუი, მელვილი, სკოტი, კელი (რაე 53), ბრაისველი, ბოლი, გრეი, სტიუარტი (მალინი 79), ბრიჯიზი (რასელი 60)
**გოლი:** ფორდი (27), შარპი (62), დინი (68)
**გაფრთხილება:** ბოუიერი, რაე

„ელანდ როუდის" ტრიბუნებს მექსიკურმა ტალღამ გადაუარა. ხალხი ჯორჯ გრემის „ხელისუფლებაში მოსვლიდან" მეორე გამარჯვებას ზეიმობდა. და მაინც, ქვეყნის 1992 წლის ჩემპიონი, 1995 წლის ჩემპიონთან „ბლექბერნთან" ერთად სახიფათო ზონაშია.

### ნიუკასლი 3:1 მიდლსბრო

**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, ელიოტი, ალბერი, პიკოკი, ბეტი, ლი, გილესპი (ბარტონი 83), ჟინოლა, ასპრილია, ბერდსლი, ფერდინანდი
**მიდლსბრო:** უოლში, კოქსი, უაიტი, ვიკერსი, ფლემინგი, მერსონი, მასტო, ბეკი, ჟუნინიო, რავანელი, სტამპი
**გოლი:** ბერდსლი (40 პ, 69), ლი (74), ბეკი (89)
**გაფრთხილება:** ბეტი, ელიოტი, კოქსი, ემერსონი, ვიკერსი

პიტერ ბერდსლიმ დაამტკიცა, რომ ბევრ, წარსულს ჩაბარებულ ვარსკვლავთა შორის მისი მოხსენიება ნაადრევია. „მიდლსბროსთან" შეხვედრა მისთვის ჩემპიონატისა და თასის მეშვიდასე გახლდათ და ეს შთამბეჭდავი რიცხვი მან ორი გოლით აღნიშნა.

„მიდლსბრომ" პირველი გოლი კარგა ხანს აპროტესტა. სტუმართა ფეხბურთელები ამბობდნენ, დავიდ ჟინოლას ნილ კოქსი არ წაუქცევია, ფრანგმა მსაჯი მოატყუაო. სამაგიეროდ, მათ ბერდსლის მეორე გოლს ვერაფერი შებედეს. 35 წლის ვეტერანმა 236-ედ შეაგდო. კიგანის გუნდმა, რომელსაც ალან შირერი აკლდა, რობერტ ლის გარჯით 3:0 გახადა, თუმცა, „მიდლსბრომ" მშრალად წაგება არ ისურვა და მიქაელ ბეკმა 88-ზე მასპინძელა კარშიც შეაგდო. მანამდე კი სტუმრებმა ძელს მოარტყეს.

### შეფილდი 1:1 საუთჰემპტონი

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, ნიუსამი, უოქერი, კარბონი (ჰამფრიზი 87), ბუთი, ჰაიდი, ოუქზი (უითინგემი 79), ტრასტფული (ბლინკერი 70)
**საუთჰემპტონი:** უოდსი, დოდი, ლე ტისიე, ჩარლტონი, ნილსონი, ოქლი (სლეიტერი 77), დრაიდენი (პოტერი 82), ლუნდეკვანი (მეჯილტონი 61), ბერკოვიჩი, ოსტენსტადტი, ვან გობელი
**გოლი:** ნიუსამი (14), ლე ტისიე (50 პ)
**გაფრთხილება:** ნიუსამი, ვან გობელი

მეტიუ ლე ტისიემ თბილისში გამომგზავრების წინ, სეზონში მესამე პენალტი გაიტანა, რითაც „საუთჰემპტონის" წაუგებელ თამაშთა რიცხვი შვიდამდე გაიზარდა. „შეფილდ უენსდეის" კი ათ თამაშში პირველი მოგების შანსი მოუსპო.

„შეფილდმა" ჯონ ნიუსამის გოლის შემდეგ რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, რისთვისაც დაისაჯა.



REUTER

ტოტენჰემი — ვეს ტჰემი: კრის არმსტრონგს გამარჯვების გოლი გააქვს

### ტოტენჰემი 1:0 ვესტჰემი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი, ჰოუსი, კალდერვუდი, ნილსენი, შერინგემი, არმსტრონგი, უილსონი, კემპბელი, კარი, ალენი (როზენტალი 89)
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, დიკსი, ბიშოპი, რიპერი, პორფირიუ, დაუი, მონკური (ფუტე 76), ლაზარიდისი, ჰიუზი, ბილიჩი, ბრიკერი
**გოლი:** არმსტრონგი (67)
**გაფრთხილება:** ალენი

„უაით ჰართ ლეინზე" ერთხელაც დამტკიცდა, რომ გუნდი, რომელიც დაცვის გარდა არაფერზე ფიქრობს, აუცილებლად წააგებს. „ვესტ ჰემის" დაცვის შეუვალმა ბასტიონმა სლავენ ბილიჩმა 67-ე წუთზე უხეში შეცდომა დაუშვა და კრის არმსტრონგმა ლუდეკ მიკლოშკოს კარში გოლი გაატანინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 12 | 9 | 0 | 3 | 23:13 | 27 |
| არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 24:10 | 25 |
| უიმბლდონი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:13 | 23 |
| ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 23 |
| ჩელსი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:17 | 22 |
| მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 23:19 | 19 |
| ასტონ ვილა | 12 | 5 | 3 | 4 | 15:11 | 18 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:11 | 17 |
| შეფილდი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:17 | 16 |
| ევერტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:11 | 15 |
| დერბი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ვესტ ჰემი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | 14 |
| ლესტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 9:15 | 14 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 21:17 | 13 |
| მიდლსბრო | 12 | 3 | 4 | 5 | 17:21 | 13 |
| სანდერლენდი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | 13 |
| ლიდსი | 13 | 4 | 1 | 7 | 11:18 | 13 |
| ნოტინგემი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:20 | 8 |
| ქოვენთრი | 11 | 1 | 5 | 5 | 4:14 | 8 |
| ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:16 | 7 |

## პირველი დივიზიონი

### სვინდონი 2:0 მანჩესტერსიტი

**სიტი:** დიბლი, მაკგოლდრიკი, როჯერი, უიტლი (ფრონცეკი 70), საიმონსი, უასალი, სამერბი, კლაფი, დიკოვი, ქინქლაძე, როსლერი (ყაველაშვილი 75)
**გოლი:** ელისონი (51, 83)

„სვინდონის" მწვრთნელი სტივ მაკმაჰონი დიდად არ გაუხარებია მის ყოფილ და დღემდე საყვარელ „მანჩესტერ სიტისთან" მოგებას. მაკმაჰონს სწამს, რომ „სიტი" კვლავაც აღდგება ფერფლიდან და პრემიერლიგის ელიტას დაუბრუნდება. რაც მალე მით უკეთესი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმე ნამეტანი გაჯანჯლდება.

„სიტი" მთლიანად იმ პატარა ქართველზეა დამოკიდებული, გიორგი ქინქლაძე რომ ჰქვია და თუ მას თამაში არ გამოუდის, განწირულია. ქინქლაძეს კი, ერთი-ორ შემთხვევით ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, იმ დღეს ბურთი არ დაურტყამს. ლი კოლინზი, რომელიც პერსონალურად მეურვეობდა, ორიოდ შემთხვევაში თუ შეცდა.

— ჩემი აზრით, კოლინზი დიდებული იყო — თქვა მაკმაჰონმა — რაც „სვინდონის" მწვრთნელი ვარ, 90 წუთის განმავლობაში ასე კარგად არ გვითამაშია. დიდებული მატჩი იყო და თუმცა პენალტი ვერ შევაგდეთ, მაინც გავიმარჯვეთ.

მაკმაჰონმა „ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ ნათამაშები, შუა კვირის საცოდაობის შემდეგ, სასტარტო შემადგენლობაში შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. ერთი იმ ოთხთაგანი, ვინც დატოვა უეინ ელისონი იყო და გაუმართლა კიდეც. ორივე გოლი ელისონმა გაიტანა.

რაც შეეხება აცილებულ თერთმეტმეტრიანს, ის მეორე ტაიმის დასაწყისში იყო, როცა კევინ ჰორლოკის დარტყმული მეტისმეტად უზუსტო აღმოჩნდა.

მე-17 ტური: ბოლტონი — ჰადერსფილდი 2:0, ბრედფორდი — ოლდემი 0:3, გრიმსბი — შეფილდი 2:4, ნორვიჩი — ჩარლტონი 1:2, ოქსფორდი — იფსვიჩი 3:1, პორტ ველი — ბირმინგემი 3:0, პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი 4:0, ქუინზ პარკი — სტოკ სიტი 1:1, საუთენდი — რიდინგი 2:1, ტრანმერი — კრისტალ პალასი 1:3, ვულვერჰემპტონი — ბარნსლი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 16 | 11 | 4 | 1 | 37:20 | 37 |
| ნორვიჩი | 16 | 9 | 4 | 3 | 25:14 | 31 |
| კრ.პალასი | 16 | 8 | 6 | 2 | 36:13 | 30 |
| ბარნსლი | 15 | 7 | 6 | 2 | 27:18 | 27 |
| ვულვზი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:17 | 26 |
| შეფილდი | 14 | 7 | 4 | 3 | 29:16 | 25 |
| ტრანმერი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:20 | 25 |
| სვინდონი | 16 | 7 | 2 | 7 | 24:19 | 23 |
| სტოკ სიტი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:26 | 23 |
| ოქსფორდი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:13 | 22 |
| ქუინზ პარკი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:21 | 22 |
| პორტ ველი | 17 | 5 | 7 | 5 | 16:19 | 22 |
| პორტსმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:24 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 4 | 7 | 4 | 18:22 | 19 |
| ჰადერსფილდი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:21 | 19 |
| სიტი | 15 | 6 | 1 | 8 | 16:21 | 19 |
| საუთენდი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:27 | 19 |
| იფსვიჩი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| რიდინგი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:27 | 18 |
| ბირმინგემი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:17 | 17 |
| ჩარლტონი | 14 | 5 | 2 | 7 | 14:21 | 17 |
| ოლდემი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:23 | 14 |
| გრიმსბი | 17 | 3 | 4 | 10 | 18:36 | 13 |
| ბრედფორდი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:29 | 13 |

## საფრანგეთი

მე-15 ტური: ნანტი — სტრასბური 3:0 (გურვენეკი 6 პ, ნდორამი 38, ფერი 52), მონაკო — ბორდო 3:1 (ლეგვინსკი 6, ჰენრი 44, 65, ბა 71), ლე ჰავრი — ოსერი 0:2 (გოში 23, სამე 82), ლიონი — რენი 2:0 (კაველია 10, 53), პარი სენ ჟერმენი — ბასტია 3:0 (ლოკო 8, დელა ვალდესი 71, 81), ლანსი — ნიცა 3:2 (დებევე 70, დელმოტი 72, დეპუ 89 პ; დება 35, შაუში 51 პ), ნანსი — კაენი 1:2 (სეშე 79; ფერნანდესი 70, ბანკარელი 82), კანი — ლილი 0:1 (ბუტილი 34), გინგამი — მეცი 0:1 (ადამი 88), მონპელიე — მარსელი 2:0 (ბაკაიოკო 10, 46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 15 | 9 | 5 | 1 | 23:6 | 32 |
| მონაკო | 15 | 8 | 5 | 2 | 29:13 | 29 |
| ოსერი | 15 | 7 | 7 | 1 | 22:6 | 28 |
| ლანსი | 15 | 7 | 3 | 5 | 18:19 | 24 |
| ლილი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:22 | 23 |
| მეცი | 15 | 5 | 7 | 3 | 14:11 | 22 |
| სტრასბური | 15 | 7 | 1 | 7 | 18:23 | 22 |
| ბორდო | 15 | 5 | 6 | 4 | 16:13 | 21 |
| ბასტია | 15 | 5 | 6 | 4 | 18:17 | 21 |
| რენი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:21 | 21 |
| ლიონი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:21 | 21 |
| გინგამი | 15 | 5 | 5 | 5 | 14:14 | 20 |
| ნანტი | 15 | 4 | 6 | 5 | 27:21 | 18 |
| კანი | 15 | 4 | 6 | 5 | 10:14 | 18 |
| მარსელი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:15 | 17 |
| ლე ავრი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:19 | 16 |
| მონპელიე | 15 | 3 | 6 | 6 | 14:19 | 15 |
| კაენი | 15 | 3 | 5 | 7 | 11:17 | 14 |
| ნიცა | 15 | 2 | 4 | 9 | 13:29 | 10 |
| ნანსი | 15 | 1 | 5 | 9 | 9:20 | 8 |

## პორტუგალია

მე-9 ტური: ბრაგა — სპორტინგი 1:0, გიმარაეში — ესპინიუ 2:4, ჟილ ვისენტე — ამადორა 0:1, პორტუ — ფარენსე 2:0, სეტუბალი — სალგეირუში 1:1, ლეცა — რიუ ავე 3:2, ლეირია — შავეში 0:1, ბელენენსეში — მარიტიმუ 2:0, ბენფიკა — ბოავიშტა ნუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 9 | 7 | 2 | 0 | 17:2 | 23 |
| ბენფიკა | 8 | 6 | 1 | 1 | 17:3 | 19 |
| სპორტინგი | 9 | 6 | 1 | 2 | 13:6 | 19 |
| ესპინიუ | 9 | 5 | 2 | 2 | 13:11 | 17 |
| სეტუბალი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:10 | 16 |
| ბრაგა | 9 | 4 | 3 | 2 | 14:12 | 15 |
| ამადორა | 9 | 4 | 2 | 3 | 7:6 | 14 |
| ფარენსე | 9 | 4 | 2 | 3 | 7:6 | 14 |
| ლეცა | 9 | 3 | 3 | 3 | 10:7 | 12 |
| მარიტიმუ | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 |
| შავეში | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| სალგეირუში | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| ბელენენსეში | 9 | 3 | 1 | 5 | 11:16 | 10 |
| ბოავიშტა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| გიმარაეში | 9 | 2 | 2 | 5 | 12:17 | 8 |
| ლეირია | 9 | 2 | 0 | 7 | 6:18 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 1 | 1 | 7 | 9:19 | 4 |
| რიუ ავე | 9 | 0 | 2 | 7 | 10:20 | 2 |

## შოტლანდია

მე-11 ტური: კილმარნოკი — ჰიბერნიანი 4:2, სელტიკი — აბერდინი 1:0, ჰარტსი — დანფერმლაინი 2:0, მოზერველი — დანდი იუნაიტედი 1:3, რეით როვერსი — რეინჯერსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 11 | 8 | 2 | 1 | 29:10 | 26 |
| რეინჯერსი | 11 | 8 | 2 | 1 | 27:9 | 26 |
| აბერდინი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:11 | 18 |
| ჰართსი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | 15 |
| ჰიბერნიანი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:20 | 14 |
| დანფერმლაინი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:22 | 13 |
| დანდი იუნ. | 11 | 3 | 3 | 5 | 10:11 | 12 |
| მოზერველი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:116 | 11 |
| კილმარნოკი | 11 | 3 | 2 | 6 | 15:22 | 11 |
| რეით როვერსი | 11 | 1 | 2 | 8 | 10:24 | 5 |

## ჰოლანდია

მე-14 ტური: სიტარდი — ვიტესი 1:5, ნაიმეგენი — სპარტა 3:2, ალკმაარი — ჰერენვენი 0:2, როდა — გრააფსხაპი 3:0, უტრეხტი — ბრედა 3:1, ვოლენდამი — ვალვაიკი 1:0, ტილბურგი — აიაქსი 1:0, ტვენტე — ეინდჰოვენი 1:2, გრონინგენი — ფეიენოორდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 14 | 10 | 3 | 1 | 44:11 | 33 |
| ფეიენოორდი | 14 | 10 | 2 | 2 | 26:17 | 32 |
| გრაასფხაპი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:16 | 24 |
| აიაქსი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:10 | 23 |
| ვიტესი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:16 | 22 |
| ჰერენვენი | 14 | 5 | 6 | 3 | 24:15 | 21 |
| ტვენტე | 13 | 6 | 3 | 4 | 16:13 | 21 |
| როდა | 14 | 5 | 5 | 4 | 15:20 | 20 |
| სპარტა | 14 | 5 | 3 | 6 | 16:16 | 18 |
| ვოლენდამი | 14 | 4 | 6 | 4 | 16:19 | 18 |
| ნაიმეგენი | 14 | 3 | 7 | 4 | 18:22 | 16 |
| ტილბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:21 | 16 |
| ბრედა | 14 | 4 | 3 | 7 | 12:23 | 15 |
| უტრეხტი | 14 | 2 | 8 | 4 | 20:21 | 14 |
| სიტარდი | 14 | 3 | 4 | 7 | 10:24 | 13 |
| ალკმაარი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:18 | 11 |
| გრონინგემი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:26 | 11 |
| ვალვაიკი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:26 | 9 |

## იტალია

### მე-8 ტური

#### მილანი 1:1 ატალანტა

45 000 მაყურებელი
მილანი: ს. როსი, პანუჩი, მალდინი, დევიდსი, კოსტაკურტა, დეხაი, ბობანი, ალბერტინი, ვეა, ლოკატელი (დიუგარი 46), სიმონე (რ. ბაჯო 68, კოკო 86)
ატალანტა: მიკილო, ბონაჩინა, სოტილი, ა. კარბონე, კარერა, როსინი (გალო 80), ფოლიო (ფორტუნატო 75), ერერა, ინძაგი, სგრო, ლენტინი
გოლი: ინძაგი (21), ალბერტინი (53 პ)
გაფრთხილება: პანუჩი, კოსტაკურტა, ერერა, ა. კარბონე
გაძევება: ინძაგი (82)
მსაჯი: ბეტინი

#### კალიარი 2:1 პერუჯა

18 000 მაყურებელი
კალიარი: პასკოლო, პანკარო, ვილა, ვეგა, ბეტარინი, სანა, ბიზოლი, კოცა, მუცი (რომერო 92), ო ნილი (ტინკლერი 76), ბანკელი (ბრეშანი 75)
პერუჯა: კოჩიჩი, გორეტი, დი კიარა (როკო 46), კრეეკი, კასტელინი, დიჩარა, გაუტიერი, ჯიუნტა, ნეგრი (რაპაიჩი 69), ალეგრი, პიცი
გოლი: კოცა (45), ბანკელი (56); პიცი (89)
გაფრთხილება: ტინკლერი, გორეტი, დიჩარა
მსაჯი: დე სანტისი

#### უდინეზე 2:1 რეჯანა

15 000 მაყურებელი
უდინეზე: ბატისტინი, ბერტოტო, სერჯიო (ემამი 77), ჰელვეგი, კალორი, პიერინი, ჯანიკედა (გარგო 85), დეზიდერი (სტეფანი 53), ბირჰოფი, ალ. ორლანდო, პოჯი
რეჯანა: ბალოტა, სკენარდი, კაინი (ტონეტო 46), ჰატცი, ბაიერსდორფი, გრიუნი, მაცოლა, დე ნაპოლი, ტოვალიერი (სიმუტენკოვი 63), პედონე, ვალენსია
გოლი: ბირჰოფი (48), პოჯი (87); ვალენსია (65)
გაფრთხილება: ბერტოტო, ჰელვეგი, დე ნაპოლი, ტონეტო
მსაჯი: ბოლონინო

#### სამპდორია 3:0 პიაჩენცა

24 000 მაყურებელი
სამპდორია: ფერონი, საკეტი, პეზარეზე, ფრანჩესკეტი (ინვერნეზი 54), მანინი, მიხაილოვიჩი (დინგი 82), ლაილე, ვერონი, კარპარელი (სალსანო 68), მანჩინი, კარემბუ
პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, მ. კონტე (ტრამეცანო 60), დი ფრანჩესკო, პარი, ლუჩი, ვალოტი, ვალტოლინა, ლუიზო, შიენძა, პიოვანი (ტენტონი 60)
გოლი: მანჩინი (15, 79), კარპარელი (53)
გაფრთხილება: საკეტი
მსაჯი: როდომონტი


რობერტო მანჩინი

#### იუვენტუსი 1:1 ნაპოლი

35 000 მაყურებელი
იუვენტუსი: პერუცი, დი ლივიო (ლომბარდო 69), ტორიჩელი, იუგოვიჩი, ფერარა, მონტერო, დეშამპი, ზიდანი, ბოკშიჩი (ამორუზო 61), დელ პიერო (პორინი 61), პადოვანო
ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, კოლონეზე, კრუზი, აიალა, კრასონი, ტურინი (ლონგო 69), ბოგოსიანი, კაჩა, პეკია, ალიეტი (მილანეზე 88)
გოლი: ზიდანი (43), ალიეტი (54)
გაფრთხილება: დეშამპი, მონტერო, დელ პიერო, კოლონეზე, ფერარა, აიალა
მსაჯი: პელეგრინი

#### ლაციო 0:2 ვიჩენცა

35 000 მაყურებელი
ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, ფავალი (გრანდონი 36), მარკოლინი, ნესტა, შამოტი, რამბაუდი (პროტი 46), ნედვედი, კაზირაგი, ფუზერი (პიოვანელი 70), სინიორი
ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, დიგნაციო, დი კარლო, ბელოტი, ლოპესი, ამბროზინი (ბეგეტო 67), ვივიანი, მურჯიტა (იანუცი 91), მაინი, ოტერო (მ. როსი 46)
გოლი: მურჯიტა (35), მაინი (89)
გაფრთხილება: მარკოლინი, ნედვედი, პროტი
მსაჯი: ნიკი

#### ვერონა 0:1 ინტერი

30 000 მაყურებელი
ვერონა: გრეგორი, ფატორი, ვანოლი (კოლუჩი 80), სივილია, ბაჩი, ბარონი, მანეტი (ორლანდინი 85), კორინი, მანიერი (დე ვიტისი 73), ჯუნტა, ძანინი
ინტერი: პალიუკა, ანგლომა, პისტონე, ძანეტი, მ. პაგანინი, ფრეზი, სფორცა, ინსი, სამორანო (განცი 73), ჯორკაეფი (ვინტერი 87), ბრანკა
გოლი: ძანეტი (85)
გაფრთხილება: ძანინი, ჯუნტა, ბაჩი, სფორცა
მსაჯი: მეხინა

#### ბოლონია 3:2 რომა

30 000 მაყურებელი
ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი (კარდონე 11), პარამატი, მაგონი, დე მარკი, ტორიზი, სკაპოლო (სენო 58), მაროკი, ანდერსონი, ნერვო (ბრეშიანი 77), კოლივანოვი
რომა: სტერკელე, ანონი, ლანა, ტომაზი (ტოტი 46), პეტრუცი, ალდაირი, კაპიოლი, სტატუტო, ბალბო, ტერნი, დელ ვეკიო
გოლი: კოლივანოვი (43), მაროკი (53), ბრეშიანი (78); ბალბო (64 პ, 87 პ)
გაფრთხილება: დე მარკი, პეტრუცი, დელ ვეკიო, სტერკელე
გაძევება: ულივიერი (65, ბოლონიას მწვრთნელი), სტატუტო (80)
მსაჯი: ბორიერო

#### პარმა 0:0 ფიორენტინა

22 000 მაყურებელი
პარმა: ბუფონი, ზე მარი, ტურამი, დ. ბაჯო, კანავარო, აპოლონი, სენსინი, ბრავო (სტრადა 81), კრესპო (მელი 71), ძოლა, კიეზა
ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პუშედუ, კოისი, ამორუზო, პადალინო, რობიატი (ფალკონე 50), შვარცი, ბატისტუტა (ბაიანო 89), რუი კოშტა (პიაჩენტინი 66), ოლივეირა
გაფრთხილება: აპოლონი, ბრავო, პადალინო
გაძევება: კარნაშალი (47)
მსაჯი: ფარინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ვიჩენცა | 8 | 5 | 1 | 2 | 15:8 | 16 |
| იუვენტუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| სამპდორია | 8 | 4 | 1 | 3 | 13:7 | 13 |
| მილანი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 13 |
| ბოლონია | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ფიორენტინა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| უდინეზე | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| პერუჯა | 8 | 4 | 0 | 4 | 10:11 | 12 |
| ნაპოლი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:11 | 12 |
| რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 14:12 | 11 |
| პარმა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| პიაჩენცა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ლაციო | 8 | 2 | 2 | 4 | 6:9 | 8 |
| კალიარი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:12 | 7 |
| ატალანტა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:16 | 6 |
| ვერონა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |
| რეჯანა | 8 | 0 | 4 | 4 | 8:14 | 4 |

### სერია B

მე-9 ტური: ბრეშია — კრემონეზე 3:1, ჩეზენა — დი სანგრო 1:0, ემპოლი — ლუკეზე 0:1, ფოჯა — პალერმო 1:1, ლეჩე — ბარი 1:1, პადოვა — ტორინო 0:2, პესკარა — კიევო 2:1, რეჯინა — რავენა 1:1, სალერნიტანა — კოზენცა 0:0, ვენეცია — ჯენოა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 9 | 7 | 1 | 1 | 15:6 | 22 |
| პესკარა | 9 | 6 | 3 | 0 | 15:6 | 21 |
| ლუკეზე | 9 | 4 | 3 | 2 | 8:3 | 15 |
| ტორინო | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| პადოვა | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 |
| ბარი | 9 | 3 | 5 | 1 | 15:8 | 14 |
| ჯენოა | 9 | 3 | 5 | 1 | 10:5 | 14 |
| ბრეშია | 9 | 3 | 5 | 1 | 9:7 | 14 |
| რავენა | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| სალერნიტანა | 9 | 3 | 3 | 3 | 5:7 | 12 |
| ჩეზენა | 9 | 2 | 5 | 2 | 8:7 | 11 |
| ფოჯა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | 11 |
| ემპოლი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| კიევო | 9 | 2 | 4 | 3 | 8:9 | 10 |
| პალერმო | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| დი სანგრო | 9 | 2 | 2 | 5 | 4:11 | 8 |
| კოზენცა | 9 | 1 | 4 | 4 | 4:10 | 7 |
| ვენეცია | 9 | 1 | 3 | 5 | 8:12 | 6 |
| რეჯინა | 9 | 0 | 5 | 4 | 7:13 | 5 |
| კრემონეზე | 9 | 1 | 1 | 7 | 3:11 | 4 |

## ესპანეთი

მე-11 ტური. რასინგი — ბეტისი 1:1 (კორეირა 79; საბასი 90), ვალენსია — ვალიადოლიდი 2:4 (რომერო 20, გალვესი 73; ფერნანდესი 8, სანჩესი 43, 70, უეედო 49), სევილია — ბილბაო 4:2 (პაცი 7 პ, 87, ტევენეტი 35, ბალესტა 69; ურსიასი 5, გერერო 80). ლოგრონიესი—ესტრემადურა 0:0, სარაგოსა — დეპორტივო 1:2 (პოიეტი 29; ბეგერისტაინი 24, მარტინ ვასკესი 68), სოსიედადი — ერკულესი 2:1 (კრაიოვეანუ 24, იდიაკესი 81; ალფარო 45 პ), ესპანიოლი — რაიო 0:0, ატლეტიკო — ოვიედო 3:0 (კამინერო 26, ესნაიდერი 74, 89), ტენერიფე — სელტა 0:0, კომპოსტელა — რეალი 1:2 (პენევი 70; შუკერი 22, რაული 80), ბარსელონა — სპორტინგი წუხელ გვიან გაიმართა.


ხოსე-ლუის კამინერო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 10 | 8 | 2 | 0 | 33:13 | 26 |
| რეალი | 11 | 7 | 4 | 0 | 23:9 | 25 |
| დეპორტივო | 11 | 7 | 4 | 0 | 18:6 | 25 |
| ვალიადოლიდი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:9 | 21 |
| ბეტისი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:9 | 19 |
| ატლეტიკო | 11 | 5 | 2 | 4 | 17:13 | 17 |
| სოსიედადი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:15 | 17 |
| რასინგი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:14 | 17 |
| ვალენსია | 11 | 5 | 1 | 5 | 19:16 | 16 |
| ტენერიფე | 11 | 4 | 3 | 4 | 18:11 | 15 |
| ბილბაო | 11 | 4 | 3 | 4 | 29:19 | 15 |
| რაიო | 11 | 4 | 3 | 4 | 17:14 | 15 |
| ესპანიოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 15 |
| სელტა | 11 | 3 | 5 | 3 | 9:11 | 14 |
| ოვიედო | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | 12 |
| სპორტინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | 12 |
| სევილია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:12 | 11 |
| ლოგრონიესი | 11 | 3 | 2 | 6 | 7:24 | 11 |
| კომპოსტელა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:25 | 9 |
| სარაგოსა | 11 | 1 | 5 | 5 | 13:19 | 8 |
| ესტრემადურა | 11 | 1 | 2 | 8 | 7:24 | 5 |
| ერკულესი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:22 | 4 |

## რუსეთი

34-ე ტური: ალანია — ლოკომოტივი ნ.ნ. 3:1, ტორპედო — დინამო 2:5, როსტსელმაში — კამაზი 4:5, ზენიტი — სპარტაკი 1:2, ჟემჩუჟინა — კრ. სოვეტოვი 2:2, ბალტიკა — ტექსტილშჩიკი 4:1, ჩერნომორეცი — ლადა 4:1, ლოკომოტივი — ცსკა 1:2, როტორი — ურალმაში 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 34 | 22 | 6 | 6 | 64:35 | 72 |
| სპარტაკი | 34 | 21 | 9 | 4 | 70:34 | 72 |
| როტორი | 34 | 21 | 7 | 6 | 58:27 | 70 |
| დინამო | 34 | 20 | 7 | 7 | 60:35 | 67 |
| ცსკა | 34 | 20 | 6 | 8 | 58:35 | 66 |
| ლოკომოტივი | 34 | 15 | 10 | 9 | 46:31 | 55 |
| ბალტიკა | 34 | 12 | 10 | 12 | 44:35 | 46 |
| ნოვგოროდი | 34 | 13 | 6 | 15 | 39:50 | 45 |
| კრილია | 34 | 12 | 9 | 13 | 31:38 | 45 |
| ზენიტი | 34 | 13 | 4 | 17 | 32:37 | 43 |
| როსტსელმაში | 34 | 11 | 8 | 15 | 58:60 | 41 |
| ტორპედო | 34 | 10 | 11 | 13 | 42:51 | 41 |
| ჩერნომორეცი | 34 | 11 | 6 | 17 | 38:51 | 39 |
| კამაზი | 34 | 10 | 6 | 18 | 43:57 | 36 |
| ჟემჩუჟინა | 34 | 10 | 6 | 18 | 38:57 | 36 |
| ურალმაში | 34 | 8 | 9 | 17 | 38:57 | 33 |
| ტექსტილშჩიკი | 34 | 4 | 12 | 18 | 25:49 | 24 |
| ლადა | 34 | 4 | 6 | 24 | 18:64 | 18 |

ლიგას ტოვებენ „ურალმაში“, „ტექსტილშჩიკი“, „ლადა“.

მომავალ სეზონში მათ ადგილს დაიკავებენ ვორონეჟის „ფაკელი“, იაროსლაველის „შინიკი“, ტიუმენის „დინამო-გაზოვიკი“.

რუსეთის 1996 წლის ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი (ნეიტრალურ მინდორზე) ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

## გერმანია

მე-13 ტური: ბოხუმი — ჰანზა 1:0 (პეშელი 57), ბაიერნი — მიუნხენი 1:1 (ბაბელი 34; ნოვაკი 5), ზანქტ პაული — შტუტგარტი 2:1 (სპრინგერი 15, 71; ბალაკოვი 30 პ), ვერდერი — ჰამბურგი 0:0, შალკე — დორტმუნდი 1:3 (მაქსი 58; ჰერლიხი 15, შაპიუზა 62, 64), არმინია — დიუსელდორფი 1:0 (ბრაიტკრეუტცი 64), დუისბურგი — ფრაიბურგი 1:4 (მარინი 68 პ; ვასმერი 35, 70, 72, სუტერი 76), ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი 3:0 (კოვაჩი 56, ლენჰოფი 72, პაულუ სერჯიო 77), კარლსრუე — კიოლნი 4:1 (რაიხი 17, ფინკი 49, ვუკი 56, კელერი 90; შუსტერი 30 საკ.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 13 | 8 | 4 | 1 | 23:12 | 28 |
| შტუტგარტი | 13 | 8 | 3 | 2 | 34:12 | 27 |
| ლევერკუზენი | 13 | 8 | 3 | 2 | 29:15 | 27 |
| დორტმუნდი | 13 | 8 | 2 | 3 | 27:15 | 26 |
| ბოხუმი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:16 | 23 |
| კიოლნი | 13 | 7 | 1 | 5 | 23:20 | 22 |
| ვერდერი | 13 | 6 | 3 | 4 | 26:15 | 21 |
| კარლსრუე | 13 | 6 | 2 | 5 | 23:18 | 20 |
| მიუნხენი | 13 | 4 | 4 | 5 | 21:22 | 16 |
| ჰამბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:20 | 15 |
| დიუსელდორფი | 13 | 4 | 3 | 6 | 8:18 | 15 |
| მ.გლადბახი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:19 | 14 |
| ზანქტ პაული | 13 | 4 | 2 | 7 | 18:27 | 14 |
| შალკე | 13 | 3 | 4 | 6 | 13:22 | 13 |
| ჰანზა | 13 | 3 | 3 | 7 | 15:20 | 12 |
| ფრაიბურგი | 13 | 4 | 0 | 9 | 18:32 | 12 |
| დუისბურგი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:21 | 10 |
| არმინია | 13 | 2 | 4 | 7 | 12:24 | 10 |

### მეორე ბუნდესლიგა

კარლ ცაისი — ურდინგენი 2:2, კოკერსი — მაინცი 2:1, აინტრახტი — ლაიპციგი 2:3, ფორტუნა კიოლნი — ოლდენბურგი 7:1, ცვიკაუ — როტ ვაისი 2:1, ლიუბეკი — კაიზერსლაუტერნი 0:2, მეპენი — ჰერტა 1:1, მანჰაიმი — გიუტერსლო 1:0, უნტერჰახინგი — ვოლფსბურგი (წუხელ გვიან გაიმართა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 13 | 7 | 6 | 0 | 22:6 | 27 |
| ვოლფსბურგი | 12 | 5 | 6 | 1 | 16:7 | 21 |
| ურდინგენი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:14 | 21 |
| კოკერსი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:15 | 21 |
| ლაიპციგი | 13 | 6 | 3 | 4 | 26:23 | 21 |
| ფორტუნა | 13 | 5 | 5 | 3 | 26:15 | 20 |
| ჰერტა | 13 | 5 | 4 | 4 | 19:14 | 19 |
| მაინცი | 13 | 4 | 6 | 3 | 20:16 | 18 |
| კარლ ცაისი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:15 | 18 |
| მეპენი | 13 | 3 | 8 | 2 | 14:15 | 17 |
| გიუტერსლო | 13 | 5 | 2 | 6 | 13:18 | 17 |
| ინტერჰახინგი | 12 | 2 | 10 | 0 | 9:7 | 16 |
| აინტრახტი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:17 | 16 |
| მანჰაიმი | 13 | 3 | 5 | 6 | 19:25 | 14 |
| ცვიკაუ | 13 | 3 | 3 | 7 | 13:17 | 12 |
| როტ ვაისი | 13 | 3 | 1 | 9 | 18:32 | 10 |
| ლიუბეკი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:23 | 10 |
| ოლდენბურგი | 13 | 2 | 3 | 8 | 15:32 | 9 |

## საბერძნეთი

მე-7 ტური: პანათინაიკოსი — იონიკოსი 1:0, ოლიმპიაკოსი — პანახაიკი 0:0, ირაკლისი — კასტორია 2:1, აპოლონი — ქსანტი 2:1, პანილიაკოსი — ოფი 0:4, კალამატა — კავალა 1:0, პაოკი — ედესაიკოსი 1:1, ვერია — არისი 1:1, აეკ — ათინაიკოსი წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:2 | 17 |
| პანათინაიკოსი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 16 |
| ოფი | 7 | 5 | 0 | 2 | 11:6 | 15 |
| პანხაიკი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:6 | 14 |
| პანილიაკოსი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:8 | 14 |
| აეკ | 6 | 4 | 1 | 1 | 14:5 | 13 |
| იონიკოსი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 12 |
| ქსანტი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| პაოკი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| კალამატა | 7 | 2 | 3 | 2 | 4:8 | 9 |
| ვერია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:7 | 8 |
| კავალა | 7 | 1 | 3 | 3 | 2:4 | 6 |
| არისი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ირაკლისი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:11 | 5 |
| ედესაიკოსი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| ათინაიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |
| აპოლონი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |
| კასტორია | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |

## შვეიცარია

მე-19 ტური: არაუ — ლუცერნი 0:0, გრასჰოპერი — ბაზელი 4:2, ლუგანო — ლოზანა 2:2, ქსამაქსი — ციურიხი 1:1, სერვეტი — სტ გალენი 1:1, სიონი — იანგ ბოიზი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 19 | 10 | 7 | 2 | 30:18 | 37 |
| გრასჰოპერი | 19 | 9 | 8 | 2 | 38:23 | 35 |
| სიონი | 18 | 9 | 6 | 3 | 29:17 | 33 |
| ლოზანა | 19 | 9 | 5 | 5 | 34:28 | 32 |
| სტ. გალენი | 19 | 7 | 8 | 4 | 19:20 | 29 |
| არაუ | 18 | 7 | 6 | 5 | 116:12 | 27 |
| ციურიხი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:24 | 23 |
| სერვეტი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:22 | 22 |
| ლუცერნი | 19 | 4 | 9 | 6 | 23:27 | 21 |
| ბაზელი | 19 | 3 | 9 | 7 | 29:35 | 18 |
| ლუგანო | 19 | 2 | 8 | 9 | 13:27 | 14 |
| იანგ ბოიზი | 19 | 1 | 3 | 15 | 15:36 | 6 |

## ბელგია

მე-13 ტური: [illegible] — ლიერსი 3:1, ალსტი — შარლერუა 2:2, მუსკრონი — ბრიუგე 4:0, [illegible] — ეკერენი 3:2, ანდერლეხტი — მოლენბეკი 0:1, ანტვერპენი — გენკი 4:0, [illegible] — სტ რუდენი 1:1, ლოკერენი — მეხელენი 4:0, სერკლ ბრიუგე — სტანდარდი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 13 | 9 | 0 | 4 | 24:16 | 27 |
| ბრიუგე | 13 | 7 | 4 | 2 | 25:13 | 25 |
| მუსკრონი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 25 |
| ანდერლეხტი | 13 | 6 | 5 | 2 | 21:10 | 23 |
| ჰარელბეკე | 13 | 6 | 3 | 4 | 23:16 | 21 |
| ლიერსი | 13 | 5 | 6 | 2 | 19:13 | 21 |
| ანტვერპენი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:18 | 19 |
| მოლენბეკი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:13 | 19 |
| ლომელი | 13 | 5 | 4 | 4 | 22:23 | 19 |
| ლოკერენი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:17 | 18 |
| შარლერუა | 13 | 5 | 2 | 6 | 21:20 | 17 |
| გენტი | 13 | 4 | 3 | 6 | 21:26 | 15 |
| გენკი | 13 | 3 | 6 | 5 | 12:17 | 15 |
| ეკერენი | 13 | 4 | 2 | 7 | 17:20 | 14 |
| ალსტი | 13 | 2 | 6 | 5 | 16:24 | 12 |
| მეხელენი | 13 | 2 | 5 | 6 | 15:23 | 11 |
| სტ. ტრუდენი | 13 | 2 | 4 | 7 | 18:31 | 10 |
| სერკლ ბრიუგე | 13 | 0 | 4 | 9 | 13:31 | 4 |

## პოლონეთი

მე-15 ტური: ბელხატოვი — რუხი 0:2, გქს — გურნიკი 1:0, ლეგია — შლიონსკი 1:0, რაკოვი — სოკოლი 1:1, ლკს — ლეხი 2:1, ამიცა — ვიძევი 1:2, სტომილი — ოდრა 3:1, პუტნიკი — პოლონია 0:1, ზაგლებიე — ვისლა 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 15 | 11 | 2 | 2 | 29:12 | 35 |
| ვიძევი | 15 | 10 | 4 | 1 | 31:8 | 34 |
| გქს | 15 | 7 | 6 | 2 | 21:16 | 27 |
| ამიცა | 15 | 7 | 3 | 5 | 18:18 | 24 |
| რაკოვი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:15 | 22 |
| ლეხი | 15 | 6 | 2 | 7 | 18:20 | 20 |
| სტომილი | 15 | 5 | 4 | 6 | 24:22 | 19 |
| ოდრა | 15 | 5 | 4 | 6 | 21:23 | 19 |
| ვისლა | 15 | 5 | 4 | 6 | 12:15 | 19 |
| სოკოლი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:23 | 19 |
| ბელხატოვი | 15 | 5 | 3 | 7 | 18:20 | 18 |
| პოლონია | 15 | 5 | 3 | 7 | 15:22 | 18 |
| პუტნიკი | 15 | 5 | 3 | 7 | 14:18 | 18 |
| ზაგლებიე | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | 17 |
| ლკს | 15 | 3 | 7 | 5 | 16:19 | 16 |
| გურნიკი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:23 | 15 |
| შლიონსკი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:19 | 15 |
| რუხი | 15 | 3 | 6 | 6 | 13:18 | 15 |

## თურქეთი

მე-12 ტური: ანკარაგიუჯუ — დენიზლისფორი 3:2, ანთალიასფორი — სამსუნსფორი 1:1, ბეშიქთაში — ალთაი 3:0, ბურსასფორი — გენჩლერბირლიგი 2:0, გალათასარაი — ისტანბულსფორი 6:1, ზეითინბურნუსფორი — გაზიანთეფსფორი 0:3, ქოჯაელისფორი — ფენერბაჰჩე 0:1, ტრაბზონსფორი — სარიერისფორი 3:2, ვანსფორი — დარდანელსფორი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 12 | 10 | 1 | 1 | 35:9 | 31 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 9 | 1 | 2 | 29:8 | 28 |
| ბეშიქთაში | 12 | 8 | 3 | 1 | 29:7 | 27 |
| ტრაბზონსფორი | 12 | 8 | 2 | 2 | 24:12 | 26 |
| ქოჩაელისფორი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:12 | 21 |
| ბურსასფორი | 12 | 6 | 3 | 3 | 12:7 | 21 |
| გაზიანთეფ. | 12 | 5 | 4 | 3 | 15:13 | 19 |
| სამსუნსფორი | 12 | 5 | 3 | 4 | 115:16 | 18 |
| ანკარაგიუჯუ | 12 | 5 | 0 | 7 | 15:19 | 15 |
| სარიერისფორი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:19 | 15 |
| ანთალიასფორი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:16 | 13 |
| ალთაი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:27 | 13 |
| გენჩლერბირლიგი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:16 | 12 |
| ისტანბულ. | 12 | 3 | 3 | 6 | 11:17 | 12 |
| დარდანელ. | 12 | 3 | 3 | 6 | 10:17 | 12 |
| ვანსფორი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:24 | 11 |
| დენიზლისფორი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:26 | 8 |
| ზეითინბურნუ. | 12 | 0 | 1 | 11 | 8:31 | 1 |


გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლით? მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს.

„ელიტა — სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ** ჩემპიონატში, კვირას, „ინდეპენდიენტე“ და „ბოკა ხუნიორსი“ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი სატურნირო ინტრიგის გარდა საინტერესო იმითაც გახლდათ, რომ ორი მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელი, სეზარ ლუის მენოტი და კარლოს ბილარდო დაპირისპირდნენ. მენოტის „ინდეპენდიენტემ“ მეტოქეს 1:0 მოუგო. საკუთარ, „ბომბონერას“ სტადიონზე ნაწვნევმა მარცხმა „ბოკასთვის“ ჩემპიონობა პრაქტიკულად მიუღწეველი გახადა, რაც ამ კლუბის ქომაგთათვის ერთიორად საწყენია, რადგან სეზონის წინ ახალ ფეხბურთელთა შეძენაზე 15 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ახლა, სამხრეთ ამერიკის სუპერთასიდანაც გამოვარდნილმა „ბოკამ“ ლიდერი 11 ქულით გაუშვა წინ, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი ცხრა ტური დარჩა. „ინდეპენდიენტესა“ და „ბოკა ხუნიორსის“ შეხვედრაში პირველი ტაიმი „ბოკასი“ იყო, თუმცა გოლი არ გასულა. მეორე ნახევრის მე-60 წუთზე კი მსაჯმა მათი ნესტორ ფაბი გააძევა მოედნიდან და თამაშის ნირიც შეცვალა. 66-ზე ფრანსისკო გერერომ „ინდეპენდიენტეს“ გამარჯვების გოლი გაიტანა. მოგვიანებით „ბოკას“ კიდევ ერთი მოთამაშე, ნესტორ ლორენცო გაუძევეს თუმცა მასვე მიაყოლეს მეტოქის პაბლო როტჩენიც, რომელიც „ბოკას“ კამერუნელ თავდამსხმელს ალფონს ტჩამის უკნიდან ეუხეშა. ამ მატჩის შემდეგ „ინდეპენდიენტე“ მეორე ადგილზეა. იგი სამი ქულით ჩამორჩება „რივერ პლეიტს“, რომელმაც „ესტუდი ანტესს“ 1:0 მოუგო. მესამეზეა „ლანუსი“. მან „სან ლორენცოს“ 3:1 სძლია.

**ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ პირველობის მონაწილე თვრამეტი გუნდი ერთმანეთს თითოჯერ კი ეთამაშება, მაგრამ ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა. პირველ ჯგუფს ლიდერობს „ატლანტე“, რომელმაც ბოლო ტურში ორიგინალურად მოუგო ბუბ-ს. „ატლანტემ“ გოლი თამაშის ბოლო წუთზე გაიტანა, მაგრამ საამისოდ მის მწვრთნელს მიგელ მეხია ბარონს უცნაური ტაქტიკური ცვლილება დასჭირდა, საქმე ისაა, რომ გუნდის კარს იცავს ამერიკული „ლოს-ანჯელეს გელაქსიდან“ სამშობლოს დაბრუნებული ხორხე კამპოსი, რომელიც კარში დგომის გარდა აქა-იქ თავდამსხმელობს კიდეც. როცა ბარონმა შეატყო, რომ მისი ფორვარდები მეტოქის დაცვას ვერას აკლებდა, კარგში სათადარიგო გოლკიპერი დააყენა, ძირითადს კი მაისური შეუცვალა და წინ განაწესა. კამპოსის მონდომებამ შედეგი გამოიღო, თუმცა გოლი უშუალოდ მან ვერ გაიტანა. ეს ბრაზილიური წარმოშობის მექსიკელმა ზაგემ შეძლო. მეორე ჯგუფის ლიდერის, „ლეონის“ ურუგვაელი მწვრთნელი კარლოს მილოცი კი თავის პირველსავე შეხვედრაში გააძევეს სათადარიგოთა სკამიდან. მიზეზი ის გახლავთ, რომ მან „ტოლუკას“ მცველთან ეფრაინ ერერასთან გამართა აყალმაყალი, თანაც მსაჯს ხელი ჰკრა. „ლეონმა“ 3:2 მოიგო. იმავე ჯგუფში მექსიკის ჩემპიონატის ტრადიციულმა ლიდერმა „ამერიკამ“ ციმეტ შეხვედრაში მეექვსედ წააგო. ამჯერად მისი მძლეველი (1:2) გახლდათ „ატლასი“, კამერუნელი ვეტერანი ფრანსუა ომამ ბიიკი კი „ამერიკას“ ერთადერთი გოლის ავტორი გამოდგა.**

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ პირველობაზე, „მარაკანას“ სტადიონზე გამართული „ვასკუ და გამას“ და „ბოტაფოგოს“ შეხვედრა ქაოსში გადაიზარდა. ორივე გუნდის ხელმძღვანელებმა ცუდი მსაჯობის მოტივით შეწყვიტეს მატჩი. როდესაც „ბოტაფოგომ“ ანგარიში გახსნა, „ვასკუს“ დირექტორი მოედანზე გავარდა და მსაჯს გადაწყვეტილება გაუპროტესტა. ამ ეპიზოდმა თამაშში 20 წუთიანი პაუზა გამოიწვია. შემდეგ „ვასკუმ“ ორი გოლი შეაგდო, მაგრამ მეორე გოლის შემდეგ „ბოტაფოგოს“ პრეზიდენტმა მიბაძა კოლეგას. მინდორთან მოკალათებულმა ტელეკორესპონდენტებმა მოისმინეს, როგორ შეაშინა პრეზიდენტმა მის დასაკავებლად გამონთებული პოლიციელები. მას უთქვამს ხელი არ მახლოთო, დეპუტატი ვარ ხელშეუხებლობის მფლობელი. მანვე კორესპონდენტებს უამბო, როგორ უწოდა არბიტრს მხდალი მაჩანჩალა. „ვასკუს“ მწვრთნელი ანტონიუ ლოპესი (ის სულ პირველი გავარდა მსაჯთან საღრიალოდ) და ზემოხსენებული დირექტორი ეურიკო მირანდა მოედნიდან გააძევეს, მაგრამ მირანდა სათადარიგოთა სკამზე დაჯდა და განაცხადა, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო. ამან კიდევ 12 წუთი იმსხვერპლა. თამაში ერთხელაც შეწყდა, როცა მწვრთნელები, გუნდების ხელმძღვანელები, პოლიცია და რეპორტიორები გაცვივდნენ მინდორზე. ჩემპიონატს ლიდერობს „პალმეირასი“, რომელმაც 1:0 მოუგო „ფლამენგოს“. მეორეზეა „კრუზეირო“. მან 27 ათასი ქომაგის თვალწინ თანაქალაქელ (ბელო ჰორიზონტედან) „ატლეტიკო მინეიროს“ 2:1 სძლია. „სან პაულუმ“, მოგეხსენებათ, მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა შეცვალა. მის მაგივრად ახლა მურისი რამალიო მუშაობს, რომელმაც პირველსავე შეხვედრაში თავის გუნდს „კრიკიუმასთან“ 5:3 მოაგებინა.

**ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲛ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრაში სალვადორს 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე ალექს ბანზერიმ პენალტით გაიტანა. თამაშს 6858 მაყურებელი დაესწრო.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲛᲐ „შტუტგარტმა“ ბულგარეთის ნაკრების მოთამაშეს კრასიმირ ბალაკოვს 2000 წლამდე ახალი კონტრაქტი დაუდო. ძველი სეზონის ბოლოს იწურებოდა. კლუბის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ვოლფელდერმა განაცხადა, რომ ახალ ხელშეკრულებას რაიმე ქვეტექსტი თუ ორაზროვანი პუნქტი არ აქვს. „ჩვენ გვსურს ეს გუნდი შევინარჩუნოთ, ბალაკოვი კი მისი სული და გულია“ — თქვა პრეზიდენტმა. ბალაკოვის შტუტგარტული კარიერა მართლაც იღბლიანია. იგი საუცხოოდაა შეთამაშებული ფრედი ბობიჩთან და ჯოვანი ელბერთან. მათ ტრიოს გერმანელმა ჟურნალისტებმა „ჯადოსნური სამკუთხედიც“ კი შეარქვეს.

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ფეხბურთელი როი ლესიტერი იტალიის სერია B-ს „ჯენოას“ რომ სურდა, ადრეც გიუწყეთ, ამ ცნობას ახლა ის დაემატა, რომ 27 წლის ფეხბურთელი, რომელმაც აშშ-ის ლიგაში „ტამპა ბეი მუტიანის“ შემადგენლობაში 34 გოლი გაიტანა, უკვე გენუაშია და გუნდთან ვარჯიშობს. იგი იტალიაში 30 მარტამდე გაჩერდება, დანიშნულ დღეს კი „ჯენოა“ გადაწყვეტს გაუფორმოს თუ არა საბოლოოდ კონტრაქტი. ლესიტერი მეორე ამერიკელი იქნება, რომელიც იტალიაში ითამაშებს. პირველი გახლდათ ალექსი ლალასი. მან სერია A-ს „პადოვაში“ ორი სეზონი გაატარა.**

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ 1995 წლის ჩემპიონის „ნანტის“ მწვრთნელი გი შერერი თანამდებობიდან გადადგა. მისი ახსნა-განმარტება ფრიად ძუნწსიტყვიანი გახლდათ: „მე გადავდექი პირად მიზეზთა გამო და საკითხის მეტად კომენტირებას აღარ შევუდგები“. კლუბის სხვა წარმომადგენელთა თქმით, შერერი ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას თავად, მათთან თათბირის გარეშე იღებდა. შერერმა კლუბი 1992 წელს ჩაიბარა, როცა „ნანტს“ ცუდი პერიოდი ედგა. მისი აქტიურობით საქმეები გამოსწორდა და გუნდი არათუ საფრანგეთის ჩემპიონი, არამედ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტიც კი გახდა. მისი პრეზიდენტობისას გაიბრწყინეს კრისტიან კარემბეუმ, პატრის ლოკომ და რეინალდ პედროსმა, მათი და სხვა რამდენიმე მოთამაშის გაყიდვის შემდეგ კი „ნანტის“ საქმეები უკან-უკან წავიდა.

**ᲐᲨᲨ-ის ნაკრებმა უმასპინძლა გვატემალას. ეს ამერიკელთა პირველი შესარჩევი შეხვედრა გახლდათ. მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპისკენ მიმავალ გზაზე, მათ შვიდ კვირაში კიდევ ხუთი მატჩი აქვთ ჩასატარებელი. გვატემალელებთან შეხვედრაში ანგარიში 55-ე წუთზე ერიკ ვინალდამ გახსნა, 90-ზე კი მისი პასით ბრაიან მაკბრაიდმა მეორე გაიტანა. სტუმრებმა გოლით ვერ უპასუხეს. შეხვედრას 30 082 გულშემატკივარი დაესწრო.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრები 9 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩრდილო ირლანდიას ეთამაშება. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა 19 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთა შორის, ტრავმების გამო ვერ მოხვდნენ თომას ჰელმერი და მარიო ბასლერი. ლევერკუზენის „ბაიერის“ ულფ კირსტენს კი ფოგტსმა დორტმუნდის „ბორუსიას“ ჰაიკო ჰერლიხი ამჯობინა. გადაწყვეტილება მწვრთნელმა ასე ახსნა: „ულფი უკეთ მოძრაობს, მაგრამ ჰაიკოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, მას გოლები გააქვს.“ როგორც მოსალოდნელი იყო, ფოგტსმა არც შტეფან კუნცი დაიბარა შეკრებაზე, ასე თქვა, შტეფანის ძალა ვიცი და როცა დაგვჭირდება, ხელად გამოვიძახებთო. თამაში ნიურნბერგის „ფრანკენშტადიონზე“ გაიმართება. გერმანელთა ბანაკში არიან: ოლივერ კანი, ანდრეას კეპკე; მარკუს ბაბელი, იურგენ კოლერი, შტეფან პასლაკი, შტეფან როიტერი, თომას შნაიდერი; მარკო ბოდე, დიტერ აილსტი, თომას ჰესლერი, იორგ ჰაინრიხი, ანდრეას მიოლერი, მეჰმეთ შოლი, თომას შტრუნცი, მიხაელ ტარნატი; ოლივერ ბირჰოფი, ფრედი ბობიჩი, ჰაიკო ჰერლიხი, იურგენ კლინსმანი.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ თასის მერვედფინალი: ლუშტენი — ადმირა ვაკერი 2:2 (4:3 პ), გერასდორფი — გრაცერი 3:3 (4:5 პ), ლინცი — ტიროლი 0:2; ვატენსი — ზალცბურგი 1:3, სპიტალი — შტურმი 0:2, ჰაველკა — ლეობენი 3:0, კოტინგბრუნი — ლინცერი 1:5, ვინერ შპორტსკლუბი — რიედი 3:0.**

# გოიმი შვეიცარიიდან

რობერტო დი მატეოს სულაც არ ადარდებს, რომ მას ჯანლუკა ვიალის და ფრანკ ლებეფის შემდეგ „ჩელსის“ მესამე კაცს და კიდევ ერთ ლეგიონერს უწოდებენ. ასეთებს მიჩვეულია. ჯერ კიდევ სკოლაში, შავგვრემანობის გამო, „მაგარი ბიჭები“ აქილიკებდნენ ხოლმე.

როცა დი მატეო შვეიცარიიდან იტალიაში გადასახლდა, ხეირიანად არავინ იცნობდა. სამაგიეროდ, იქ მალე გაითქვა სახელი. ექვს თვეში ნაკრებში მიიწვიეს და იმ დღიდან „სკუადრა აძურას“ უცვლელ წევრად იქცა.

ახლა კი წყნარად, ყოველგვარი ხმაურიანი თავგადასავლების გარეშე, ინგლისის პრემიერლიგაში იმკვიდრებს გამოჩინებულ ადგილს. ვიალი გოლის გატანისთვის იბრძვის, ლებეფი მცველის ოსტატობას ავლენს, მაგრამ „ჩელსის“ გულის ფუნქციას სწორედ დი მატეო კისრულობს.

ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია, მაგრამ ზაფხულზე „ჩელსის“ მწვრთნელმა რუუდ გულიტმა კლუბის სატრანსფერო რეკორდის მოხსნა რომ დააპირა, ბევრმა აწგარდაცვლილი მილიონერისა და ვიცე-პრეზიდენტის მეთიუ ჰარდინგის მილიონები ქარსგატანილად ჩათვალა.

„ლაციოს“ მოთამაშეს გულიტმა თვალი დაასვა და მის ხელში ჩასავდებად მილანის „ინტერსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ მოუგო ბრძოლა. საბოლოოდ 4,9 მილიონ გირვანქად გარიგებას მიაღწია.

26 წლის დი მატეო ამბობს: „თვით გულიტს უნდოდა ჩემი შეძენა და ეს ბევრს ნიშნავდა. მან პირდაპირ მითხრა, რომ ფრიად მაფასებს და დამარწმუნა „ჩელსიში“ გადასვლის სისწორეში. მან ისიც მითხრა, რომ ჩემში ნებისმიერ თანხას გადაიხდიდა.

ლონდონში ცხოვრება და „ჩელსიში“ თამაში ერთობ მსიამოვნებს. ლონდონი დიდი ქალაქია, რომელშიც მოედნის გარეთ მინიმალური პრობლემები მექმნება და ეს ფრიად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება მოედანს, აქ ინგლისსა და იტალიას შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. გარეთ კი მართლაც დიდია სხვაობა. იტალიაში ყოველდღე ფეხბურთზე გიწევს ლაპარაკი. გულშემატკივრები ფეხბურთით ცხოვრობენ და სუნთქავენ. ბაზაზე ბევრი ჟურნალისტი მიდის და საგაზეთო ისტორიისთვის თემას ეძებს. აქ ინგლისში სხვა სიტუაციაა, რომელიც ძლიერ მომწონს. კლუბში ყველა კარგად მეპყრობა და ცდილობს თავი შინ მაგრძნობინოს“.

დი მატეოს ოჯახიც დიდად უწყობს ხელს. მამამისი და 23 წლის და იტალიიდან რეგულარულად ჩადიან ინგლისს რობერტოს გასამხნევებლად, სამომავლოდ კი მუდმივად მასთან დასახლებას აპირებენ.

დი მატეო განსაკუთრებით ახლოს დასთან, კონჩიტასთანაა. კონჩიტა გულადი ადამიანია, რომელიც შეუპოვრად ებრძვის თვალის დაავადებას. ერთადერთი უარყოფითი, რაც რობერტოს ინგლისში გადაბარგებას მოჰყვა, სწორედ დასთან განშორება გახლავთ.

კონჩიტა იშვიათი სნეულებითაა შეპყრობილი და მხოლოდ ჩრდილებს არჩევს. თამაშის დროს მას საგანგებოდ უყვებიან, რა ხდება მოედანზე.

„მისი ბრძოლა საკუთარ პრობლემასთან ჩემთვის სამაგალითოა“ — გულწრფელად ამბობს დი მატეო.

როცა რობერტოს ეკითხებიან, მისი საფეხბურთო წარმატებანი დის მიერ ხომ არაა შთაგონებული, იგი თანხმობის ნიშნად აქნევს თავს: „იმედი მაქვს, რომ კონჩიტა ხშირად ჩამოვა ინგლისში ჩემს თამაშებზე დასასწრებად“.

„ლივერპულთან“ ხუთი ბურთით წაგებამ დი მატეოს გული არ აუცრუა: „მე აქ ტიტულების მოსაპოვებლად ჩამოვედი. იმედი მაქვს, რომ ამ სეზონშივე მივაღწევთ შედეგს, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ეს მომავალ ჩემპიონატში შევძლო“.



დი მატეო და ვიალი. „ჩელსის“ იტალიური ტანდემი

დი მატეოს ბიოგრაფია უცნაურია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ფეხბურთის თამაშს ხელი სერიოზულად 17 წლისამ მოჰკიდა.

მისი მშობლები, ახალგაზრდობაში იტალიიდან შვეიცარიაში სამსახურის საძებნელად გადასახლდნენ და რობერტოც იქ, ჩრდილოეთ შვეიცარიაში დაიბადა. სანამ მიხვდებოდა, რომ მისგან კარგი ფეხბურთელი შეიძლებოდა დამდგარიყო, მან ხაბაზად, ყასბად და მექანიკოსად იმუშავა. დი მატეოს პირველი გუნდი ადგილობრივი „შაფჰაუზენი“ იყო. ამ გუნდთან ერთად შვეიცარიის მეორე დივიზიონში სამი სეზონი გაატარა. 1991 წელს იგი „ციურიხში“ გადავიდა, ერთი სეზონის შემდეგ კი „არაუს“ შეუერთდა და ჩემპიონი გახდა. ამ შედეგს დი მატეო ადრეული ხანის უდიდეს წარმატებად მიიჩნევს.

ხმამ მისი ნიჭიერების შესახებ რომში ჩააღწია და „ლაციოს“ ყურადღება მიიპყრო. შვეიცარიელებს რობერტოს ნაკრებში მიწვევა უნდოდათ, მაგრამ აქ ბავშვობაში ნაწვნევმა ეროვნულმა შეურაცხყოფამ იჩინა თავი. „ლაციოს“ ქომაგთათვის დი მატეოს გვარი იმხანად არაფრისმთქმელი იყო, თუმცა ექვს თვეში არიგო საკიმ იტალიის ეროვნულ გუნდში გამოიძახა და ყველაფერი შეიცვალა. ფეხბურთელი მას მერე „სკუადრა აძურას“ უცვლელი წევრია.

„ლაციოში“ დიდებული პერიოდი გადავატარე. მართალია, გუნდიდან წასვლა განებრაზებ ქომაგებს ეწყინათ და ჩემს მანქანას ქვებიც კი დაუშინეს, მაგრამ მათ დავიწყებას არასოდეს ვაპირებ. ვიცი, რატომ ეტყვიდა რომს“. — იგონებს რობერტო.

დი მატეო, ევროპის წლევანდელ პირველობაზე, იტალიის ნაკრების უმთავრეს ფეხბურთელთაგანი იყო. იგი იმ „დიდ ხუთეულში“ შედიოდა, ჩეხეთის წინააღმდეგ რომ არ ათამაშეს, რამაც, ბევრის აზრით, გამოიწვია საბედისწერო მარცხი.

„მარცხი ძლიერ გულდასაწყვეტი იყო, რადგან მართლაც კარგი გუნდი გვყავდა და გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გვმართებს წარმატების მიღწევა. იმედი გვაქვს, რომ ინგლისთან ერთად გავალწევთ ფინალურ სტადიაზე. ცხადია, რომ ინგლისი ჯგუფში უძნელესი მოწინააღმდეგე იქნება. მათი რომელიმე მოთამაშეს გამოყოფა არც კი მინდა, მთელი გუნდია მეტად ძლიერი. სულაც არ ვღელავ, რომ იტალიის მიტოვების გამო ნაკრებში აღარ მიმიწვევენ. ვიცი, თუ კარგად თამაშს განვაგრძობ, გუნდში დავრჩები“.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

# კოშმარი 2002

ფიფას გენრალური მდივანი და აღმასრულებელი თავმჯდომარე ზეპ ბლატერი ზოგადად ოპტიმისტი კაცია, მაგრამ „უორლდ სოკერის“ რედაქტორთან, კირ რედნიჯთან საუბრის შემდეგ ჟურნალისტზე სხვაგვარი შთაბეჭდილება დასტოვა. საქმე ის გახლავთ, რომ რედნიჯმა ბლატერს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოუგდო სიტყვა.



ფიფას გენრალური მდივანი და აღმასრულებელი თავმჯდომარე ზეპ ბლატერი

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ჩემპიონატი ფიფას გადაწყვეტილებით იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ერთდროულად გაიმართება. ცხადია, გადაწყვეტილება ფიქრისა და განსჯის შედეგია, მაგრამ ეტყობა მისი მიღება საქმეთა შემდგომ წარმართვაზე იოლია. იაპონიამ და სამხრეთ კორეამ საორგანიზაციო საუბრის დაწყებასაც კი ვერ მოაბეს თავი. ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობა მოსალოდნელზე დიდი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი თავსატეხი გუნდების რაოდენობაა. იაპონიას ფინალურ ეტაპზე 40 ნაკრების ხილვა სურს, კორეა კი ახლანდელ რიცხვს, 32-ს უჭერს მხარს. იაპონელთა სურვილი გასაგებია, მათ, თავიანთ ქალაქებში რაც შეიძლება მეტი მატჩის მიზიდვა უნდათ. გასაგებია კორეელთა პოზიციაც. მათ თამაშების გამართვა ქვეყნის უმთავრეს ქალაქებში სურთ, მეტს კი ძნელად თუ გასწვდებიან.

მეორე პრობლემა აზიის ფეხბურთის კონფედერაციასთან ურთიერთობაში წარმოიშვა. ფიფამ ორ მასპინძელს, ფინალურ ეტაპზე ორი ადგილი დაუჯავშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებები შესარჩევ შეჯიბრებას არ გაივლიან, ანუ აზიის სხვა ქვეყნებს ორი ადგილი მოაკლდებათ. ადგილების მოკლება მათ ბუნებრივია არ ეჭაშნიკათ და პროტესტს აცხადებენ.

ბლატერი ამბობს: „ჩვენ 2002 წელზე იმდენს ვსაუბრობთ, რომ თითქმის დაგვავიწყდა უახლოესი დიდი შეჯიბრება, 1998 წლის ჩემპიონატი, რომელიც საფრანგეთში უნდა ჩატარდეს.“

გენერალური მდივანი აცხადებს, რომ 2002 წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატები ძველებურად ერთ ქვეყანაში გაიმართება: „ჩვენ ახლა ვაფასებთ პირველობის ერთ სახელმწიფოში ჩატარების უპირატესობას. დღევანდელი სიტუაციის ფონზე ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს.“

იაპონელთა და სამხრეთ კორეელთა შეხვედრას ხელთ მათი განსხვავებული დღესასწაულები და სხვა თარიღები თუ მოვლენებიც კი აღუდგა. საბოლოოდ ხვალინდელი დღე, 6 ნოემბერი შეარჩიეს. ციურიხში ამ შეხვედრას უნდა დასწრებოდნენ ფიფას ვიცე-პრეზიდენტი მექსიკელი გილერმო კანალო და იტალიელი ანტონიო მატარეზე, ბედს, მოგეხსენებათ, ირონია უყვარს. კანალო მძიმედ იყო ავად და ახლა სუსტადაა, მატარეზე კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგა.

ფიფას უკან არ დაუხევია. მან უკვე მოახერხა იაპონელებთან და კორეელებთან ცალ-ცალკე შეხვედრა. ისე კი, მსოფლიოს ფეხბურთის თავკაცებს ისიც აქვთ ნათქვამი, რომ თუ ეს ორი ქვეყანა საერთო ენას ვერ გამონახავს, ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოერთმევათ და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ებოძება.

და მაინც, 2002 წელი ჯერ შორსაა, ახლოს კი 1998-ია. რა პრობლემებია საფრანგეთში?

ყველაზე მეტად, ბლატერს, მოედნების შემოღობვა არ მოსწონს. მას იმედი აქვს, რომ საფრანგეთის მთავრობა შეცვლის უწინდელ კანონს, რომლის თანახმადაც მინდვრები ტრიბუნებისგან საგანგებო ბადეებით უნდა იყოს დაცული.

„მე ვნახე, რომ საფრანგეთში, 1998 წლისათვის, უკვე მზად აქვთ რამდენიმე მშვენიერი სტადიონი, მაგრამ სენტ-ეტიენში „ჟოფრი-გიშარზე“ მეტისმეტად მაღალმა ბადემ გამაოცა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ხალხი გულშემატკივარი კი არა, პატიმარია.

მიშელ პლატინიმ (მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) აგვიხსნა, რომ საფრანგეთში ბადეები კანონის თანახმადაა აღმართული, კანონი კი უსაფრთხოების მიზნით მიიღეს, მაგრამ ინგლისში, შეფილდის სტადიონზე მომხდარი ჭყლეტის შემდეგ, ასეთივე კანონი გააუქმეს. ჩვენ გულშემატკივარს მეტად უნდა ვენდოთ და მოედანთა შემოღობვა ავკრძალოთ. დეკემბერში, ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, 1998 წლის ჩემპიონატის უსაფრთხოების საკითხებს განვიხილავთ და ვიმედოვნებთ, რომ შემოღობვა წარსულს ჩაბარდება.“

# ჩემპ, შენ პოდიუმსაც მოუხდებოდი

სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი მაია აზარაშვილი თავის პირველ შეჯიბრებაში რომ გამოვიდა, 11 წლის იყო. მას მერე 21 წელი გასულა. თუ არ ჩავთვლით საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის პერიოდს, მაიას რბენის გარდა სხვა საქმიანობა არც ჰქონია. თუმცა, იგი დაჯილდოებულია ორდენით „წარჩინებული შრომისათვის". მაგრამ მან ეს ჯილდო რბენისთვის დაიმსახურა, კარგი რბენისთვის, რასაც, რა თქმა უნდა, შრომით მიაღწია. რბენა კი ბევრ სხვა სფეროზე მეტ ოფლისღვრას მოითხოვს.

და აი, მაია აზარაშვილმა შრომითი საქმიანობაც დაიწყო, ისეთი საქმიანობა, ბევრისთვის პირდაპირი მნიშვნელობა რომ აქვს. მან საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი ჩაიბარა. ამ დღეებში გამართული არჩევნების მერე მაიას სწორედ სამსახურში შევხვდით და ვესაუბრეთ. საუბრის დაწყებამდე ყავა შემოგვთავაზა და გაგვახსენდა ატლანტის ოლიმპიური თამაშების წინ თავისი ხელით შევსებული დოსიე, სადაც ჩაწერა, ჩემი საყვარელი საქმიანობა კერძების მომზადებააო. როგორ კერძებს ამზადებს მაია, ამას ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ყავა კი მართლაც დიდებულად მოადუღა. ახლა იმ ყავას შევექცევით და თან მაიას ვესაუბრებით.

— როგორ ეგუებით სამსახურის დაწყებას?

**— საქმიანობა ოთახის დალაგებით დავიწყე. ბოლო წლებში უცხოეთიდან მოსულ კონვერტებს ვხსნი, წერილებს ვკითხულობ და... ვყრი.**

— ეგ როგორ, ამ ხნის განმავლობაში გაუხსნელი იყო?

**— დიახ, მათთვის ხელი არავის უხლია. წერილები ინგლისურადაა დაწერილი, მათი წამკითხავი კი ჩვენს ფედერაციაში არავინ იყო.**

მაია აზარაშვილი სულ ახლახანს აირჩიეს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტზე. ამ ფაქტისადმი ჩვენი დამოკიდებულება თუ გაინტერესებთ, ვიტყვით, რომ არჩევნებში სწორედ მას დავუჭირეთ მხარი. თუმცა, მის კანდიდატურას ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით ვუყურებდით. არა, იმიტომ კი არა, რომ იგი ღირსეულად არ მიგვაჩნდა, პირიქით — მაია აზარაშვილს მძლეოსნობის სამყაროში აქვს ავტორიტეტი ჩვენთანაც და უცხოეთშიც, აქვს საკმაო ნაცნობობაც. მშობლიური ენის გარდა საუბრობს ინგლისურად, გერმანულად, სლოვენურად, რუსულად. არის ენერგიულიც, კინოვარსკვლავივით მომხიბლავიც...

მაგრამ მაიას ერთი „ნაკლი" აქვს — აქტიური სპორტისთვის ზურგი ჯერ არ უქცევია, თანაც გერმანიაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. სწორედ ეს გვაფიქრებდა, მაგრამ კენჭისყრამდე თავადვე დაგვამშვიდა. გვითხრა, მე იქ ვიქნები, სადაც ამას საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ინტერესები მოითხოვსო.

...ახლა ფინჯან ყავის ფსკერზე ნალექი გამოჩენილა და მაიას ალბომის ფურცვლაზე გადავედივართ. აი, ეს სურათები გადაღებულია სლოვენიაში, სადაც იგი 1992 წლიდან ორ წელიწადს ცხოვრობდა და ერთი იქაური კლუბის ღირსებას იცავდა.ეს ფოტოები კი გადაღებულია უკვე გერმანიაში, სადაც იგი გადასახლდა და ხან ერთ კლუბში იყო, ხან მეორეში.

**„სლოვენიაში ჩვენმა კლუბმა სპონსორი დაკარგა. მან რუსეთთან დაიჭირა საქმე და ეკონომიკური კრახიც განიცადა. ბედი სხვაგან უნდა მეძებნა. იქ სულ სამი კლუბია. თუ მოძებნა იყო, სჯობდა სხვა ქვეყანაში მომენახა სასურველი კლუბი. გერმანიაში მეტი არჩევანი იყო და მეც იქ გადავედი. საერთოდ, მძლეოსნისთვის ძნელია სასურველი კლუბის მოძებნა. სულ სხვაა ფეხბურთი, რომელთა კლუბებს სპონსორობს „მერსედესი", „ოპელი" და სხვა ძლიერი ფირმები. ამიტომ უკეთესი პირობების ძებნაში სამი წლის მანძილზე სამი კლუბი გამოვიცვალე. ახლა მძლეოსნურ კლუბ „ე.ს.გ. ეშვაილერ"-ში ვარ. ეშვაილერი ქალაქის სახელია. როგორც იქ მეუბნებიან და თვადაც ვხედავ, მე მათი კლუბის სასურველი, საამაყო და სასიამოვნო წევრი ვარ, რადგან ახლო-მახლო ჩემს მეტი არავინაა ოლიმპიური თამაშების მედალოსანი, ჩემს ბრინჯაოს კი ისინი ძალზე აფასებენ. რომელ კლუბშიაც არ უნდა ვყოფილიყავი, მაქსიმალურად ვცდილობდი მათი სახელის ღირსეულად დაცვას. 1992-93 წლებში თანაკლუბელებთან ერთად ევროპის თასის გათამაშებაში მესამე პრიზიორიც გავხდი",** — გვიამბობს მაია და ყური თუ მისკენა გვაქვს მიპყრობილი, მზერას ისევ ალბომში ჩაკრული ფერად-ფერადი სურათები გვტაცებს.

აი, ამ ფოტოებზე აღბეჭდილია მაიას ბიძა — შოთა აზარაშვილი, ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ნაკრების წევრი რომ იყო. ამ ფოტოებზე კი მაიას თავის მეუღლესთან ერთად ვხედავთ ხან ოჯახურ იდილიაში, ხან სარბენ ბილიკებზე წამზომით ხელში. მაიას მეუღლე ზურაბ მემარნიშვილი არის. ისიც მძლეოსანია, და ისიც „ე.ს.გ. ეშვაილერში" მუშაობს მწვრთნელად და მაიასაც ის ავარჯიშებს.

**„ჩვენ ერთად წავედით დასავლეთში. სლოვენიაში რომ ჩვენი კლუბი გაკოტრდა, მაშინ საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. აქ ვარჯიში შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით ზამთარში. კლუბებს ხშირად რომ ვიცვლიდით, ეს არ აიხსნებოდა ანაზღაურების თანხებთაგან ჩემი პრეტენზიებით. მინდოდა, რომ ჩემს მეუღლეს სამსახური ჰქონოდა, სამსახური — თავისი სპეციალობით, მძლეოსნურ კლუბში. პირადად მე კლუბები არაფერს მიხდიან, ოჯახს კი რჩენა უნდა. 7 წლის ვაჟიშვილი გვყავს — დევიდი. ხომ კარგი ბიჭია დევიდი?"** — გვეკითხება მაია, თან მის სურათს გვიჩვენებს და გამომცდელად გვიყურებს.

ამ ალბომში კი დევიდის სურათები სჭარბობს. ამ სურათებიდან ჩანს, რომ მაია შვილს მგონი ყველა ქვეყანაში და შეჯიბრებაზე დაატარებს. ამ ფოტოებზე პატარა დევიდი „სპორტის დედოფლის" დიდ ვარსკვლავებთანაა აღბეჭდილი, თეთრებთანაც და შავებთანაც, ევროპელებთანაც, აზიელებთანაც, ოკეანესგაღმელებთანაც.

**„თუ ვინმეს აინტერესებს, რატომ ვართ დასავლეთში, ვეტყვი, რომ იქ შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობის საშუალება მაქვს. აბა, ასპარეზობებზე უკეთესი ვარჯიში რა უნდა იყოს? იქ შეჯიბრებებს მიტინგებს უწოდებენ. ყოველ მესამე დღეს კომერციული მიტინგია. მასში მონაწილეობის საკითხი იოლად წყდება: მირეკავენ და მეუბნებიან, მაია, ამა და ამ დღეს, ამა და ამ ქალაქში თანახმა თუ ხარ ამა და ამ თანხაზე იასპარეზოო. მე თანხმობას ვეუბნები, ისინი უმალ ფაქსით მიწვევას მიგზავნიან და ერთ დღეში ავტობუსით ჩავდივარ ჰოლანდიაში, ბელგიაში ან სხვაგან. თუ სურვილი გაქვს, კვირაში სამ შეჯიბრებაში აძერხებ გამოსვლას. ახლა, წარმოიდგინეთ, მერე რომ თბილისში ვიყო, ამას როგორ მოვახერხებდი. არა, ეს შეუძლებელია. წარმოიდგინეთ ვიზის მისაღებად მოსკოვში უნდა ჩავიდე, გერმანიიდან კი უვიზოდ სადაც მოგესურვება, იქ წახვალ".**

— თუ საიდუმლო არ არის, კომერციულ ტურნირე-



ბზე რა თანხაზე საუბარი? — ვეკითხებით მაიას.

**— გააჩნია, როგორი რეიტინგის შეჯიბრებაა, ვინ არის ასპარეზობის სპონსორი. თუ „კოკა-კოლაა", თანხა მეტია, თუ „მაყვალა" — ნაკლები. ეს თანხა შეიძლება იყოს 200 მარკაც, 500, 1 500. მე ხშირად 200 მარკაზეც ვთანხმდები. ფული ციდან არ ცვივა. იშვიათად არის 2 000-მარკიანი ტურნირიც. ეს უკვე კარგი თანხაა, თუმცა მერლინ ოთის 50 000 დოლარიც მიუღია.**

— დიახ, უფრო საინტერესო ის არის, რომ 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის დონოვან ბეილისა და 200 მეტრზე რბენაში ასევე მსოფლიო რეკორდსმენის მაიკლ ჯონსონის გაჯიბრებას აპირებენ იმის გასარკვევად თუ ვინ უფრო სწრაფია. ამ შეჯიბრებისთვის ზეჰონორარია გათვალისწინებული. გამარჯვებული მილიონ დოლარს მიიღებს, დამარცხებული — 250 000-ს.

**„ეს უკვე შოუა. მათ „ნეიტრალურ" 150 მეტრზე გაიჯიბრებენ. მძლეოსანთა ასპარეზობებზე საერთოდ დიდი პრემიალური თანხებია გამოყოფილი, მაგრამ ის ფული 44 სახეობაზე ნაწილდება. ბეილისა და ჯონსონის „დუელში" კი მხოლოდ ორი კაცი მონაწილეობს და შესაბამისად თითოეულ მათგანს დიდი ლუკმა შეხვდება.**

ბეილისა და ჯონსონის ორთაბრძოლაზე კიდევ ბევრ საინტერესოს გვიამბობს აზარაშვილი. მაგრამ ის შავი ვარსკვლავები თავიანთ საქმეს თავადვე გაარკვევენ, ჩვენ კი ჩვენს სპორტის დედოფალს მივუბრუნდეთ. სარბენ ბილიკებზე გადაღებულ ყველა სურათზე მაია ფეხშეხვეულია აღბეჭდილი. ფეხშეხვეულია გადაღებული წლევანდელ სურათებზეც, შარშანდელზეც. თანაც შეხვეული აქვს ერთი და იგივე ფეხი, ერთი და იგივე ადგილი.

**„ტრავმები მტანჯავს. ამ დღეებში გერმანიაში ორი ოპერაცია მელის. ერთი ოპერაცია აქილევსის მყესის გაწმენდა იქნება. ამგვარი ოპერაცია სხვა დროსაც გადამიტანია, მაგრამ ეს კოსმეტიკურ ოპერაციად მეჩვენება იმასთან შედარებით, რაც მესამეზე მელის. წინა კუნთი სამაგრს მოწყდა და სხვა ადგილზე შემეზარდა. მკურნალობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა ეს კუნთი თავის ადგილზეა მისაკერებელი. ქირურგი, რომელმაც ოპერაცია უნდა გამიკეთოს, დიდად გამოცდილია, მაგრამ მის პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. თბილისში ჩემს წამოსვლამდე იგი დარწმუნებული არ იყო, ოპერაციის შემდეგ შევძლებ თუ არა კუნთის ძველებურად დატვირთვას. თუ ამაში ვერ დამარწმუნებს, ოპერაციას საერთოდ არ გავიკეთებ და აქტიურ სპორტს გამოვეთხოვები, რადგან რბენისას საშინელი ტკივილები მაქვს, მითუმეტეს ამ სეზონში ბევრ კომერციულ ტურნირში გამოვედი და ფეხი ძალზე დავტვირთე. პატარ-პატარა ტრავმებით მთავარს ვიწვალებდი. იმდენად დავტვირთე, რომ კუნთზე მგრძნობიარება მთლად დავკარგე, რბენისას კი მეჩვენება, თითქოს ფეხში დენს მიტარებენო. ყოველივე ამის გამო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ისე, სასხვათაშორისოდ გარბენა გამომივიდა".**

მაიას სიტყვებზე გვებადება კითხვები: კი მაგრამ, სად დაშავდით ასე საშინლად? თუ ასე გაწუხებთ ტრავმა, კომერციულ ტურნირებს რატომღა მიეძალეთ?

**„ეს მოხდა ორი წლის წინათ, მანჰაიმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. მაშინ 60 მეტრზე წინასწარ გარბენში ძალიან კარგი შედეგი ვაჩვენე (7,27) და საქართველოს რეკორდი დავამყარე. ვგრძნობდი, რომ მეტიც შემეძლო და ფინალში მაქსიმალური სიწრაფით რბენას ვაპირებდი, მაგრამ შუა დისტანციაზე მოულოდნელად ტკაცილისაგან თვალთ დამაბნელდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცამ ფეხი მომგლიჯა. საშინელებაა, როცა მორბენალი შეჯიბრებისას ღებულობს ტრავმას. მას მერე სხვა რომ შავდება, იმის ყურებაც კი არ შემიძლია. მისი ტკივილი მეც მტკივა და ჩემსას ემატება, მაგრამ როცა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავ ტრავმაზე აღარ ფიქრობ. თუმცა, იგი არასოდეს მავიწყებს თავის არსებობას".**

ეტყობა, იმ ავადმოსაგონარი გარბენის წინ მაია საბრძოლო განწყობილებას რომ იქმნიდა, მას გადაავიწყდა თავისი ჩვეული რიტუალის შესრულება — პირჯვარის გადაწერა, რაც სხვა დროს არასოდეს დავიწყებია.

– ისევ ალბომები, ისევ ფოტოსურათები. აი, ჰავანაში, 1981 წელს სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა შეჯიბრებაზე („მეგობრობა") გადაღებული სურათი. ეს ასპარეზობა მაია აზარაშვილისთვის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გახლდათ. დებიუტი კარგი გამოდგა. მაიამ 100 და 200 მეტრზე რბენაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. 1986 წელს კეთილი ნების თამაშებზე გადაღებული სურათები კი ეტყობა სხვა ალბომში აქვს, თუმცა, ისედაც გვახსოვს — იმ შეჯიბრებაზე მეორე ადგილი დაიკავა.

აი, ეს სურათები კი 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზეა გადაღებული. მაიასთვის ესეც დებიუტი იყო და ის გამოსვლაც კარგად გასრულდა — საბჭოთა „კვარტეტთან" 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, 200 მეტრზე ინდივიდუალურ შეჯიბრებაში კი ფინალში მოხვდა, რაც მისთვის უდიდესი მიღწევა გახლავთ, თანაც ფინიშთან მეშვიდე იყო. თავის სპორტულ კარიერაში თვითონ მაიაც ამ შედეგს თვლის საუკეთესოდ, მანჰაიმში ასპარეზობა კი, სადაც 60 მეტრზე წინასწარ გარბენში საქართველოს რეკორდი დაამყარა, ყველაზე ავადმოსაგონარია მისთვის.

**„იმ ტრავმის გამო მძულს მანჰაიმი. გაგონებაც აღარ მინდა ამ ქალაქისა. არადა, ის სეზონი ჩემთვის ძალიან კარგად დაიწყო. ვგრძნობდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის შემეძლო ბრძოლა. ჩემი ორიენტირი მხოლოდ ოქროს მედალი იყო. ძალზე რეალური შანსი მქონდა საამისოდ, მაგრამ მორჩა, ასეთი შანსი აღარც მექნება. მანჰაიმში გამოსვლას ვიხსენებ როგორც უდიდეს ტრაგედიას ჩემს ცხოვრებაში".**

ისევ ფოტოსურათები, ისევ მოგონებები... მაიას ზოგ ფოტოსურთზე დახედვისას სახე უცისკროვნდება, ზოგჯერ კოპებს იკრავს და ნაღვლიან ისტორიას იხსენებს.

ახლა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გადაღებულ სურათებს მივდგომივართ: მაია — ატლანტის ცათამბჯენების ფონზე, მაია — ოლიმპიურ სოფელში, მაია — ჩვენს მოჭიდავეებთან ერთად, მაია — გემივით გრძელ „როლსროისთან", მაია — მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე... ატლანტის მოსაგონებლად ყველა ამ სურთაზე უკეთესი იქნებოდა ერთი — მაია აზარაშვილი ოლიმპიურ საპატიო კვარცხლბეკზე, მაგრამ ასეთი არ არის. არ არის სწორედ ტრავმის გამო, რადგან თავისი საუკეთესო შედეგის (22,4) გამეორების შემთხვევაში მედალს სახელგანთქმულ იამაიკელ მერლინ ოთისთან გაიყოფდა.

**„მაშინ, სეულის ოლიმპიადაზე 22 წამი ერთბაშად ოთხმა მონაწილემ გადაურბინა. ასეთი რამ ისტორიის არ ახსოვს, ახლა კი ატლანტაში ეს ვერავინ შესძლო. არადა, აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ 22 წამიდან ვინმე არ გამოსულიყო. ასეა, მე რომ ფორმაში ვარ, ყველა ჩემი მეტოქეც ფორმაშია, როცა მე არა ვარ ფორმაში, არც სხვები არიან, მაგრამ ასეთი ჩავარდნები მხოლოდ სპრინტში როდი ხდება. ასეა, მაგალითად, ქალთა სიგრძეზე ხტომაშიც. უცნაური რამ ხდება — საკმარისია გამოჩნდეს ვინმეც, რომელიც, ვთქვათ, 22 წამზე სწრაფად გაიქცევა, ან ვთქვათ 7,30-ზე გადახტება და მას სხვებიც მხარს უბამენ. თუ ასეთი არა ჩანს, მაშინ ყველა სამარცხვინო შედეგს აჩვენებს".**

ვინ იცის, მაია რომ ტრავმებს არ გაეტანჯა, იქნებ სწორედ ქართველი მორბენალი აღმოჩენილიყო ის ტონის მიმცემი, ვინც სხვებსაც აიყოლიებდა. იქნებ ჯანმრთელი და საღ-სალამათი მაია აზარაშვილი ოლიმპიურ საპატიო კვარცხლბეკზე ატლანტაშიც გვეხილა. მას ნამდვილად დამშვენდებოდა იქ დგომა და სურათის გადაღება, მით უმეტეს, მაიას ზედმეტი სახელი არის ჩემპ-ჩემპიონი!

მართლაც მოხდენილი და სასურათე ჩემპიონი გვეყოლებოდა. ისე, მისი გარეგნობის პატრონს პოდიუმზე გავლაც დამშვენდებოდა.

სხვათა შორის, როცა ჩვენი ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში გამართულ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე მაია აზარაშვილს გენერალური მდივნის პოსტზე ვირჩევდით, იგი ლამის მართლაც პირდაპირი მნიშვნელობით გავატარეთ პოდიუმზე, რომელიც იმავე დარბაზში მოუწყვიათ და რომლის არსებობასაც უკვე მივეჩვიეთ, ჩვენს შეცბუნებულ უცხოელ კოლეგებს კი იგი ძალზე ამხიარულებს და იქ კლაუდია შიფერის გამოჩენას ელიან.

კლაუდია შიფერი არადა, შავ კოსტიუმში ელეგანტურად გამოწყობილი ჩვენი მაია აზარაშვილი კი ხმის მისაცემად პოდიუმის გასწვრივ რამდენჯერმე გავატარ-გამოვატარეთ, რათა გაემეორა ერთხელ ნათქვამი: „მე იქ ვიქნები, სადაც ჩვენი მძლეოსნობის ინტერესები მოითხოვს".

მაია მაშინაც შავ-თეთრ ფერებში მოხდენილად იყო „გადაწყვეტილი", როცა მას თავის სამსახურში ვეწვიეთ. ელეგანტურად იყო გამოწყობილი ყველა ფოტოსურათზეც და მათი ხილვისასაც გაგვახსენდა თავის დოსიეში თავისივე ხელით ჩაწერილი ფრაზა, ჩემი გატაცება „არაჩვეულებრივი — მშვენიერი" ტანსაცმლის შეძენააო.

მაიასთან გამომშვიდობებისას, როცა ჩემპს საგაზეთოდ სურათი ვთხოვეთ, მოგვცა ფოტო, სტარტზე რომაა აღბეჭდილი, ოღონდ ერთი პირობით, ეს სურათი ყველაზე მეტად მომწონს და უთუოდ უნდა დამიბრუნოთო.

მართლაც მომხიბლავია მაია აზარაშვილი იმ სურათზე, მაგრამ აქ სხვასაც ვბეჭდავთ, ავტოგრაფიახს,ჩვენ რომ გვისახსოვრა და იქაც კინოვარსკვლავს რომ ჰგავს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



# ამერიკელი სიძე ჩვენებური პატარძლებისთვის

## უბედაურო ქართველი მხედრები



ქალაქში ხმები დადის, თბილისის ზოოპარკის ბინადართა ხორცით მომმარაგებელი ძირითადი იპოდრომიაო. დამშეულ „თბილისელ" მხეცებს მარტო იპოდრომი რომ ვერ გასწვდებათ ეს ფაქტია, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ჭორში სიმართლის მარცვალიც არის.

ჩვენში ალბათ სპორტის არცერთი სახეობა არ არის ისეთ შავ დღეში, როგორშიც საცხენოსნო სპორტია, აქ კი რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია, თუ საცხენოსნო მეურნეობას არ განვავითარებთ. საცხენოსნო სპორტს, პირველ რიგში, რიგიანი იპოდრომი სჭირდება. თბილისის იპოდრომი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. 1956 წელს აგებული შენობები ერთხელ კი გარემონტდა, მაგრამ სად, რა და როდის ჩამოინგრევა, კაცმა არ იცის. ბოლო წლებში იპოდრომი გვარდიელების ხელში იყო და ავტომატებიანებმაც „გამოიღეს ხელი": იმ დროს დაიწვა ლობე, დაინგრა შენობები, თავდაცვის სამინისტროსა და მერიის შეთანხმებით ამ უკანასკნელმა არენის დიდი — საპრიზო წრის ადგილას ჩადგა მეტროს გამწმენდი კოლექტორი და ეს ადგილი ისევ გადათხრილია. მოკლედ, იპოდრომი ნაომარ ალაგს ჰგავს და ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს იმას, რომ აქ გვარდიელების დისლოკაციის ადგილი იყო.

ზემოთ თბილისის ზოოპარკის ბინადარნი ვახსენეთ და არცთუ უსაფუძვლოდ. იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის (ეს უკანასკნელი იპოდრომს ექვემდებარება) უმწვავესი პრობლემა საკვების ნაკლებობაა, ავადმყოფობის შემთხვევებიც არ არის იშვიათი, თან არც საჭირო მედიკამენტებია საკმარისად, თუმცა ამ თემაზე არც ღირს საუბარი იმ ქვეყნის პრესის ფურცლებიდან, სადაც უპურობას და უწამლობას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განიცდის. და მაინც, გულდასაწყვეტია: ადრე ცხენსაშენს 50-60 წმინდა სისხლს ბედაური ჰყავდა, ეს მაშინ, ახლა „კაი დროს" რომ უწოდებენ. მაგრამ დღევანდელი სიდუხჭირის კვალობაზე მოხდა გამოხშირვა და ოპტიმალურ რაოდენობად 25 ცხენი შეირჩა. ამ სტატისტიკიდან გამომდინარე იკლო მხედართა რაოდენობამაც — ერთი ბედაური ორ მხედარს ხომ ვერ შეისვამს?! შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია კლასიკური სპორტისთვის ვარგის ბედაურებზე, თორემ ხანდაზმული და სისხლარეული 25 ცხენი ცხენსაშენმა სასაზღვრო ჯარებს გადასცა, სამაგიეროდ, ქართველმა გუშაგებმა იპოდრომის დირექციას საბიუჯეტო დავალიანება უნდა დაუფარონ. უფულობამ არაერთი ცხენი დაათმობინა დირექციას — ნაწილი გაიყიდა, ნაწილი საკვებზე გაიცვალა, მაგრამ არც ეს არის გამოსავალი — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ბაზარს მიაწყდა სხვადასხვა რესპუბლიკიდან გასაყიდად განწირულ ერთგულ ოთხფეხთა ქარავანი, ხოლო ადამიანებისა არ იყოს, „რუსი", „უკრაინელი" თუ „მოლდოველი" ცხენები „ქართველებზე" მოვლილნი და ნაპატივებნი არიან და მყიდველიც მათ ეტანება. ამიტომ, რაც იყიდება, მხოლოდ შინაურ ბაზარზე და ისიც ჩალის ფასად.

ამდენი დაბრკოლების მიუხედავად საცხენოსნო ბაზის დირექტორი შალვა ჭაფოძე მაინც დაბრკოლებების უკმარისობას უჩივის: ელემენტარული ბარიერები არ გააჩნიათ, რომ შინაური ჩემპიონატი მაინც ჩაატარონ დაბრკოლებების გადალახვაში. ცხენის ელემენტარული აღჭურვილობა რა არის, ისიც არ გააჩნიათ, ლაგამი, ალვირი და უზანგი რომ საქართველოში სანთლით საძებნელი გაგიხდება, საცხენოსნო ბაზის დირექციას რა უნდა მოსთხოვო. მოკლედ, პრობლემა უამრავია და გამოსავალი მხოლოდ ერთი — მისი უდიდებულესობა ფული. დღეს კი სპორტში ფულის შოვნის ორად ორი გზა არსებობს: ბიუჯეტის მოწყალება და წელგამართული სპონსორი. ქართველ ცხენოსნებს კი არც ერთი გააჩნიათ და არც მეორე, თუმცა იპოდრომის დირექტორის ლაშა ჯაიანის თქმით საქმეს ნაწილობრივ ეშველება, თუ სახელმწიფო მიწის გადასახადს შეუმცირებს იპოდრომსა და ყულარის ცხენსაშენს. ასე, ავად თუ კარგად, თავს შეინახავენ.

ბუნებრივია, მკითხველი შეამჩნევდა, ვსაუბრობთ ქართული ცხენოსნობისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებაზე და თბილისს არ გავცილებივართ. ასეა: რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და რაიონებში მთლიანად ჩამკვდარია საცხენოსნო სპორტი, ერთადერთი, სადაც ოდნავ მაინც შემორჩა ძველი ტრადიციები, ფოთია, თუმცა აქაც კლასიკური სპორტისთვის ვარგისი მხოლოდ სამი ცხენი ჰყავთ.

მოგეხსენებათ, ყოველ ღამეს დღე მოსდევს და ცხენოსნობის მესვეურნი შველის მოლოდინში თითოოროლა სასიკეთო საქმის კეთებას მაინც ახერხებენ. ამას წინათ მოსკოვში შეიძინეს ცნობილი „ამერიკელი" წმინდა სისხლის ინგლისური ბედაურის „ლეო კასტელის" „გარუსებული" „ვაჟიშვილი" ულაყი „ელიფსი". გაქართველებულმა „ელიფსმა" შესაშური მონდომება გამოიჩინა და ერთდროულად რამდენიმე ქართულ „ოჯახს ჩაესიძა", იპოდრომელებიც მოუთმენლად ელიან „ინტერნაციონალური ქორწინების პირმშოებს" და ჯერ არ დაბადებულ კვიცებზე დიდ იმედებს ამყარებენ. მათ გარდა ჰყავთ სხვა კვიცებიც, შედარებით ნაკლებადღირსეული გენეალოგიის, მაგრამ მაინც იმედის მომცემნი. მანამდე შეიძინეს რუსეთის არენებზე არაერთგზის მოასპარეზე „ასტეროიდი", საიმედოდ ითვლებიან „პეტროპოლისი", „არტეკი"– მათ მხარს უთოდ დაუმშვენებდა „პელაგისი", მაგრამ საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, ნათქვამია, „პელაგისი" შარშან პიატიგორსკში გამართულ „სტიპლ ჩეიზში" მონაწილეობისას დაიღუპა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი საერთაშორისო შეჯიბრება იყო ქართველ მხედარ-მერნებისათვის. არ არის გამორიცხული ცხენთა განათხოვრება მოევლინოს მხსნელად ქართულ საცხენოსნო სპორტს. ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ყრილობაზეც კი დაისვა საკითხი, იქნებ ცხენები კონტრაქტით გადავცეთ ფულიან, მაგრამ ცხენისმოყვარულ ძიებსო, აჭამონ, ასვან, ჩააცვან, დაახურონ (ალკაზმონ), თავადაც გამოიყენონ და ასპარეზობისას სპორტსმენებს დაუთმონო. მოკლედ, ყველა გზა, ყველა ბილიკი მოსინჯეს საცხენოსნო სპორტის მესვეურებმა, მაგრამ გადარჩენის რეალური გზა მაინც არ ჩანს.

უკვე რახანია, ქართველ მხედრებს მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო შეჯიბრებებში და კარგახანს ამას ალბათ ვერც შეძლებენ. მთავარი დაბრკოლება, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როცა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციაში არაერთი ისეთი ქართული ფედერაცია გაწევრიანდა, რომ სპორტის ამ სახეობების შესახებ არც კი გვსმენოდა, მაშინ საცხენოსნო სპორტის ფედერაციამ ვერ შეძლო საერთაშორისო ფედერაციის წევრად გახდომა. მახსოვს, მაშინ უცხოელების უარს ასე ხსნიდნენ ჩვენებურები: რა ვქნათ, ასე გვეუბნებიან აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ხუთი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი იპოდრომი მაინც გქონდეთო. მაშინ (1989-90 წლები) თბილისის იპოდრომი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში. იპოდრომები მოქმედებდა სოხუმში, ოჩამჩირეში, გალში, ზუგდიდში, ფოთში და ოზურგეთში. აი, მაშინ უნდა დაედგათ წელებზე ფეხი ფედერაციის თავკაცებს და როგორმე „შეეთრიათ" ჩვენი ფედერაცია საერთაშორისოში, თორემ ახლა გაწევრიანების ორი გზაღა დარჩა: ან იპოდრომების მშენებლობა უნდა დაიწყოს ქვეყანამ, სადაც წლების მანძილზე აგური აგურზე არ დადებულა, ანდა აფხაზეთი დავიბრუნოთ სასწრაფოდ. მოკლედ, ჩვენი მხედრები კარგა ხნით დაემშვიდობებიან მსოფლიოს საუკეთესო იპოდრომებს, საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებს, რაგინდარა პირობებიც უნდა შეუქმნან მათ საასპარეზოდ.

ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ბოლო ყრილობაზე ცხენოსნობის მესვეურებმა პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის უფროსის დავით სალარიძის ნაცვლად თენგიზ აბულაძე აირჩიეს — საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე. რითი ჯობია ერთი ჯიბესქელი სამსახურის შეფს მეორე არანაკლებ ჯიბესავსე დეპარტამენტის თავკაცი, ვერ გეტყვით, მაგრამ ყრილობაზე ბატონ აბულაძის არაორაზროვანმა განცხადებამ მცირე იმედი მაინც გააჩინა: „მე თქვენსავით მიყვარს ცხენები და მათით მოწამლულიც კი ვარ" — ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა. რამდენად ძლიერია ახალი პრეზიდენტის „ინტოქსიკაციის სიმწვავე", ამას მომავალი გვიჩვენებს.

P.S. როგორც გვაცნობეს, ამ შაბათ-კვირას გამართულ საცხენოსნო ბაზის ღია პირველობაზე სამჭიდში გაიმარჯვა დავით მალრაძემ ცხენით „პლაგიატი". საინტერესო ფაქტია, რომ „პლაგიატი" ქალბატონ ქეთევან კიკალეიშვილის საკუთრებაა. იქნებ, მართალნი არიან ისინი, ვინც ცხენების გასხვისებას მოითხოვენ?

**ლევან ჯავახიშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთი. XVI ტური

6 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ლიონი | 1,5 | 2,6 | 5,0 |
| რენი — ლე ავრი | 1,3 | 2,9 | 7,0 |
| ნიცა — პარი სენ ჟერმენი | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| ოსერი — მეცი | 1,25 | 3,1 | 8,0 |
| ლილი — ლანსი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ბორდო — კანი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| მარსელი — მონაკო | 2,8 | 2,6 | 2,0 |
| სტრასბური — მონპელიე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| კაენი — ნანტი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ნანსი — გინგამი | 2,3 | 2,5 | 2,3 |

### ავსტრია. XIII ტური

5 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — რიედი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლინცი — რაპიდი | 6,0 | 3,1 | 1,3 |
| შტურმი — ადმირა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| აუსტრია — გრაცერი | 1,4 | 3,1 | 4,7 |
| ტიროლი — ლინცერი | 1,3 | 3,0 | 6,5 |

### იტალიის თასი. მერვედფინალის განმეორებითი მატჩები

6 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ჯენოა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| იუვენტუსი — ნოჩერინა | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| ინტერი — კალიარი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### ჭოკეი. ევროლიგა

5 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერლინი — მანჩესტერი | 1,15 | 4,0 | 5,0 |
| ლულეო — ტ.პ.ს. ფინეთი | 1,6 | 4,0 | 2,5 |
| იოკერიტი — მილანი | 1,05 | 4,0 | 10,0 |
| ბერნი — კიოლნი | 2,0 | 4,0 | 1,8 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

9 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო — ინგლისი | ანგარიში — 4,5 | | |
| ავსტრია — ლატვია | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:2 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰოლანდია — უელსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ლიხტენშტაინი — მაკედონია | 7,0 | 3,4 | 1,2 |
| ალბანეთი — სომხეთი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| გერმანია — ჩრდ. ირლანდია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,7 | /3,4 | 2,4 |
| პორტუგალია — უკრაინა | 1,2 | 3,3 | 8,0 |

10 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორვატია — საბერძნეთი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| სლოვენია — ბოსნია | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პოლონეთი — მოლდოვა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| შვეიცარია — ნორვეგია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| აზერბაიჯანი — უნგრეთი | 6,5 | 3,0 | 1,3 |
| შოტლანდია — შვედეთი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| კვიპროსი — ისრაელი | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| ლუქსემბურგი — რუსეთი | 10,0 | 4,0 | 1,1 |
| 2:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |
| იუგოსლავია — ჩეხეთი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| თურქეთი — სან მარინო | 1,01 | 6,0 | 13,0 |
| 0:4 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ირლანდია — ისლანდია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჩილე — ურუგვაი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ბოლივია — კოლუმბია | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პარაგვაი — ეკვადორი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პერუ — ვენესუელა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

### ტირაჟი №89

1. ბასტია — ლიონი
2. ნიცა — პარი სენ ჟერმენი
3. ოსერი — მეცი
4. ლილი — ლანსი
5. ბორდო — კანი
6. მარსელი — მონაკო
7. კაენი — ნანტი
8. ნანსი — გინგამი

### ტირაჟი №90

1. საქართველო — ინგლისი
2. სლოვენია — ბოსნია
3. ხორვატია — საბერძნეთი
4. შვეიცარია — ნორვეგია
5. შოტლანდია — შვედეთი
6. იუგოსლავია — ჩეხეთი
7. ბოლივია — კოლუმბია
8. ჩილე — ურუგვაი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება JACK POT

## ჰოკეი

# ევროლიგა

ევროლიგაში მერვედფინალები მიილია, ასე რომ, წინასწარი პროგნოზების გაკეთებაც შეიძლება.

პირველ რიგში იმას გეტყვით, რომ მეორე ადგილებზე გასული 5 გუნდისგან მეორე რაუნდში სამი საუკეთესო ითამაშებს, ამიტომ ხუთივემ აქტიურად და უშელავათოდ უნდა იბრძოლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეხვედრებში რაიმე შეთანხმება, „ჩაწყობა“ არ უნდა მოხდეს.

„B“, „C“ და „E“ ჯგუფებში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. „B“ ჯგუფს მოულოდნელად მოსკოვის „დინამო“ მოექცა თავში. რუსებმა ჯერ შვედეთის „ფერიესტადს“ აჭამეს სირცხვილი, შემდეგ ორ თამაშში სტუმრად 3 ქულა აართვეს მეტოქეებს, თანაც ნორვეგიაში „ვოლერენგენი“ 8:1 გაანადგურეს. „დინამო“ მომდევნო ორ შეხვედრას აუტსაიდერ „ვოლერენგენთან“ და ჩეხეთის „ჩესკე-ბუდეევიცთან“ შინ ჩაატარებს და ორივეს მოგების შემთხვევაში სანატრელ საგზურსაც ჩაიდებს ჯიბეში — ვფიქრობთ, 9 ქულა მეოთხედფინალში გასვლის უეჭველი გარანტიაა.

რუსების მთავარმა მოცილემ, „ფერიესტადმა“ ჩეხებთან ქულა გაიყო 3:3 და დარჩენილი შეხვედრების მოგებას უნდა ეცადოს.

„C“ ჯგუფში სლოვაკეთის „სლოვანისა“ და ჩეხეთის „სპარტას“ მატჩი ჩაიშალა, რაკილა ჩეხები მოიწამლნენ, ამიტომ ცსკა-ს მიერ „ვენის“ 5:2 ძლევა და მეორე ადგილი ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს. არ არის გამორიცხული, სამმა მთავარმა კონკურენტმა ქულების თანაბარი რაოდენობა დააგროვოს. ამ შემთხვევაში ყველაფერს გატანილი და გაშვებული შაიბების რაოდენობა გადაწყვეტს. მაშინ უკეთესი შანსი ჩეხებს და სლოვაკებს ექნებათ.

„E“ ჯგუფში, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი სიტუაციაა. ლიდერმა, ფინეთის „ლუკომ“ შინ 3:5 მარცხი იწვნია ჩეხეთის „ლიტვინოვისგან“ და მეორე ადგილზე ჩაინაცვლა. „ლიტვინოვისა“ და საფრანგეთის „რუანის“ 8:0 მძლეველი შვედეთის „ფრელუნდას“ შანსებმა იმატა. „ლუკოსა“ და „ფრელუნდას“ უპირატესობა მაინც საგრძნობია, ისინი უკეთ გამოიყურებიან.

„A“ და „D“ ჯგუფებში სამი მეოთხედფინალისტი, ფაქტიურად, ცნობილია. „A“ ჯგუფში ფინეთის ტპს და შვედეთის „ლულეო“ აუტსაიდერებს საკმაოდ იოლად უმკლავდებიან, თავად კი, ისეთი პირი უჩანს, ქულებს გაიყოფენ. სულ მალე, დღეს საპასუხო მატჩი გაიმართება და ყველაფერი გაირკვევა.

„D“ ჯგუფში ევროთასის ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებულს, ფინეთის „იოკერიტს“ ქულაც არ დაუკარგავს და საგზურის მოსაპოვებლად აუტსაიდერ „მილანის“ ძლევაღა დარჩა. სამშაბათს შვეიცარიის „ბერნი“ და გერმანიის „კიოლნი“ მეორე ადგილს შეედავებიან ერთმანეთს, მაგრამ, თუ „იოკერიტმა“ ასე გააგრძელა, საფიქრებელია, რომ ვერცერთი გაიხარებს.

და ბოლოს, მავანთ სკეპტიკური აზრი — ევროლიგა ევროთასს ვერ შეედრებაო, რომ არ გაუჩნდეთ, ვიტყვით, რომ გუნდები უძლიერესი შემადგენლობით თამაშობენ, ისეთი ოსტატების მონაწილეობა კი, როგორებიც არიან მსოფლიოს ჩემპიონები და ყოფილი ნჰლ-ელები კასატონოვი (ცსკა), შეიბა, ციგერი (სლოვანი), სტრომბერგი, იანეცკიი (იოკერიტი), ბერგლუნდი (ლულეო), ელორანტა (ტპს), ასპარეზობას უფრო პრესტიჟულს ხდის.

ტურნირის ბომბარდირები: ლიპანსკი — 7 (3+4), ხნეპკო — 6 (3+3), შეიბა — 6 (2+4), პლავაჩი — 5 (5+0), კოლნიკი — 5 (4+1), (ყველა — სლოვანი), ვარისი (იოკერიტი) — 5 (1+4).

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლულეო | 2 | 1 | 0 | 18:10 | 5 |
| ტპს | 2 | 1 | 0 | 13:5 | 5 |
| ბერლინი | 1 | 0 | 2 | 7:11 | 2 |
| მანჩესტერი | 0 | 0 | 3 | 8:20 | 0 |

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 0 | 14:2 | 5 |
| ფერიესტადი | 1 | 1 | 1 | 10:10 | 3 |
| ჩესკე | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| ვოლერენგენი | 1 | 0 | 2 | 5:16 | 2 |

C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვანი | 2 | 0 | 0 | 16:3 | 4 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 12:10 | 4 |
| სპარტა | 1 | 0 | 1 | 10:5 | 2 |
| ვენა | 0 | 0 | 3 | 3:23 | 0 |

D ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იოკერიტი | 3 | 0 | 0 | 15:1 | 6 |
| კიოლნი | 1 | 1 | 1 | 8:4 | 3 |
| ბერნი | 1 | 1 | 1 | 11:9 | 3 |
| მილანი | 0 | 0 | 3 | 5:25 | 0 |

E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვინოვი | 1 | 2 | 0 | 9:7 | 4 |
| ლუკო | 2 | 0 | 1 | 9:8 | 4 |
| ფრელუნდი | 1 | 1 | 1 | 10:3 | 3 |
| რუანი | 0 | 1 | 2 | 5:15 | 1 |

## ველოსპორტი

# ვეება ტორტი და ცელქი ბაბუები

– როგორ არ ჰგავდა ეს შეჯიბრება თბილისის ამ უძველეს ტრეკზე გამართულ იმ ასპარეზობებს, 20-იან, 30-იან თუ 50-იან წლებში რომ ტარდებოდა. მაშინ ველოდრომის ტრიბუნები მოხლვავებულ მაყურებელს რომ ვერ იტევდა, ხალხი თურმე სახლების სახურავებზე და ხეებზე ჩიტებივით შემომსხდარნი ადევნებდნენ თვალს ასპარეზობებს.

ახლა, ამ ველოდრომის იუბილისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებზე მისული მაყურებელი კი იმდენიც არ მოგროვდა, რამდენი წლისთავიც ტრეკს შესრულებია — 110!

ტრიბუნებზე ვხედავდით მხოლოდ საასპარეზოდ მოსული 30 სპორტსმენის ახლობლებს, ვეტერან ველოსიპედისტებს, ჩვენი სპორტის ხელმძღვანელობას და ჟურნალისტებს, სხვა მხრივ კი ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო — ველოდრომი სტუმრებს გაკოხტავებულ-გალამაზებული დახვდა და შეჯიბრებაც საინტერესოდ ჩატარდა.

ასპარეზობისას საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განყოფილების გამგე თამაზ თევზაძემ წაიკითხა სეოკ-ის შტაბ-ბინაში მოსული ველოსპორტის საერთაშორისო კავშირიდან მოსული ფაქსი:

**„საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს ველოსპორტის ფედერაციას!**

**ძვირფასო საქართველოს მრბოლებო გვაქვს პატივი მოგილოცოთ 110 წლისთავი თბილისის ველოდრომისა, რომელზეც აღიზარდნენ მაღალი კლასის ველომრბოლები: არკადი ხაბურზანია, გიორგი ლეჟავა, ავთანდილ გუნია, ოთარ დადუნაშვილი, ომარ ფხაკაძე, ემზარ გელაშვილი, პეტრე ჩევარდოვი, ვასილ დავიდენკო.**

**ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მალე ექნება შესაძლებლობა ჰყავდეს საუკეთესო ველომრბოლები შორის საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე და 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე.**

**საუკეთესო სურვილებით ჰეინ ვერბრუგენი, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი, სოკ-ის წევრი.**

**მირონ ბარამია, ტრეკისა და ოლიმპიური თამაშების კოორდინატორი.“**

ასპარეზობის მერე იყო გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოება. იყო იქვე მოწყობილი საზეიმო სუფრაც, რომელსაც ალამაზებდა ველოსიპედით ლამშვენებული ვეება ტორტი; რა თქმა უნდა იყო გარდასულ ასპარეზობათა მოგონებებიც, იყო მხიარულება და ჟივილ-ხივილიც, მაგრამ იყო ნაღველიც, ის ნაღველი, რომელიც დაგვიტოვეს ჩვენმა ველომრბოლებმა თუ ტრეკის ამაგდარმა ადამიანებმა თავიანთი გარდაცვალებით.

იმ დღეს ახალგაზრდობა გაიხსენა ჩვენმა ცნობილმა ველომრბოლმა, საკავშირო პირველობათა და საერთაშორისო ასპარეზობათა არაერთგზის პრიზიორმა, 74 წლის ავთანდილ გუნიამ, რომელიც კოსტიუმში საზეიმოდ გამოწყობილი საგზაო ველოსიპედზე ამხედრდა, ტრეკის ვირაჟებზე ავიდა და ქარივით აიქროლ-ჩაიქროლა. ავთანდილ გუნიას მხარი აუბა არანაკლებ ასაკოვანმა ვეტერანმა ველოსიპედისტმა ლევან სალაყაიამ.

ვნახეთ იქვე, მეზობლად მცხოვრები თითისტოლა ბავშვიც, თავისი ორთვალათი იმ „ცელქ“ ბაბუებს რომ აედევნა.

ვინ იცის, იქნებ ის პატარა მომავალი დიდი ჩემპიონია?

**ავთანდილ ჭყვიშელი**

გაგაცნობ თბილისის უძველესი ტრეკის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს:

**ვიტი.** 200 მ. გიორგი ფრუიძე, რობერტ ცხოვრებაძე, იური გრიგორიანი (ყველა „მართვე“).

**სპრინტი.** თედო ბესიკაშვილი („შევარდენი“), დიმიტრი შალიკიანი, შოთა კვარაცხელია (ორივე „მართვე“).

**ჯგუფური** რბოლა. გიორგი მგელაძე, იური გრიგორიანი (ორივე „მართვე“), დავით ბულბულოვი („შევარდენი“).

# ახალი პრეზიდენტი

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევას ორი ტური დასჭირდა. ამ თანამდებობაზე სამი კანდიდატი იყო დასახელებული: ძველი პრეზიდენტი, სახალხო მკურნალი ვლადიმერ ასკურავა, გენერალური მდივანი შალვა სალარეიშვილი და სახელოვანი ქართველი ველომრბოლის ომარ ფხაკაძის ვაჟიშვილი ომარი. მეორე ტურში ასკურავა და სალარეიშვილი გავიდნენ.

ყრილობამ აწ უკვე ყოფილი გენერალური მდივანი შალვა სალარეიშვილი პრეზიდენტად, ომარ ფხაკაძე და სოსო გოცირიძე ვიცე-პრეზიდენტებად, რუსლან ჯაოშვილი კი გენერალურ მდივნად აირჩია.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## კალათბურთი

# ბარკლის სასტიკი შურისძიება

„ფინიქს სანზიდან“ „ჰიუსტონ როკიტსში“ გადასულ ჩარლზ ბარკლის, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სურდა მაყურებლის გაოცება. ამის შანსი მას 2 ნოემბერს მიეცა. იმ დღეს მისი ახალი გუნდი ფინიქსში ჩავიდა სათამაშოდ. ბარკლის „სანზის“ გამწარებაც სურდა და უნდა ითქვას, რომ მან ორივე მიზანს მიაღწია.

„მსურდა, კარიერა ფინიქსში დამესრულებინა, მაგრამ „სანზის“ ხელმძღვანელობამ ჩემს უკითხავად განსაჯა ჩემი ბედი. ამას გარდა, მათ ჩემზე, ზურგს უკან, ბევრი საზიზღრობაც თქვეს“ — განაცხადა ბარკლიმ და შურიც იძია — „ჰიუსტონმა“ 110:95 მოიგო, სერ ჩარლზმა კი კარიერაში ყველაზე მეტი — 33 ბურთი მოხსნა. ამას ზედ 20 ქულაც დაურთო.

ბარკლიმ ფინიქსის „ამერიკა ვესტ არენაში“ ბოლოჯერ წლეულს, მაისს ითამაშა. მისი დაბრუნება ამ დარბაზში უფრო ხმაურიანი გამოდგა, ვიდრე თავად ელოდა: 11 მოხსნა პირველ მეოთხედში, 17 — ტაიმში, 33 — მატჩში. „ჰიუსტონის“ ისტორიაში ეს მესამე შედეგია, ხოლო „ამერიკა ვესტ არენისაში“ — მეორე უკეთესს 1993 წლის 3 მარტს მიაღწია რონი საიკლიმ — 34 მოხსნა.

ბარკლი ნბა-ს იმ ათი მოთამაშის სიაშია, ვინც ერთდროულად დააგროვა 20 ათას ქულასა და 10 ათას მოხსნაზე მეტი. მას სულ სამი პასი სჭირდება, რათა დიდ სამეულს შეუერთდეს: უილტ ჩემბერლენს, ქარიმ აბდულ-ჯაბარსა და ელჯინ ბეილორს ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გარდა 3500 პასიც აქვთ გაკეთებული.

„მოხსნა ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს — თქვა ბარკლიმ, — ისე, არცკი მეგონა, თუ 33 ბურთს მოვხსნიდი. დღეს ყველა დენის როდმანზე ლაპარაკობს. იგი მართლაც დიდი მომხსნელია, მაგრამ თუკი ვინმე დამავალებს, რომ ბურთები არ ჩავაგდო და მხოლოდ მოხსნაზე ვიფიქრო, მასზე კარგი ვიქნები“.

სერ ჩარლზი ზაფხულში წავიდა ფინიქსიდან, ქალაქიდან, სადაც ოთხი სეზონი გაატარა. მასსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. როცა „სანზმა“ ბარკლის დაბრუნება სცადა, ამან კატეგორიულად უარყო — თქვენი მონა კი არა ვარო, რითაც უფრო გაღრმავა უფსკრული. თამაშის დაწყების წინ, როცა „ჰიუსტონის“ შემადგენლობას აცხადებდნენ, ბარკლის გვარი პირველი იყო. დიქტორ ჯეფ მანს გამოცხადებისას ბარკლის გვარის გაგრძელებით წარმოთქმა სურდა, მაგრამ მაყურებელმა არ დაანება და იგიც იძულებული გახდა, სწრაფად გადასულიყო სხვათა გვარების ჩამოთვლაზე. ამაზე ბარკლიმ თქვა: „ეს ტიპიური „სანზური“ საქციელია. მათ სწრაფად სურდათ სხვების გამოცხადება და გააკეთეს კიდეც“. ხალხი უსტვენდა სერ ჩარლზს, ღრიალებდა, როცა იგი საჯარიმოებს ისროდა.

ბარკლიმ კი როგორ გადაუხდა „პატივისცემა“ ყოფილ თანაქალაქელებს, უკვე მოგახსენეთ. მას მხარში ამოუდგნენ თანაგუნდელები ჰაკიმ ოლაჯუონი (24 ქულა), კლაიდ დრექსლერი (22 ქულა) და მეტ მელოუნი (4 სამქულიანი). მაგრამ ამათ ერთხმად აღნიშნეს, დღევანდელი საღამო სერ ჩარლზის იყოო.

ბარკლიმ 45 წუთს ითამაშა და დამთავრებამდე 38 წამით ადრე გავარდა. იგი მოედნიდან გაღიმებული გავიდა. არც მაყურებლისთვის მიუმართავს უხეშად და არც უხამსი ჟესტები უჩვენებია.

„ჩვენ მეგობრები ვართ მოედანზე და მის გარეთაც — თქვა „სანზის“ მოთამაშემ მაიკლ ფინლიმ — დარწმუნებული ვარ, ჩარლზს სურდა, რომ კარგად მეთამაშა. მეც იგივე მსურდა ბარკლისთვის, მაგრამ რაც მან გააკეთა, იმაზე სულ არ ვოცნებობდი“. სემ კასელი და კიდევ სამი კალათბურთელი „ჰიუსტონმა“ ბარკლის სანაცვლოდ „ფინიქსში“ გააგზავნა. კასელმა თავისიანებს ყველაზე მეტი, 22 ქულა მოუტანა და თქვა: „ჩარლზის თავგამოდება რომ არა, ვფიქრობ, ჩვენ მოვიგებდით, მაგრამ ასეთი საღამოს შემდეგ გამარჯვებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება“.

# ჩიკაგოში ბეჭდები დარიგდა და დროშა დაეცა

2 ნოემბერს ჩიკაგოს „იუნაიტედ ცენტრში“ შარშანდელი ჩემპიონის „ჩიკაგო ბულზის“ დაჯილდოება გაიმართა. შარშანდელი გუნდის ყველა წევრმა მიიღო საჩემპიონო ბეჭედი, რაც ჩვენებური მედლის ტოლფასია. ბეჭდები მეტად მდიდრულადაა გაწყობილი: ძვირფასი ქვებით გამოსახული ოთხი საჩემპიონო თასი, ამ ოთხს კი გარშემო კიდევ 72 ბრილიანტის ქვა შემოვლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბულზმა“ შარშანდელ სეზონში 72 მატჩი მოიგო. ბეჭდების გვერდებზე სამი ფრაზაა ამოტვიფრული „ყველა დროის უძლიერესი გუნდი“, „მსოფლიოს ჩემპიონები“ და „72 გამარჯვება“. ეს ბეჭდები ჩიკაგოელ კალათბურთელებს ნბას კომისარმა დეივიდ შტერნმა გადასცა.

ყველა მოთამაშე დინჯად მიდიოდა კომისართან ბეჭდის ჩამოსართმევად. ნაგიჟარი დენის როდმანი, ვისაც შტერნთან ცუდი ურთიერთობა აქვს, სირბილით მიეჭრა ამ საპატიო კაცს და ბეჭედი ხელიდან წაგლიჯა. მერე როდმანმა ისაც თქვა, სულაც არ მსიამოვნებდა შტერნის იქ ყოფნაო. მაიკლ ჯორდანმა კი შტერნს უთხრა, იმედი გვაქვს, გაისადაც ამ დარბაზში კვლავ შეგასრულებინებთ ამავე მისიასო. ჯონ სელი და ჯეიმს ედვარდსი შარშან იშვიათად თამაშობდნენ „ბულზში“ და ამ სეზონში მათ კონტრაქტები აღარ გაუგრძელეს. მიუხედავად ამისა, ისინი დაპატიჟებულნი იყვნენ „იუნაიტედ ცენტრში“ და თავიანთი ხარგო ბეჭდებიც მიიღეს.

ამის შემდეგ უნდა აღემართათ საჩემპიონო დროშა. „ბულზის“ ყველა მოთამაშემ მიიღო ამაში მონაწილეობა. მაგრამ დროშას „იუნაიტედ ცენტრის“ ჭერამდე არც მიეღწია, რომ თოკი გაწყდა და დროშა სადღაც კუთხეში დავარდა. 18 წუთის შემდეგ დროშა ხელახლა ასწიეს. „ჩიკაგოს“ უკანასკნელმა სტივ კერმა თქვა: „მე უფრო დროშით ვამაყობ, ვიდრე ბეჭდით. დროშაზე ჩემი გვარიცაა ამოქარგული და სანამ ნბა იქნება, ეს დროშა იქამდე ეკიდება დარბაზში“. კერს სხვა მოთამაშეები არ დაეთანხმნენ და, ბეჭდები გვირჩევნიაო, თქვეს.

# მეჯიქი ხალხს მოუწოდებს

ლეგენდარულმა მეჯიქ ჯონსონმა უმრავ- საქმესთან [illegible] ახალი საქმიანობა გაიჩინა: „სარბიელის“ გოგი ახვლედიანის კოლეგა გახდა და „ლოს-ანჯელეს თაიმზში“ მესვეტეობას მიჰყო ხელი.

კვირის გაზეთში მეჯიქმა, ვისაც ზუსტად ხუთი წლის წინათ შეეყარა შიდსი, დაწერა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი დამთავრდა. „სულაც არ ვგრძნობ თავს ძაბუნად ან დაღლილად. მთავარია, იცოდე, რა აკეთო. ჯანზე ვარ, ბევრს ვმუშაობ, რაც ყოველთვის მიყვარდა; სწორად ვიკვებები და წამლებსაც ვსვამ“.

1991 წლის ნოემბრის შემდეგ, რაც შიდსი აღმოაჩნდა, მეჯიქი ორჯერ დაუბრუნდა კალათბურთს და ორჯერვე თავი დაანება. ამჟამად იგი ცოლთან და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. მას საკუთარი ბიზნესი აქვს, ამავდროულად, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ თანამფლობელიცაა. დასნებოვნების შემდეგ ჯონსონი აქტიურად ჩაება შიდსთან ბრძოლაში: „ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის ხალხი, ვისაც ვიცნობდი და მერე შიდსით დაიღუპა. ყველაზე შესაზარია პატარა ბავშვების მდგომარეობა. ისინი უმანკოები არიან და მშობლების ნარკომანობისა და გაუფრთხილებლობის გამო შიდსით იტანჯებიან. მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა წინ აღვუდგე ამ სენს. მანამდე კი ხალხს ვთხოვ, ყურადღებით იყოს, რათა შიდსით არ დასნებოვნდნენ“.

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**1.XI: ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — ფინიქს სანზი 96:82, ჩიკაგო ბულზი — ბოსტონ სელტიქსი 107:98, ლოს-ანჯელეს კლიპერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 97:85, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ვანკუვერ გრიზლიზი 114:85, მინესოტა ტიმბერვულვზი — სან-ანტონიო სფურზი 82:78, იუტა ჯაზი — სიეტლ სუპერსონიქსი 99:91, დალას მავერიქსი — დენვერ ნაგითსი 92:91, ნიუ-იორკ ნიქსი — ტორონტო რეპტორზი 107:99, ჰიუსტონ როკიტსი — საკრამენტო კინგზი 96:85, ვაშინგტონ ბულიტსი — ორლანდო მეჯიქი 96:92, მილუოკი ბაქსი — ფილადელფია-76 111:103, კლივლენდ კავალიერზი — ნიუ-ჯერსი ნეთსი 90:77, დეტროიტ პისტონზი — ინდიანა პეისერზი 95:89, მაიამი ჰითი — ატლანტა ჰოქსი 94:81**

**2.XI: იუტა ჯაზი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 95:90, სიეტლ სუპერსონიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 104:93, ჩიკაგო ბულზი — ფილადელფია-76 115:86, მილუოკი ბაქსი — ბოსტონ სელტიქსი 124:102, საკრამენტო კინგზი — დალას მავერიქსი 107:94, ჰიუსტონ როკიტსი — ფინიქს სანზი 110:95, კლივლენდ კავალიერზი — ვაშინგტონ ბულიტსი 98:96, დეტროიტ პისტონზი — ატლანტა ჰოქსი 90:78, შარლოტ ჰორნეთსი — ტორონტო რეპტორზი 109:98, მაიამი ჰითი — ინდიანა პეისერზი 97:95**

**3.XI: ნიუ-იორკ ნიქსი — შარლოტ ჰორნეთსი 113:86, დენვერ ნაგითსი — სან-ანტონიო სფურზი 88:79, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ვანკუვერ გრიზლიზი 105:95, ლოს-ანჯელეს — ლეიკერზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 91:85**

# პატ რაილი:



# 800 მოგება!

შაბათს „მაიამი ჰითისთვის“ „ინდია პეისერზის“ 97:95 ძლევა რიგითი მოგება იყო, მაიმელა მწვრთნელ პატ რაილისთვის კი ისტორიული. მან მე-800-ედ გაიმარჯვა როგორც მწვრთნელმა და ნბა-ს ისტორიაში მერვე კაცია, ვინც ეს შეძლო.

რაილი 51 წლისაა. სამწვრთნელო დებიუტი 1981 წლის 19 ნოემბერს ჰქონდა, როცა „ლოს-ანჯელესის ლეიკერზის“ მწვრთნელის პოსტზე პოლ ვესტჰედი შეიცვალა. პატმა შვიდჯერ გაიყვანა „ლეიკერზი“ ნბა-ს ფინალში და ოთხჯერ ჩემპიონიც გახდა.

ლოს-ანჯელესში გატარებული ცხრა სეზონის შემდეგ რაილი მწვრთნელობას ერთი წლით შეეშვა და NBC-ის ტელეკომენტატორი გახდა. შემდეგ „ნიუ-იორკ ნიქსი“ აიყვანა და ოთხ სეზონს წვრთნიდა, შარშან კი „მაიამის“ ჩაუდგა სათავეში. რაილის გაუწვრთნია ისეთი დიდი მოთამაშეები, როგორებიც იყვნენ ქარიმ აბდულ-ჯაბარი, მეჯიქ ჯონსონი, ჯეიმს ვორთი, პატრიკ იუინგი.

რაილიმ 800-მოგებიან ზღვარს ყველა მწვრთნელზე სწრაფად მიაღწია. ამისთვის მას 15 სეზონი და 1139 მატჩი დასჭირდა. კოტონ ფიცსიმონსმა ამ საქმეს 19 წელი მოანდომა, ამდენივე ხანი შეალია 800 მოგებას ლენი ვილკენსმაც.

„ჰითს“ სხვაც ჰქონდა სიხარულის საბაბი: ამ გუნდმა პირველად მოუგო პეისერზს“ შინ, ინდიანაპოლისის „მარკეტ სქვეარ არენაში“. 1988 წლის შემდეგ, რაც „მაიამი“ ნბა-შია, მან ზედიზედ 15-ჯერ წააგო ინდიანაპოლისში.

### ნბა-ს მწვრთნელები, ვისაც 500-ზე მეტჯერ მოუგია

1. ლენი ვილკენსი (ატლანტა) 1014
2. რედ აუერბახი 938
3. დიკ მოტა 918
4. ბილ ფიტჩი (კლიპერზი) 892
5. ჯეკ რემზი 864
6. დონ ნელსონი 851
7. კოტონ ფიცსიმონსი (ფინიქსი) 832
8. პატ რაილი (მაიამი) 800
9. ჯინ შუ 784
10. ჯონ მაკლეოდი 707
11. რედ ჰოლცმანი 696
12. დუგ მო 628
13. ლარი ბრაუნი (ინდიანა) 585
14. ჩაკ დეილი 564
15. ელ ეითლზი 557
16. კეი. სი. ჯონსი 522
17. ჯერი სლოუნი (იუტა) 515

შენიშვნა: მუქი შრიფტით გამოყოფილია მოქმედი მწვრთნელები.

## კრივი

# ღადაობა იოიოგი არენაზე

კვირას, ტოკიოს გარეუბან ურაიასუს 6000-ათასიან არენაზე მხოლოდ 3 249 მაყურებელი მოგროვდა, თუმც კი სანახაობა უთუოდ იშვიათი იყო. რაც უნდა იყოს, იმ საღამოს ერთბაშად ორი ექს-ჩემპიონი ჩხუბობდა, მაგრამ რადგან იაპონიის კრივის კომისია არა სცნობს მსოფლიო კრივის ორ სიაფანდ მმართველს — ვბუ-სა და იბა-ს, მათი საზიარო ვერსიის — იბუ-ს საჩემპიონო შერკინებისთვის რეკლამა საერთოდ არ გაუკეთებია.

შოუს პროგრამის მთავარი ნომერი უბერებელი ზანგი ტეხასელის — ჯორჯ ფორმენისა და ჯეელი ფლორიდელი ქროუფორდ გრიმზლის „საჩემპიონო" შერკინება იყო. მას წინ უძღოდა დედაკაცთა ჩხუბი და კიდევ თომი მორისონ — მარკუს როუდის არა-სანქციონირებული ბრძოლა.

ჯერ ქალთა ამბავი ვთქვათ. შოუს პრეზენტაციაზე ფრანგი ვალერი ანენ-ვეტი და ამერიკელი მერი ალამახერი ძირითადი ჩხუბის მონაწილეებთან წარადგინეს. ასოშიეითიდ პრესის ფოტოზე სწორედ ეს მომენტია ასახული. IX რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა ვეტმა და ვიბფ-ის „ველთერ"-წონის ჩემპიონობა მოიპოვა.




მერე იყო კიდევ სამი ჩხუბი და ის აკრძალულიც. საქმე ისაა, რომ მორისონს თებერვალში შიდსის გამომწვევი HIV ვირუსმატარებლობა დაუდგინეს და ამერიკაში კრივი აუკრძალეს. ექს-ჩემპიონი რინგს იმისთვის დაბრუნებოდა, რომ ფული დასჭირდა ფონდის დასაარსებლად, შიდსის სიმუხთლის პროპაგანდას რომ ისახავს მიზნად და სახელად „დავანოკაუტოთ შიდსი!" ჰქვია. მორისონისავე მონაცემებით, ფონდს ტოკიოს ბრძოლით 500 ათასი დოლარი შეემატა.

მონაწილეებმა წესად დათქვეს, თუ თომის სისხლი წასკდებოდა, ბრძოლა მყის შეეწყვიტათ და გამარჯვებულად ის დაესახელებინათ, ვისაც იმ დროისთვის მეტი ქულა ექნებოდა მოგროვილი. ეს საჭირო არ გახდა, რაკი თომმა უსისხლოდ, პირველსავე რაუნდში სამჯერ დასცა მეტოქე და წუთსა და 38 წამში რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტი ალწუსხა.

47 წლის მოხალისე მღვდელმა ფორმენმა შერკინების წინადღით ჯვარი დასწერა თავის მენეჯერს, ჩხუბამდე კი 16 ჩიზბურგერი შეახრამუნა და ჩაროზად ჩირიც დააყოლა. ამის გამო თუ იყო, რომ ერთობ ზანტად ირჯებოდა, მაგრამ ტერმინატორად ცნობილი მეტოქე კი მაინც დაჯაბნა.

ნაღდი მუშტი-კრივი ბოლო რაუნდშილა გახურდა და ორივე მოკრივესაც სიფათები დაუსისხლიანდა. სხვა დროს გრიმზლი ყოველმხრივ გაურბოდა მეტოქეს და ზოგჯერ ზურგსაც უჩვენებდა, ეს კი მომენტს არჩევდა, რათა ერთი მძლავრი დარტყმით დაენოკაუტებინა შვილის ტოლა ბიჭი. ნაშერკინებებს მღვდელმა კიდეცა ბრძანა, ქრისტიანი კაცი მოუყასს ზურგში, აბა, როგორ დავარტყამდიო.

ჯეელი ბებერზე მალე დაიღალა. ბრძოლამ 12-ვე რაუნდს გასტანა. ფორმენს სამჯერ — VI, XI და XII რაუნდებში შეაკერევინეს ხელთათმანების ზონრები. ამან კიდევ უფრო შეანელა კრივი. პოდა, ბებერი ჯორჯი არ დაღლილა და შესვენებებზე თავის კუთხეში ზეზეულად ითქვამდა სულს.

სამივე მთვლელმა ფორმენს გაამარჯვებინა: **119-109, 116-112, 117-111.** პირველის გარდა ყველა რაუნდი ფორმენმა მოიგო და როგორც გამოტყდა, ვიდრე საბოლოოდ გამოემშვიდობებოდეს რინგს, კიდევ ორ შერკინებას იგეგმავს.

ფორმენს ამ ღადაობისთვის 5 მილიონი დოლარი რგებია.

## რაგბი

# არა შეჯდა მწყერი ხესა

ასეც უნდა ყოფილიყო: ევროპის მეორე საკლუბო თასის ნახევარფინალში ოდენ ინგლისის, საფრანგეთისა და უელსის გუნდები გავიდნენ, შოტლანდია, ირლანდია და იტალია კი თამაშგარე აღმოჩნდნენ. უფრო კომიკური სიტუაცია შეიქნა უმცროს, 24-გუნდა ევროპულ კონფერენციაში: იქ შვიდი ქვეყნის (მათ შორის, რუმინეთისაც) 24 გუნდი თამაშობდა, რვა მეოთხედფინალისტიდან კი შვიდი (!) საფრანგეთს წარმოადგენს.

ბოლო ტურის წინ სამ გუნდს — ბრივს, ლესთერსა და კარდიფს სანუკვარ რვეულში უკვე დაებევებინა ადგილი. დანარჩენი ხუთი ვაკანსიისთვის ფიცხელი შეჯიბრი მიმდინარეობდა. მავანნი ბურთების სხვაობასაც კი ანგარიშობდნენ.

„ა" ჯგუფის მთავარი მატჩი საფრანგეთში გაიმართა. ერთადერთი ლელო მასპინძელთა გარემაბმა უგო მოლამ გაიტანა, დაქსელმა რიშარ დურთმა და უელსელმა ნილ ჯენქინსმა კი ექვს-ექვსჯერ დაარტყეს ზუსტად. ეს ერთადერთი მარცხი ძვირად დაუჯდა პონტიპრიზს, ვისაც დაეწია და კიდეც გაუსწრო ბასმა. ტრევიზოს ძლევისას ამისმა 10 ნომერმა მაიქ ქეთმა 4 ლელოთი, 5 გარდასახვითა და საჯარიმოთი 33 ქულა მოიხვეჭა.

ირლანდიის პროვინციამ — ლენსთერმა საქმე გაუფუჭა პოს, მაგრამ მეოთხედფინალში ვერც თავად გავიდა. დუბლინელთა დამრტყმელმა მაკგოუვანმა ცხრა ცდით შვიდი გოლი გაიტანა, ამასთან გადამწყვეტი — 78-ე წუთზე. დანარჩენ მატჩებში გადასარევი არაფერი მომხდარა.

მეოთხედფინალში (16-17. XI) თამაშობენ: დაქსი — ტულუზი, ლესთერი — პარლიქვინზი, ბრივი — პლანეპლი და კარდიფი — ბასი

## „ჰაინეკენის" ევროპის თასი

### „ა" ქვეჯგუფი

2. XI. დაქსი (საფრანგეთი) — პონტიპრიზი (უელსი) 22:18; ტრევიზო (იტალია) — ბასი (ინგლისი) 27:50

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაქსი | 4 | 3 | 0 | 1 | 141: 69 | 6 |
| ბასი | 4 | 3 | 0 | 1 | 136: 88 | 6 |
| პონტიპრიზი | 4 | 3 | 0 | 1 | 97: 60 | 6 |
| ტრევიზო | 4 | 1 | 0 | 3 | 106:135 | 2 |
| ედინბურგი (შ) | 4 | 0 | 0 | 4 | 71:199 | 0 |

### „ბ" ქვეჯგუფი

2. XI. პარლიქვინზი (ინგლისი) — კალედონია (შოტლანდია) 56:35; ალსთერი (ირლანდია) — ბრივი (საფრანგეთი) 6:17

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრივი | 4 | 4 | 0 | 0 | 106: 65 | 8 |
| პარლიქვინზი | 4 | 3 | 0 | 1 | 131: 95 | 6 |
| ნისი (უელსი) | 4 | 2 | 0 | 2 | 83:109 | 4 |
| ალსთერი | 4 | 1 | 0 | 3 | 74: 87 | 2 |
| კალედონია | 4 | 0 | 0 | 4 | 117:156 | 0 |

### „გ" ქვეჯგუფი

2. XI. ლენსთერი (ირლანდია) — პო (საფრანგეთი) 25:23; ლესთერი (ინგლისი) — პლანეპლი (უელსი) 25:16

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესთერი | 4 | 4 | 0 | 0 | 114: 43 | 8 |
| პლანეპლი | 4 | 2 | 0 | 2 | 97: 81 | 4 |
| ლენსთერი | 4 | 2 | 0 | 2 | 86:109 | 4 |
| პო | 4 | 1 | 0 | 3 | 137:103 | 2 |
| სამხრეთი (შ) | 4 | 1 | 0 | 3 | 78:178 | 2 |

### „დ" ქვეჯგუფი

2. XI. მილანი (იტალია) — ვოსფსი (ინგლისი) 23:33; ტულუზი (საფრანგეთი) — მანსთერი (ირლანდია) 60:19

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი (უ) | 4 | 3 | 0 | 1 | 135: 97 | 6 |
| ტულუზი | 4 | 3 | 0 | 1 | 157:142 | 6 |
| ვოსფსი | 4 | 2 | 0 | 2 | 156:115 | 4 |
| მანსთერი | 4 | 2 | 0 | 2 | 109:135 | 4 |
| მილანი | 4 | 0 | 0 | 4 | 73:141 | 0 |

## ვოლაბები

შოტლანდიაში მოტურნევე ავსტრალიის „ვოლაბებმა" შაბათს, გლაზგოში დაამარცხეს ამ ქალაქისა და ედინბურგის ნაკრები 37:19. მასპინძლები შესვენებამდე გაუძალიანდნენ სტუმრებს 9:15, მაგრამ მერე ამათმა უმეტესმა კლასმა თავისი გაიტანა. „ვოლაბებს" დერეფანშიც უჯობნიათ მეტოქე და გადაულებელ წვიმაში ე. წ. მგორავი მოლებითაც დაუჯაბნიათ სქოთები.

მასპინძელთა ერთადერთი ლელო კაპიტნის — სქოთ ჰეისთინგზის გარღვევის შემდეგ გაიტანა კენი ლოგანმა, ალი დონალდსონმა კი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო დაარტყა ზუსტად. სტუმართაგან დიდმა დევიდ ქემფიზიმ 10 ნომერ დევიდ ნოქსს მისცა სალელოე პასი, მერე კი თავად დააგვირგვინა მცველ ჯო როფის იერიში ჩართვა. სტუმართა დანარჩენი სამი ლელო მესამეხაზელების — კონორსის, მანუსა და ვილსონის ანგარიშზეა. 8 ნომერ მარკ კონორსს მავანი მყესი გაუწყდა და ტურნეს ბოლომდე გავარდა. თითქმის იგივე ბედი ეწიათ მთავარ 8 ნომერ მაიქლ ბრაიალსა და შუამარბ ჯეისონ ლითლს, მეორეხაზელი გერიქ მორგანი კი რა ხანია შინ, ქვინზლენდშია.

## მანუ სამოა

ბრიტანეთს ჩავიდნენ მანუ სამოას მორაგბეებიც. მათ 12 ნოემბერს ირლანდიაში ელით მხოლოდ ტესტი, შაბათს კი ჯერაც მგზავრობით დაღლილებმა ლონდონში 40 (4ლ, 4გ, 4ს) : 53 (8ლ, 5გ, ს) წააგეს იქაურ „სერეზინზთან". სტუმრების 10 ნომრად ითამაშა და 8 გოლი გაიტანა ელ ვაამ, ვინც მენეჯერმა ბრიან ვილიამსმა ლიგიდან, მისივე თქმით, სამუდამოდ გადმოიბირა.

## ჩოგბურთი

# თომასმა გააწბილა სოჭელი ჟენია

22 წლის რუს ევგენი კაფელნიკოვს იშვიათი დუბლის შანსი მიეცა: კვირას, თავისი კბილა შვედი თომას ენკვისტისათვის „ბერსის" დარბაზში პარიზის ჭერქვეშა პირველობის ფინალი რომ მოეგო, უმთავრეს პარიზულ ტიტულს — „როლან გაროსზე" ივნისში მოპოვებულ საფრანგეთის ჩემპიონობას მეორესაც შემატებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მიუხედავად ამისა, სოჭელი ჟენია გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგებში კარიერაში პირველად ალზევდა მესამე ადგილამდე და თუ ასე გააგრძელა, ახალი წლისთვის კენწეროდან შეიძლება პიტ სამპრასიც კი ჩამოაბრძანოს.

### პარიზის ჭერქვეშა

მეოთხედფინალი (1. XI): მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 3:6, 6:2. მოთამაშეებმა დიდი ენერგია შეალიეს მსაჯთან დავას. საქმე ის იყო, რომ ვერ გამართლა „ბერსიში" დანერგილმა ტექნიკურმა სიახლემ — ელექტრო მოწყობილობამ, რომელიც ბურთის ძლიერად მოწოდების დროს ვიბრაციის გამო შეცდომით ალწუსხავდა ბადის შეხებას

თომას ენკვისტი (შვედეთი, 12) — სტეფან ედბერგი (შვედეთი) 6:4, 7:6 (8:6). ეს იყო საზოგადოების ჯილა სტეფანის ბოლოსწინა ტურნირი. პენსიაზე მიმავალი 30 წლის ვეტერანი წაგების მიუხედავად მაინც ფრიად ნასიამოვნები ჩანდა, მით უფრო, თუ ორგანიზატორებმა თასის ჯუჯა ასლით დააჯილდოვეს. ედბერგს პირად კოლექციაში ჰქონია ამგვარი დიდი ჯილდოც, რომელიც 1990 წელს მოუპოვებია

ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) — პაულ პაარპუისი (პოლანდია) 7:6 (9-7), 6:1; პეტრ კორდა (ჩეხეთი) — არნო ბეჩი (საფრანგეთი) 7:6 (7-2), 7:6 (8-6)

ნახევარფინალი (2. XI): კაფელნიკოვი — კორდა 3:6, 6:4, 6:2; ენკვისტი — გუსტაფსონი 6:3, 6:2. ორივე დამარცხებულს აეკივდა საზარდული. კორდას ამ ზაფხულს მისი ორი ოპერრაციაც გადაუტანია, გუსტაფსონი კი ისე გაწვალდა, რომ ერთხელ სიმწრით ჩოგანიც კი გაუვარდა ხელიდან




ჟენიას მძლეველი თომასი

ფინალში (3. XI): ენკვისტი — [illegible] კაფელნიკოვი 6:2, 6:4, 7:5 (საათსა და 26 წუთში). შვედმა 20 ეისი გააზარხა და რუსი ყოველმხრივ დაჯაბნა. [illegible] (3:0), მაგრამ ბოლოს მაინც მეორე პრიზი — 207 ათას დოლარს დასჯერდა. თომასის მონაგარი 393 ათასი და კლასიფიკაციის პირველ ათეულში დაბრუნება იყო

ამ დღეს კაფელნიკოვმა მეორე მარცხიც ინვნია: მანა და ჩეხმა დანიელ ვაჩეკმა წყვილთა ფინალი 4:6, 6:4, 6:7 (2-7) წააგეს პაარპუისთან და მის თანამემამულე იაკო ელტინპთან

### ამერიკის ქალთა თასი

ჩიკაგო. მეოთხედფინალი: მონიკა სელეში (აშშ, 1) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 7:6 (7-4), 6:2. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — მერედით მაკგრასი (აშშ) 5:2; მერე მერედითი ორთავე კუნთის დაჭიმვის გამო დანებდა




იანა ნოვოტნას მესამე ტიტული

იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 2) — ბრენდა შულც-მაკგაფი (პოლანდია, 7) 6:2, 7:5. მარტინა პინგისი (შვეიცარია, 5) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 3) 6:3, 6:7 (5-7), 6:2; მეორე და მესამე ხელებში მარტინა 4:1 დაწინაურდა

ნახევარფინალი: კაპრიატი — სელეში 6:3, 6:3 (57 წუთში). ორივეს სხვადასხვა მიზეზით ბევრი გაუცდა, მაგრამ თუ მონიკა, თუმც დეკრეტით, დღესაც პირველი ჩოგანია, ჯენი ოდენ 50-ეა. ბოლო ჯერზე მეტოქეები ერთმანეთს საფრანგეთის 1992 წლის პირველობაზე შეხვედროდნენ. ახლა ბალანსი 5-2 იყო მონიკას სასარგებლოდ და მას ერთი დღით მეტიც დაესვენა, მაგრამ მაინც უშანსოდ დამარცხდა, რაც თავადვე ალიარა

ნოვოტნა — პინგისი 7:5, 6:4. 16 წლის შვეიცარელი ვუნდერკინდი ორივე ხელში დაწინაურდა — 5:3 და 4:1, მაგრამ ჩეხმა, ერთობ არამდგრადი მებრძოლის რეპუტაცია რომა აქვს, ორივეჯერ მოიგო და ორი კვირის წინ, ციურიხში გამართული ევროპის ჭერქვეშას ფინალისა არ იყოს, ამჯერადაც ჭკუა ასწავლა ჭირვეულ ბავშვს, კორტზე ჩოგნის დახეთქება მეტისმეტად რომ უყვარს

ფინალი: ნოვოტნა — კაპრიატი 6:4, 3:6, 6:1. სასწაული ალარ მოხდა. ჯენი 1993 წლის შემდეგ პირველ ფინალს თამაშობდა და უკანა ხაზიდან მაგრად ურტყამდა, მაგრამ უფრო მრავალფეროვნად მოთამაშე ჩეხმა ბოლოსდაბოლოს მაინც გატეხა. ამით ნოვოტნამ წელს უკვე მესამე ტიტული მოიპოვა

შაბათს, მოსკოვის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში, ქალების კრემლის თასის ფინალში კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი, 1) 6:1, 4:6, 6:4 დაამარცხა ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 2). გამარჯვებულს თასი და 67 ათასი დოლარის ჩეკი თვით შტეფი გრაფმა გადასცა

ამ კვირაში იმავე თასისთვის ვაჟებიც ითამაშებენ. რუსებს კაფელნიკოვის იმედი აქვთ. ედბერგი და კომპანია სტოკჰოლმში შეიკრიბება იქ გაარკვევია ატპ-ის ტურის მსოფლიო პირველობის (ჰანოვერი, 19-24 ნოემბერი) ბოლო, მერვე მონაწილე. იმისთვის, რომ მერვე რეიტინგის მფლობელ კრაიჩეკს (პოლანდია) გადაუწროს, სამხრეთაფრიკელ ფერერას ფინალში გასვლა სჭირდება.

## ყინულის ჰოკეი

### ეროვნულ ლიგაში

# თარსი 13

1. XI. ოტავა — დეტროიტი 2:2, ვაშინგტონი — პიტსბურგი 4:2, სენტ-ლუისი — ბუფალო 2:4, დალასი — ჩიკაგო 2:3, კალგარი — ფინიქსი 2:3, ედმონტონი — ვანკუვერი 4:5, ანაჰაიმი — სან-ხოსე 4:3

დასავლეთ კონფერენციის ლიდერმა დალასმა თავის ერთ-ერთ მდევარს, ჩიკაგოს უმასპინძლა. სტუმრებს ოდნავი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ძირითად დროში ვერ იხეირეს. გადამწყვეტი შაიბა ოვერტაიმის 88-ე წამზე ჩიკაგოელმა შანცმა დებიუტანტ მოროს დახმარებით შეაგდო

ოტავამ დეტროიტს ქულა აართვა და ეს წინა შეხვედრის მსგავსად მესამე პერიოდში, 1993-94 წლის დრაფტის ლიდერების ბონკისა და დეგლის შაიბების წყალობით მოახერხა.

ვაშინგტონში ზედიზედ მეოთხე მარცხი ინვნია პიტსბურგმა. გუნდს არც გამოცდილი ჩეხის — კლიმას შეძენამ უშველა. ვაშინგტონელებმა — 1992 წლის ოლიმპიადის საუკეთესო ბომბარდირმა ყიუნომ (2 გოლი) და ახალბედა ელისონმა (3 პასი) დამავებული პივონკას არყოფნაში ლიდერობის ტვირთი იდეს თავს.

სენტ-ლუისის გუნდის თავმა კინენმა ან უკვე ყოფილი სენტ-ლუისელი კორსონი მონრეალელ ტარჯონში გაცვალა. ტარჯონის (319 შაიბა და 471 პასი კარიერაში) „ბლუზში" მოწვევის მიზანი ისაა, რომ ამან გუნდის ლიდერ პალს ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს. მაგრამ ბუფალოსთან ამ წყვილმა ვერაფერი გააკეთა.

წყნარი ოკეანის დივიზიონში მინი-ჩემპიონატი მოეწყო. გამოჯანმრთელებული ვარსკვლავის — კარიას დაბრუნებამ ანაჰაიმს ფრთები შეასხა და რვა მარცხის შემდეგ „ბატებმა", როგორც იქნა, მოიგეს. ორი პერიოდის შემდეგ სან-ხოსე 3:2 იგებდა — ორი შაიბა მცველმა აიეფრეიტმა შეაგდო, მაგრამ კარიამ გამოცოცხლებულ სელიანეს ორჯერ მიაწოდა და პეთ-თრიქიც გააკეთებინა. აქამდე ანაჰაიმმა რვაჯერაც წააგო და სამ შაიბაზე მეტიც არ ჰქონდა გატანილი.

ედმონტონში მოვლენები მატჩის ბოლოს განვითარდა. 58-ე წუთზე მარჩანტმა დააწინაურა მასპინძლები, წუთის შემდეგ ვანკუვერელმა რიდლიმ გაათანაბრა, ოვერტაიმის 42-ე წამზე ბურემ მორიგ — მეოთხე საგოლე შეტევას ჩაუდგა სული და ლიგის ვეტერანმა ტიკანენმა ორი ქულაც მოუტანა გუნდს.

ყოფილმა ჩიკაგოელმა რენიკმა, რომელმაც წამყვანი სამეულიდან ჯენი გაისტუმრა, ოვერტაიმის მიწურულს თავისი პირველი გოლიც გაიტანა და ფინიქსსაც საჭირო 2 ქულა შემატა. კალგარელმა დებიუტანტმა აიჯინლამ 2 (1+1) ქულა დააგროვა.

2. XI. ბოსტონი — რეინჯერზი 2:5, პარტფორდი — ლოს-ანჯელესი 2:3, პიტსბურგი — ოტავა 7:3, აილენდერზი — ვაშინგტონი 6:1, ნიუ-ჯერზი — ტამპა 2:1, ფლორიდა — ფილადელფია 2:3, ტორონტო — დეტროიტი 6:2, კოლორადო — ბუფალო 0:0, ვანკუვერი — კალგარი 4:3, სან-ხოსე — მონრეალი 4:3

13 რიცხვი უიღბლო გამოდგა ფლორიდასათვის. მე-13 მატჩი „პანთერებმა" წააგეს და ედმონტონის რეკორდი ვერ გააუმჯობესეს. ფლორიდა ახლაც საკმაოდ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე ფილადელფიელი ოტო კლეტის კომბინაცია გამოეპარა. ეს გუნდები სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორჯერ ფლორიდას უმარჯვია.

როგორც იქნა, გაიხარა პიტსბურგმა. გამწარებულმა „პინგვინებმა" ოტავა გაანადგურეს. თავიდან 0:2 კი აგებდნენ, მაგრამ იაგრ — ნედვედის ჩეხური წყვილი ამოქმედდა. ამ ორმა ზედიზედ ხუთი გოლი გაიტანა, იაგრმა პეთ-თრიქიც შეასრულა და 10 შაიბით სნაიპერთა დავაში გარტნერსაც შეეცილა.

ტორონტომ შინ აშკარად დაჩაგრა ბოლო მატჩებში ათამაშებული დეტროიტი (12 ქულა 7 თამაშში) და ეს მოულოდნელი იყო. ყველაფერი მეორე პერიოდის ხუთმა წუთმა გადაწყვიტა — შნეიდერმა, მიულერმა და ბერეზინმა სამი შაიბა შეაგდეს.

კოლორადოში ლიგის საუკეთესო გოლკიპერების — რუასა და პაშეკის პაექრობა სეზონის პირველი უგოლო მატჩით და რუას მესამე „მშრალი" თამაშით დასრულდა.

ზედიზედ მეოთხე მატჩი ჩაატარა წაუგებლად რეინჯერზმა — ბოსტონელ „და-




თვებს" პირველსავე პერიოდში გაუტანა 4 უპასუხო გოლი და შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. გრეცკიმ ერთი შაიბით შედეგიანი მატჩების სერია გააგრძელა, 14-მდე გაზარდა და 21 (7+14) ქულით საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მას საკიკი 21 (6+15) და სან-ხოსელი ნოლანი 19 (9+10) მიყვებიან. ახალგაზრდა „რეინჯერი" გონო 8 შაიბით დებიუტანტთა შორისაა საუკეთესო.

პარტფორდში ხუთივე შაიბა მეორე პერიოდში გავიდა. მასპინძელთაგან ორივე გოლი მცველმა რაისმა გაახერხა.

ვანკუვერმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. უმცირესობაში მასპინძლებმა მეტად კარგად ითამაშეს — არათუ გაუშვეს გოლი, არამედ გაიტანეს კიდეც. ბურე — მოგილნის რუსულმა წყვილმა ბოლო სამ თამაშში 12 (3+9) ქულა დააგროვა.

სან-ხოსელი ნოლანი, აგერ უკვე 10 მატჩია, უქულოდ არ ტოვებს მოედანს. მორიგ თამაშში მან 2 (1+1) ქულა მოიპოვა და ტერკოტთან (შაიბა ოვერტაიმში) ერთად ლომის წილი დაიდო თავისიანების გამარჯვებაში. ახალშემატებულმა კორსონმა მონრეალის ლიდერ კოივუს ერთი საგოლე გადაცემა გაუკეთა.

ნიუ-ჯერზელმა პოლიკმა ტამპელი უიმერის გაძევება პირველსავე პერიოდში გამოიყენა. ბოლო პერიოდში ტამპამ ნამდვილი შტურმი მოაწყო, მაგრამ „ეშმაკების" მეკარე ბროდოს ვერაფერი დააკლო.

ატლანტიკის დივიზიონის აუტსაიდერების — აილენდერზისა და ვაშინგტონის შეხვედრის ბედი სლოვაკი პალფის (2+2) ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა.

3. XI. ჩიკაგო — ედმონტონი 4:2, სენტ-ლუისი — დალასი 6:3, ფინიქსი — მონრეალი 4:4, ანაჰაიმი — კოლორადო 1:1

ხეირიანი სტარტის შემდეგ ერთობ მოეშვა დალასი. „ვარსკვლავები" ამჯერადაც დაეშვნენ მიწაზე — ცენტრალური დივიზიონის აუტსაიდერ სენტ-ლუისთან ვერაფერი გააწყვეს. სენტ-ლუისელმა პალმა და დალასელმა ჰოუგმა ორ-ორი შაიბა შეაგდეს, „ბლუზის" დებიუტანტმა ტარჯონმაც პასებით პირველი ორი ქულა მოიპოვა. ამდენი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ 1994 წლისეული სენტ-ლუისიდან კლუბში პალიღა დარჩა, ისიც ექსპერიმენტების მოყვარულ კინენს სულ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.

ჩემპიონატის ერთ-ერთმა შედეგიანმა გუნდმა — კოლორადომ ორ მატჩში ერთადერთი შაიბა გაიტანა. საკიკმა ანაჰაიმს თავისი მეექვსე შაიბა შეუგდო და ბომბარდირთა შორისაც დაწინაურდა — 22 (6+16). ამ გოლით მისიანებს გაუჩნდათ მოგების შანსი, მაგრამ დარჩენილ ორ წამში ანაჰაიმელმა ოკსიუტამ გაათანაბრა.

დალასის კიდევ ერთმა მდევარმა — ჩიკაგომ მიითვალა ორი ქულა. გუნდს სასიკეთოდ წაადგა უამნოვის გადმოსვლა. რუსს თამაში არ გამოუტოვებია, თავის მუდმივ პარტნიორებთან — დაზესა და ამონტესთან ერთად თავი რომ არ გამოეჩინოს. ეს სამეული ახლაც სამი გოლის სულისჩამდგმელი იყო.

რუსს არც ფინიქსის მიერ მასში გაცვლილი რენიკი ჩამორჩება. მონრეალთან შეხვედრაში რენიკი ორ საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა. იმარჯვა კანადელთა ლიდერმა კოივუმაც — ორ საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა. მეტოქეთა დავა ფრედ გასრულდა.

ახლა კი მიღწევებზე. სან-ხოსელმა ნიკოლზმა კარიერის 1 150-ე ქულა დააგროვა. კიდევ ერთმა ვეტერანმა, ნიუ-იორკელმა მესიემ 544-ე გოლი გაიტანა და მე-13 ადგილზე მყოფ ლეგენდარულ რიშარს დაეწია.

### ლიდერები და აუტსაიდერები

ჩრდილო-აღმოსავლეთი: ბუფალო 13 ქულა (13 თამაშში), პარტფორდი 12 (10) ... პიტსბურგი 6 (12)

ატლანტიკა: ფლორიდა 20 (13), რეინჯერსი 15 (15) ... ვაშინგტონი 10 (12), აილენდერსი 8 (11)

ცენტრი: დალასი 18 (13), ჩიკაგო 18 (15), დეტროიტი 16 (14) ... სენტ-ლუისი 12 (14)

წყნარი ოკეანე: კოლორადო 19 (15) ... ანაჰაიმი 7 (14)

**სამველ ღარიბიანი**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29